



ანა დოლიძე

# პირველი ნაბიჯები

სასამართლო ხელისუფლება  
საქართველოს დემოკრატიულ  
რესპუბლიკაში (1918-1921)



**ანა დოლიძე**

## **კირველი ნაბიჯები**

**სახანაშრომლო ხელისუფლება საქართველოს  
დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)**



**გამომცემლობა „უნიონპრესი“  
თბილისი 2019**

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი. იგი არ წარმოადგენს ამერიკის მთავრობის ოფიციალურ მოსაზრებას და არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

© ა. დოლიძე, 2019

© East-West Management Institute (EWMI), 2019

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიაძის ქ. №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)

ISBN 978-9941-26-522-8

*ჩემს შვილს ანდროს*



## სარჩევი

წინათქმა .....	6
შესავალი .....	8
სასამართლოს ჩამოყალიბების კონტექსტი.....	22
სასამართლო სისტემის მიმოხილვა .....	33
მომრიგებელი მოსამართლეები.....	42
ა. მოსამართლეთა კვალიფიკაცია .....	56
ბ. უმცირესობების გარანტიები მართლმსაჯულებაში..	71
მოსამართლის გათავისუფლება .....	74
მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობები .....	76
<b>საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის</b>	
<b>უზენაესი სასამართლო სენატი.....</b>	<b>91</b>
ა. საზოგადო კრება.....	99
ბ. სენატის შეერთებული საკრებულო.....	104
გ. რევიზია .....	111
დ. სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტი ....	118
ე. საადმინისტრაციო განყოფილება .....	122
ვ. სენატის სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო დეპარტამენტი.....	130
ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.....	134
დასკვნა .....	143

## წინათქმა

ისტორიული წარსულის შემეცნების გარეშე არ არსებობს ქვეყნის მომავალი. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წ.წ.) სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების ისტორიულ ასპექტებზეც.

ნაშრომის ავტორის მიზანია, ისტორიის გადმოსახედიდან დაგვანახოს, საიდან იღებს სათავეს ქართული მართლმსაჯულების რეფორმატორული იდეები. პირველი კონსტიტუცია სასამართლოს დამოუკიდებელ ხელისუფლებად განიხილავდა. სასამართლო სისტემას სათავეში ედგა უმაღლესი სასამართლო – სენატი, რომელიც ზედამხედველობდა კანონების დაცვას და მოქმედებდა როგორც საკასაციო სასამართლო.

ფრიად საინტერესოა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საკონსტიტუციო გარანტიების კვლევა. მოსამართლეთა არჩევითობა, მოსამართლის მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანის აკრძალვა მოსამართლის სურვილის საწინააღმდეგოდ, გადაწყვეტილების/განაჩენის გაუქმება/შეცვლის დაუშვებლობა სხვა სახელისუფლებო შტოს მიერ, პროცესის საჯაროობა და ა.შ.

ყურადსაღებია ასევე, მომრიგებელი მოსამართლის პროფესიულ მომზადებასთან და კვალიფიკაციასთან მიმართებით თვით მოსამართლეთა წუხილი და მათი კრიტიკული გამონათქვამების კვლევა. შეიძლება ითქვას, რომ მაშინდელი სასამართლო სისტემის მესვეურთა მიდგომა მოსამართლეთა დატვირთულობასთან დაკავშირებით, უფრო პროგრესული

იყო, ვიდრე დღეს არის, – მომრიგებელი მოსამართლეები ხელფასს (სარგოს) განხილული საქმეების რაოდენობისა და სირთულის მიხედვით იღებდნენ.

ვფიქრობ, წინამდებარე საფუძვლიან კვლევას, მიუხედავად საკვლევი მასალის სიმწირისა, უთუოდ ექნება ხელშესახები გავლენა თანამედროვე ქართული მართლმსაჯულების განვითარებაზე.

მზია თოდუა  
საქართველოს უზენაესი  
სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის თავმჯდომარე



## შენახალი

“დღეს ჩვენ უნდა შევქმნათ ფოლადისებური სტატისტიკა რესპუბლიკისა, დავუმორჩილოთ კერძო ინტერესები სახელმწიფოებრივს და სამუდამოდ განვდევნოთ „ზნაკომიზაცია“ – მეგობრობა მართვა გამგეობიდან: დღეს ჩვენ გვინდა რკინის ნებით აღჭურვილი და სახელმწიფოებრივი იდეებით გამსჭვალული მმართველები და მსაჯულები, რადგან მხოლოდ სასტიკ დისციპლინის ჩრდილში შეიძლება ნაყოფიერი შრომა და ეკონომიურად აყვავება საზოგადოებისა,” – წერდა ქუთაისის მე-5 უბნის მომრიგებელი მოსამართლე ევგენი გაბუნია წერილში “სასამართლო განსაცდელშია”, რომელიც მან გაზეთ “ხალხის მეგობარში” 1920 წელს გამოაქვეყნა. მისივე აქტიურობის გამო, მოგვიანებით, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს – სენატის წინაშე ევგენი გაბუნიას ოლქიდან გადაყვანის საჭიროების საკითხი დაისვა.

მოსამართლე ევგენი გაბუნიას საქმე ცხადი მაგალითია იმ დებატების და გამოწვევებისა, რომლებიც ახასიათებდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. რესპუბლიკის მთავრობის მთავარი გამოწვევა იყო მყარი, დემოკრატიული ინსტიტუტების სწრაფი მშენებლობა არასტაბილურ, საფრთხის მომცველ გეოპოლიტიკურ გარემოში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების პარალელურად. მთავრობას თითქმის თავიდანვე განწირული ამოცანა ჰქონდა დასახული მიზნად. თუმცა მან არსებული გამოწვევების ფონზე შეუძლებელი შეძლო და არსებობის სამი წლის განმავლობაში ბევრ სფეროში შექმნა დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების წახნაგები.

ამ მხრივ გამორჩეულია დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიღწევები სასამართლო სფეროში. მან შექმნა ბევრი ისეთი ინსტიტუტი, მათ შორის არჩევითი მომრიგებელი მოსამართლე, უმაღლესი სასამართლო (სენატი), მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების ძალიან რთული სისტემა თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც განსაკუთრებით საყურადღებო და საინტერესოა დღეს, როდესაც სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები მუდმივად საზოგადოებრივი განხილვების ეპიცენტრშია. უამრავი დისკუსია, დებატი და შრომა ეთმობა სასამართლო ხელისუფლების სხვადასხვა ასპექტებს: დამოუკიდებლობას, ანგარიშვალდებულებას, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების წესს. ამგვარ მსჯელობებში ხშირად იშველიებენ საერთაშორისო პრინციპებს და სხვა ქვეყნების გამოცდილებას. თუმცა საქართველოს ისტორიაში, ამ მხრივ, მოიპოვება აუთენტიკური საგანძური, რომელიც წინ გვიდევს და რომელიც შეიძლება, სასამართლოს მომავლის ფორმირების პროცესში განსაკუთრებულად გამოგვადგეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასამართლო ხელისუფლება გამორჩეული იყო პროგრესულობით იმ ეპოქასთან და გამოწვევებთან მიმართებაში, რომლის ნაწილიც ის გახლდათ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1918-1921 წლების გამოცდილება, სასამართლო ხელისუფლების მხრივ, თითქმის უცნობია. იმ პერიოდის სასამართლო სისტემის დეტალები არ მოხვედრილა სამეცნიერო წრეების ყურადღების ქვეშ და თითქმის მთლიანად არის დარჩენილი სამეცნიერო კვლევის მიღმა. წინამდებარე წიგნი პირველია, რომელშიც საბაზისო ფორმით არის გადმოცემული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასამარ-

თლო ხელისუფლება, მისი ძირითადი ინსტიტუტები, უფლებები და მოვალეობები. ეს გამოცდილება, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული თანამედროვე მართლმსაჯულების სისტემის სწორად ჩამოყალიბებისათვის.

წიგნის სათაური “პირველი ნაბიჯები” ასახავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი პირველი საჯარო ანგარიშის სახელწოდებას. ანგარიშის სრული სახელწოდებაა „მოკლე ანგარიში იუსტიციის სამინისტროს მოღვაწეობისა დღეიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე (პირველი ნაბიჯები).“ ეს ანგარიში განსაკუთრებული ისტორიული დოკუმენტია. მასში გადმოცემულია ის საამაყო მიღწევები, რომლებიც სამართლის სფეროში ხელისუფლებას ჰქონდა დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დროის უმოკლეს მონაკვეთში და, ამავე დროს, ის ურთულესი გამოწვევები, რომელთაც რეფორმების გზაზე აწყდებოდა ხელისუფლება. ამგვარად, სწორედ “პირველი ნაბიჯები” შეესაბამება მართლმსაჯულების მშენებლობის პირველი, გადამწყვეტის ეტაპის აღწერის წინამდებარე მცდელობას (იხ. გვ. 16).

კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ საქართველოს ეროვნულ არქივში არსებული მასალა, რომელიც მოიცავს 1919-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის საქმიანობას, არაორგანიზებულია და დაკარგულია მისი მნიშვნელოვანი ნაწილი. დაკარგულია და არ მოიპოვება უამრავი მასალა, ფოტოები, ბიოგრაფიები, მასალა, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს იმის დადასტურებისათვის, რომ საქართველოს დამოუკიდებლადაც შეუძლია არა მხოლოდ არსებობა, არამედ დამოუკიდებელი, წარმატებული სა-

ხელმწიფოს მშენებლობაც. შემორჩენილი მასალები ეპიზოდურია და გაბნეულია რამდენიმე არქივში, რაც ართულებს ამ პერიოდის სასამართლოს შესახებ სისტემურ ანალიზს. თუმცა არის გადარჩენილი მასალები, რომლებიც გვიყვებიან იმ პერიოდის ისტორიას, ამბავს, რომელიც გადაურჩა დაკარგვას და განადგურებას და, მართალია, სახელმწიფოს მართვის ფორმები კონტურებადღაა შემორჩენილი, მაგრამ მთლიანი სურათის დანახვა მაინც არის შესაძლებელი.

კვლევის პერიოდში აღმოჩენილ მასალებს ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ის თვალსაჩინოდ აჩვენებს იმ რეფორმატორულ გარღვევებს, რომლებიც მოხერხდა მხოლოდ სამი წლის განმავლობაში და რომლებიც განსაკუთრებულად შეიძლება მოგვეჩვენოს დღესაც. ამ ნაბიჯებს შორისაა პირველი ინსტანციის მოსამართლის “მომრიგებელი მოსამართლის” ინსტიტუტი და, განსაკუთრებით, მისი არჩევითობა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, როგორც მართლმსაჯულებაში მოსახლეობის ჩართვის მცდელობა, სამართალწარმოების პროცესში ენობრივ უმცირესობათა ინტერესების დაცვა, სენატის, როგორც საკასაციო ინსტანციისა და, ამავე დროს, როგორც სასამართლო პოლიტიკისა და მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების ორგანოს როლი და სხვა მსგავსი საკითხები. ეს გარღვევები, გაკეთებული უმწვავესი სირთულეების ფონზე, უდიდეს შთაგონებას იძლევა რეფორმატორული დღის წესრიგისათვის.

საგულისხმოა, რომ დამოუკიდებელი რესპუბლიკის მემკვიდრეობა მართლმსაჯულების სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ მან ძალიან ცოტა ხანი იარსება, მედეგი აღმოჩნდა. ბოლშევიზმისა და საბჭოთა წყობის 70 წლიანი მმარ-

თველობის შემდეგ, ის, მოგვიანებით, ისევ დამოუკიდებელ საქართველოში აღმოცენდება, რომელიც ეტაპობრივად დაბრუნდება და სახეცვლილი დაინერგა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მართლმსაჯულების სისტემაში.

ამის ყველაზე თვალსაჩინო სიმბოლოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დღევანდელი შენობა. უზენაესი სასამართლოს შენობა აშენდა 1894 წელს, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო და იმთავითვე განკუთვნილი იყო სასამართლო პალატისათვის. მოგვიანებით, მასში განთავსდა სენატი, დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი სასამართლო.<sup>1</sup> 1990 წელს, დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, მასში კვლავაც საქართველოს უზენაესი სასამართლოა განთავსებული. შენობა სიმბოლურად გამოხატავს იმ მედეგობას, რომელიც ქართული მართლმსაჯულების ინსტიტუტებს აღმოაჩნდათ. მათზე მრავალი შეტევისა და წყვეტის პერიოდების მიუხედავად, ისინი შესაძლებლობისთანავე ისევ აღმოცენდებიან.

რა თქმა უნდა, ეს წიგნი არ მოიცავს ყოვლისმომცველ ინფორმაციას ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს სასამართლოს ყველა ასპექტის შესახებ. დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ წიგნში აღწერილი მნიშვნელოვანი რეფორმები, მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და სენატის დაარსება შემოიღო სხვა მნიშვნელოვან რეფორმასთან ერთად, მათ შორის იყო ადვოკატთა კავშირის შექმნა და ქართული ენის სამართალწარმოების ენად შემოღება.

---

<sup>1</sup> შენობის ისტორია, საქართველოს უზენაესი სასამართლო, <http://www.supremecourt.ge/palace-of-justice/palace-of-justice/> [05.10.2019 11:20]

სამწუხაროდ, წიგნის ფორმატის სიმცირის გამო, სრული ყურადღება ყველა ამ სიახლეს ვერ ეთმობა.

წიგნში გადმოცემულია მხოლოდ ძირითადი მხარეები მართლმსაჯულების სისტემის. აღმოჩნდება უამრავი კონკრეტული ინსტიტუტი თუ პროცესი, რომელიც ცალკე კვლევის, ყურადღების ღირსია. მაგალითად, საქართველოს პროკურატურის ისტორია და პროკურორების ინსტიტუტი, რომლებიც სასამართლო ხელისუფლების ფარგლებში სწორედ დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროს შეიქმნენ. ვფიქრობ, ეს წიგნი გახსნის კარს ამ სფეროში სიღრმისეული კვლევის დღის წესრიგის შექმნისათვის მომავალში.

შესაძლებელი იყო, კვლევისათვის აგველო სასამართლოს საქმიანობის უამრავი სხვადასხვა ასპექტი, დაწყებული თავმჯდომარეობის ინსტიტუტიდან, დამთავრებული ქალების სისტემაში წარმომადგებლობით. თუმცა, ვინაიდან ამ ეტაპზე შეუძლებელი იყო ყველა საკითხის წარმოდგენა, მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე შევჩერდით: სასამართლო სისტემის ზოგადი მოწყობა, სენატი და სენატის ორგანიზაციის ფორმა, არჩევითი მომრიგებელი მოსამართლეები, სენატში მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების ფორმები, პროცესი და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

ნაშრომი თითქმის მთლიანად აგებულია პირველ წყაროებზე. ის არის საარქივო შრომის შედეგი. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არქივის დიდი ნაწილი განადგურებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ, შესაბამისად, მონათხრობი ეყრდნობა მასალებს, რომლებიც შენარჩუნებული და დატოვებული იქნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად. ამგვარად, შესაძლებელია, ნაშრომში იყოს უზუსტობები და შეცდომები, რომლებზეც ავტორი

აგებს პასუხს. თუმცა, ვინაიდან, გარკვეულწილად, ეს პიონერული ნაშრომია ამ გამორჩეულ სფეროში, იმედი გვაქვს, რომ ყველა უზუსტობა მომავალი კვლევების მეშვეობით გამოსწორდება.


იმ ადამიანების სია, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ კვლევაში, ძალიან დიდია. პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო PROLOG-ის თანამშრომლებს – გიორგი ჩხეიძეს, გიორგი ვაშაკიძეს, ნინო ბალანჩივაძეს და მარიამ ვარდოსანიძეს, რომლებმაც ერთუზიანობით მიიღეს ეს იდეა და ყველაფერი გააკეთეს მისი მხარდაჭერისათვის. დიდი მადლობა ეკუთვნის მკვლევარ მარი რუხაძეს, რომლის მხარდაჭერის და მონდომების გარეშე ეს პროექტი ფრთებს ვერ მოისხამდა. მადლიერება მინდა გამოვხატო მკვლევარ ირაკლი ირემადის მიმართ, ვისად დიდი წვლილი მიუძღვნის დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრეობის პოპულარიზაციაში. მან საკუთარი მოსაზრებებით, მიმართულება მისცა ამ კვლევას. აქვე დიდი მადლობა ეკუთვნით ჩემს სტუდენტებს, კოლეგებს და მსმენელებს, რომელთა აღფრთოვანებაც, ამ წიგნში გამოხატული იდეების გარშემო, ამ ნაშრომის დასრულების ერთ-ერთი მთავარი მოტივატორი გახდა. რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი მადლობა ეკუთვნის ჩემს შვილს ანდროს, რომელიც მოთმინებით უმკლავდებოდა იმ პერიოდებს, როცა დედის ყურადღება დიდწილად მიპყრობილი იყო 100 წლის წინანდელი ინსტიტუტებისადმი.

წიგნის პირველ თავში მიმოხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის და მისი სახელმწიფო ინსტიტუტების აღმოცენების ზოგადი კონტექსტი. სწორედ კონტექსტი გვიჩვენებს იმ გამოწვევებს, რომლებთან გამკლავებაც სჭირდებოდა დემოკრატიული რეს-

პუბლიკის ხელისუფლებას სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის პროცესში. მეორე თავი ეთმობა მართლმსაჯულების სისტემის ზოგად მიმოხილვას, მთლიანი სისტემის აღწერას. მესამე თავი დათმობილი აქვს არჩევითი მომრიგებელი მოსამართლეების სისტემის აღწერას. შემდეგი თავი ეთმობა უმაღლეს სასამართლოს – სენატის დეტალურად მიმოხილვას, მისი ფუნქციების და პასუხისმგებლობის სფეროების შესწავლას. ბოლო თავი კი ეძღვნება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს – იმ მძიმე პირობებში შექმნილ მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. დასკვნაში ხაზგასმულია დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი მემკვიდრეობის განსაკუთრებული მხარეები, მათი მნიშვნელობა დღევანდელი საზოგადოებისათვის, ის გამოწვევები, რაც რესპუბლიკას ახასიათებდა და ის სფეროები, რომლებიც შესანიშნავ საშუალებას იძლევა შემდგომი კვლევებისათვის.



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს  
მოკლე ანგარიში, 1919 წ. ფოტო:  
საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1938, ა. 1, ს. 37.





5

შედი იმსჯობდნენ უფრო-ბევრად მიმართებულ შინაპირადედა შინა-  
შემწეუბნისა შეუკლებლია განიხილ მიერ დაწესებულ სასამარტლის გო-  
მომომილნი, რამელთა სპეციალისის რეორგ. სადრთელ სასამარტლის  
საქმიანობის, მარტალია, ვერ-პერტობით დიდად ახერხებენ აღმინსჯრ-  
ხილელს მიქმინიშის მიუწყობილთა, მიგრამი რამილთა საქმიანობამი მიანს  
საქმიანობი ნაყოფი გამოილთ, დიდად ხელი შეუწყუ სახელმწიფოთი წესდ-  
რების დაწყობის, მარტლისავერდების იღვის განმსჯობების.

სასამარტლის განმომომილნი რეორგ. მიხედს საქმარტლიანი ახალი  
განმომომილნი უტონს -ს, წინანდედის -ის ნაყუდაც.

ე/ ნაყოფი მსაჯულთა სასამარტლის მიხედების განმომომილნი და მსჯობი-  
შეუდა მარტლისმიხედის მიერ და უტვი გამომიხედის განტარებულთა, რათა ქა-  
დავის თდომომარტლიანობის და მიმინის ერტობისთან დასამი შედგინდ  
იქმინის ნაყოფი მსაჯულთა სადრთელ სივნი და წარდებონის სათანადო რდვის  
სასამარტლიანს. უტვი უს დადადემა აღებლირნივე თდომომარტლიანის  
რკგანობა მიერ დასამი და სათანადო იქმინა მიხედებულთა, სუდ ახლი  
მიმადედაში განმარტლიანდებმა ქმარტლის ერის უდრევის მიხედ-რებნი  
ქმინისა ემიარტობა კუდტარსთან ერთა მიერ საუტობსელ აღდარებულ  
სამარტლის ეტონის-ნაყოფი მსაჯულთა სასამარტლის.

ვ/ უტვიანის საჯანსაყოფი და განმომომილნი-მყუდა დაწესებულთა-სუნი-  
ჭის-აღებულთა განმომომილნი მიმუმიანდა და უტვიანის მიმუმიანის  
ნიდელი სამინისჭარსთან დასამი შედგინდ რამილნიანი ემიანობი, რამილნი-  
მიანს მიმადედაში, სხვათა შორის, მარტლისმიხედის იტონისი  
წუდინი, და უტვი წარდებონის რესპუბლიკის მსაჯობის. მარტლიანი წინდა-  
ხელელ სუნიანის სათანადო მიხედებულთა უტვიანის დაწესებულ-  
თა ახა მარტლი სასამარტლის დასამი, ახალი და განმომომილნი-  
სახელმწიფოთი მარტლი-გამიკლიანის სუნიანის, საიმიხელ დასამი განმომომი-  
რებისა უტვი და დაწესებულთა თდონის.

3. გარდა მიხედ რამილნი და დასამი მიხედისა, სამინისჭარ სუდედრთა  
თაღისის უტვიანის საქმიანობით განმომომილნიანს უტვიანის  
პრინციპი საქმარტლიანი, იმიამიანდა სხვა და სხვა განმომომილნი  
და ეტონისმიხედის განმომომილნი და სასამარტლიანის დასამი შედგინდა  
საქმარტლიანი-სახელმწიფოთიანი და კუდტარს მიხედებმა. სასამარტლი  
უტვიანის დაწესებულთა და თანამიხედების პირთ სასამარტლი  
დისინამი გავდენით ინი დადასამიანი სასამარტლის განმომომილნი სინს-







## სახსარტლოს ჩამოყალიბების კონტექსტი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეფორმების გასააზრებლად მნიშვნელოვანია, კარგად დავინახოთ ის არსებული ვითარება, საიდანაც აღმოცენდა თავად დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი ხელისუფლების რეფორმატორული იდეები. მთავარი ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია რეფორმების გააზრებისათვის, არის ის, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მართლმსაჯულების სისტემა აღმოცენდა რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად. ის რეფორმები, რომლებიც დაუყოვნებლივ დაინერგა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, დიდი ხანია მწიფდებოდა, რუსეთის იმპერიის ფარგლებშიც, ქართულ ინტელექტუალურ წრეებში. როგორც ჩანს, ქართველი ინტელექტუალური ელიტა, რუსეთის იმპერიის ფარგლებშიც, დიდი ხანია ითხოვდა რეფორმების იმ ნაწილს, რომელიც მოგვიანებით განხორციელდა დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ხალხთან ახლოს მყოფი მართლმსაჯულება, მათ შორის ქართულ ენაზე სამართალწარმოება, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და ქართული ენის მცოდნე არჩეული მოსამართლეები იდგნენ ქართული ინტელექტუალური წრეების დღის წესრიგში.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიის არსებობის ბოლო დეკადებში მოხდა მთელი რიგი ცვლილებები მართლმსაჯულების სფეროში, საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი ეს რეფორმები რუსეთის იმპერიის ფარგლებში არ განხორციელდა. სწორედ ხალხთან დაახლოებული მართლმსაჯულების მეშვეობით იქმნებოდა რისკი, რომ იმპერიას დაქვემდებარებულ მოსახლეობას თვითმმართველობის შეუსაბამოდ დიდი ხარისხი გადაეცე-

მოდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის ბოლო ათწლეულებში მოხდა სასამართლო სისტემის რეფორმა, ამ რეფორმის ამოსავალი მიზანი იყო იმპერიის ფარგლებში საქართველოს კიდევ უფრო ინტეგრაცია და არა პირიქით, ქართველი ხალხისათვის მეტი სუვერენიტეტის გადაცემა.

საქართველოში მართლმსაჯულებაში შენარჩუნდა იმპერიის მმართველობის ელემენტები, მაგალითად, საკასაციო ინსტანცია – სენატი მდებარეობდა იმპერიის ცენტრში, მოსამართლეებად იმპერიიდან ინიშნებოდნენ ქართული ენის არმცოდნე საჯარო მოხელეები და, მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შეიქმნა იმპერიის ცენტრში, მისი შექმნა საქართველოში არ ჩაითვალა მიზანშეწონილად.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსია მოხდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და საქართველო რუსეთის იმპერიის გუბერნიად გადაიქცა. თუმცა ამ ეტაპზე რუსეთის იმპერიული კონტროლი საქართველოზე მყარი არ იყო. შესაბამისად, რუსეთის მეფის პოლიტიკა საქართველოს მიმართ იყო ფრთხილი და სტრატეგიული.<sup>2</sup> თუმცა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისათვის პოლიტიკური კონტროლის კონსოლიდირება მოხდა და იმპერიამ ნელ-ნელა ეკონომიკური დომინირების პოზიციის დაკავება დაიწყო.<sup>3</sup>

რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ შეიცვალა მოქნილიდან უფრო რეპრესიულ მიდგომაში და ეს ცვლილება დამოკიდებული იყო რუსეთის შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე, წინააღმდეგობის ხარისხზე შიგნით საქართველოში

---

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რედ. გ. მელიქიშვილი, (შემდეგში “ნარკვევები”) 5, 1970, 339.

<sup>3</sup> იქვე.



და საქართველოში დანიშნული მეფისნაცვლის ინდივიდუალურ მიდგომებზე.<sup>4</sup>

ამ პერიოდში სასამართლო რეფორმები საქართველოში უკავშირდება რუსეთში «სამართლის ოქროს ხანად» წოდებულ პერიოდს – ალექსანდრე II რეფორმებს, რომელთა ეფექტი საქართველოზეც გავრცელდა 1864 წლიდან 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე.<sup>5</sup> 1964 წლის 20 ნოემბერის რეფორმებით ალექსანდრე მეორემ შექმნა დამოუკიდებელი სასამართლო, გასაჯაროვდა სასამართლო პროცესები და გასაჩივრების უფლებაც დაუშვა. მოსამართლეებმა მიიღეს დამოუკიდებლობის გარანტიები. სასამართლო აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას გამოეყო. მეფე უვადოდ ნიშნავდა მოსამართლეებს სენატში (უზენაეს სამართლოში), ხოლო იუსტიციის მინისტრის რეკომენდაციით ინიშნებოდნენ საოლქო სასამართლოებში. კანდიდატების წარდგენა ხდებოდა საჯაროდ, იმ სასამართლოში, სადაც ვაკანსია იქმნებოდა. შესაბამისად, ხალხის მიერ ხდებოდა მოსამართლეთა კანდიდატების წარდგენა.<sup>6</sup> მომრიგებელი მოსამართლეები ირჩეოდნენ და მართლმსაჯულებაზე ზედამხედველობას ახორციელებდნენ არა პოლიტიკოსები, არამედ სენატის შესა-

---

<sup>4</sup> Ronald Grigor Suny, *The Peasants Have Always Fed Us: The Georgian Nobility and the Peasant Emancipation, 1856-1871*, 38 *Russian Review*, 27, 64-95 (1979).

<sup>5</sup> James W. Diehm, *The Introduction of Jury Trials and Adversarial Elements Into the Former Soviet Union and Other Inquisitorial Countries*, 11 *J. TRANSNAT'L L. & POL'Y* 1 (2001); Stephen C. Trahman, *The Resurrection of Trial by Jury in Russia*, 31 *STAN. J. INT'L. L.* 61 (1995).

<sup>6</sup> Samuel Kucherov, *The Organs of Soviet Administration of Justice: Their History and Operation*, 313 (1970).

ბამისი დეპარტამენტი.<sup>7</sup> სწორედ ამ რეფორმების შედეგად შეიქმნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო «ყველა იმ დანაშაულისა და გადაცდომისათვის, რასთან მიმართებაში კანონი ითვალისწინებდა სამოქალაქო უფლებათა ჩამორთმევას ან შეზღუდვას».<sup>8</sup>

თუმცა ამ რეფორმებს ორგვარი ხასიათი ჰქონდა. მოსახლეობის სასიკეთოდ ისინი სრულად განხორციელდა მხოლოდ რუსეთის იმპერიის ცენტრში და შეზღუდული სახით დაინერგა რუსეთის იმპერიის სუბიექტებში. იმპერიის სუბიექტებში მისი დანერგვის მიზანი სხვა იყო: საქართველოს მართვის სისტემის შესაბამისობაში მოყვანა მთლიანად იმპერიის მართვის სისტემასთან მისი ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით და არა ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება უკეთესი მართლმსაჯულების განხორციელებით. ისტორიკოსი რონალდ სუნი აღნიშნავს, “1801 წლის შემდეგ საქართველოში რუსი საჯარო მოხელეების მიერ შემოღებული კანონმდებლობის დიდი ნაწილის მიზანი იყო, ეს ანომალიური მხარე შესაბამისობაში მოეყვანა რუსულ ბიუროკრატიულ სისტემასთან, თუმცა, ამავე დროს, შეენარჩუნებინა ძირითადი იერარქიული და პატერნალისტული პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურა, სადაც

---

<sup>7</sup> Samuel Kucherov, *The Organs of the Soviet Administration of Justice: Their History and Operation*, 313-314.

<sup>8</sup> Samuel Kucherov, *Courts, Lawyers and Trials under the Last Three Tsars* (F.A. Praeger 1953), quoted in Hon. Jon C. Coughenour, *Reflections on Russia's Revival of Trial by Jury: History Demands that We Ask Difficult Questions Regarding Terror Trials, Procedures to Combat Terrorism, and Our Federal Sentencing Regime*, 26 SEATTLE U. L. REV. 399, 405 (2002-2003).

თავადაზნაურობა დარჩებოდა პრივილეგიის და ძალაუფლების მდგომარეობაში.<sup>9</sup>

იმპერიული რეფორმების ავტორები მიიჩნევდნენ, რომ ადგილობრივი ქართული მოსახლეობა, მაგალითად, არ იყო მზად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის და რომ არსებობდა «კონკრეტული ადგილობრივი გარემოებები», რაც ართულებდა პერიფერიებში რეფორმების სრულად შემოღებას.<sup>10</sup>

რუსეთის იმპერიის რეფორმატორები მიიჩნევდნენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ იყო მზად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის.

შესაბამისად, რუსული 1860 და 1870 წლების რეფორმებიდან მხოლოდ რამდენიმე რეფორმა დაინერგა ტრანსკავკასიაში.<sup>11</sup> 1861 წელს სანკტ პეტერბურგის კავკასიის კომიტეტმა რუსეთის მეფისნაცვალ ბარიატინსკს დაავალა მიწის რეფორმის დაწყება.<sup>12</sup> გლეხთა გათავისუფლება რამდენიმე საფეხურად განხორციელდა. თბილისის პროვინციაში ყმობა იმპერატორის მიერ 1864 წლის 13 ოქტომბერს მოხდა.<sup>13</sup> 1866 წლის 11 აგვისტოს კანონის მიხედვით, თბილისის საარჩევნო სისტემა

---

<sup>9</sup> Ronald Grigor Suny, *The Peasants Have Always Fed Us: The Georgian Nobility and the Peasant Emancipation 1856-1871*, 38 *Russian Review*, 27, 51 (1979).

<sup>10</sup> ნარკვევები 5, 1970, 230.

<sup>11</sup> Ronald Grigor Suny, *The Peasants Have Always Fed Us: The Georgian Nobility and the Peasant Emancipation 1856-1871*, 38 *Russian Review*, 27, 119 (1979).

<sup>12</sup> იქვე, 27-29.

<sup>13</sup> იქვე.

შეიცვალა. ამ რეფორმის არსი სავაჭრო პალატების ძალაუფლების შესუსტება იყო, ვინაიდან ის რუსეთის იმპერიის საგადასახადო ავტორიტეტს უქმნიდა საფრთხეს.<sup>14</sup> რუსეთის მუნიციპალიტეტების კანონმდებლობა თბილისზე 1874 წელს გავრცელდა და ამით თბილისი იმპერიულ ქალაქთა სისტემას ოფიციალურად შეურთდა.<sup>15</sup>

1866 წელს ადგილობრივი სასამართლო სისტემაც გაუქმდა და სასამართლო სისტემა რუსეთის ზოგადი იმპერიული სასამართლო ადმინისტრირების სფეროში მოექცა.<sup>16</sup>

ამ დროს სასამართლოს მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. 1868 წლის 1 იანვარს გაუქმდა წოდებრივი სასამართლოები და შეიქმნა საერთო სასამართლოთა სისტემა, სადაც განსჯა ხდებოდა მოსარჩელის წოდებრივი სტატუსის მიხედვით. შეიქმნა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი მაზრებში. მომრიგებელი მოსამართლეები პირველი ინსტანციის მოსამართლეები იყვნენ, მთლიანი სისტემა საოლქო და სამომრიგებლო მოსამართლეებისგან შედგებოდა. უმაღლესს სასამართლოს სასამართლო პალატა წარმოადგენდა, მისი გადაწყვეტილებების გასაჩივრება რუსეთის იმპერიულ სენატში შეიძლებოდა.<sup>17</sup>

---

<sup>14</sup> იქვე, 120.

<sup>15</sup> იქვე, 121.

<sup>16</sup> იქვე, 199.

<sup>17</sup> ნარკვევები, 1970, 5, 230.

თუმცა ალექსანდრე II რეფორმების მთავარი მიღწევა, მოსამართლეთა არჩევა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში არ დაინერგა. მოსამართლეებს ხელისუფლება ნიშნავდა. ასე რომ, სისტემა შედგებოდა მოსამართლეებისგან, რომლებიც ჩვეულებრივი საჯარო მოხელეები იყვნენ. მათ არ გააჩნდათ რუსეთის ცენტრალური სასამართლოსათვის დამახასიათებელი დამოუკიდებლობა.<sup>18</sup>

საქართველოში სამართალწარმოებაში მწვავედ იდგა სამართალწარმოების ენის საკითხი. სამართალწარმოება ხორციელდებოდა რუსულად, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ქართველი ინტელექტუალები ხშირად გამოთქვამდნენ კრიტიკას, რომ ხალხს მართლმსაჯულების ენა არ ესმოდა.<sup>19</sup> თავდაპირველად, რუსეთის ადმინისტრაცია ფიქრობდა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოწყობას და გადადგა კიდევ ნაბიჯები ამ მიზნით.<sup>20</sup> ქართველი მესვეურები ღიად და აქტიურად უჭერდნენ მხარს ამ იდეას. თუმცა ეს იდეა არ განხორციელდა.

რუსეთის იმპერია 1917 წლის თებერვალში დაეცა. ბოლშევიკები ხელისუფლებაში მოვიდნენ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციით. რევოლუციურმა მთავრობამ 1917 წლის 24 დეკემბერს მიიღო ბრძანება №1, რითაც თითქმის მთლიანად გააუქმა ცარისტული სასამართლო სისტემა. თუმცა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მომრიგებელი მოსამართლეები თავდაპირ-

---

<sup>18</sup> ნარკვევები, 5, 1970, 230.

<sup>19</sup> ნარკვევები, 5, 1970, 230.

<sup>20</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო <http://msajuli.ge/index.php?m=795> [11.04.2019 11.05]

ველად შეინარჩუნა.<sup>21</sup> ბოლშევიკებმა ასევე გააუქმეს ადვოკატთა კავშირი და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები.<sup>22</sup>

ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ვითარება საქართველოში სწრაფად შეიცვალა. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოაწყო პოლიტიკურ ორგანიზაციათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კრება – ეროვნული საბჭო. მენშევიკების პარტიის ლიდერი ნოე ჟორდანიას იყო ყრილობის თავმჯდომარე.<sup>23</sup> ბოლშევიკებმა საბჭოს ბოიკოტი გამოუცხადეს.<sup>24</sup> ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და დამოუკიდებლობის დეკლარაციაც 1918 წლის 26 მაისს მიიღო. 1919 წელს დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატები აირჩიეს 81%-ის უმრავლესობით.<sup>25</sup> 1918-1921 წლების მთავრობა მიჩნეულია პირველ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობად მსოფლიოში.<sup>26</sup> პარლამენტი აქტიურად

---

<sup>21</sup> Samuel Kucherov, *The Organs of Soviet Administration of Justice: Their History and Operation*, 314 (1970).

<sup>22</sup> Hon. Jon C. Coughenour, *Reflections on Russia's Revival of Trial by Jury: History Demands that We Ask Difficult Questions Regarding Terror Trials, Procedures to Combat Terrorism, and Our Federal Sentencing Regime*, 26 SEATTLE U. L. REV. 399, 405 (2002-2003).

<sup>23</sup> See Noah Zhordania, (MY LIFE) (1968).

<sup>24</sup> გ. პაპუაშვილი, *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციასთან დაკავშირებული რეტროსპექტივა*, 9 მაისი, 2012.

<http://www.fed-soc.org/publications/detail/a-retrospective-on-the-1921-constitution-of-the-democratic-republic-of-georgia> [13.03.2019 13:15]

<sup>25</sup> Stephen Jones, *The Establishment of Soviet Power in Transcaucasia: The Case of Georgia 1921-1928*, XL SOVIET STUDIES 616, 616 (1988).

<sup>26</sup> გ. პაპუაშვილი, *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციასთან დაკავშირებული რეტროსპექტივა*, 9 მაისი, 2012.

ჩაერთო რეფორმებში. მან მიიღო 100 ზე მეტი კანონი, მათ შორის ფუძემდებლური კანონმდებლობა სასამართლოს შესახებ.

მართლმსაჯულების სფეროში კანონშემოქმედების მთავარი ამოცანა იყო მისი დაახლოება ხალხთან და საქართველოს სუვერენიტეტის მართლმსაჯულების სფეროში რეალიზება. შესაბამისად, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ აქტიურად დანერგა ის რეფორმები, რომელთაც მანამდეც ითხოვდა საქართველოს მოსახლეობა და რომელიც უკვე ქართულ სახელმწიფოს გაუზენდა საკუთარ მოსახლეობასთან ახლო კავშირს. შესაძლებელია, სწორედ იმიტომ გახდა შესაძლებელი ძალიან მოკლე პერიოდში მთელი რიგი ინსტიტუტების შემოღება, რომ მათ შესახებ წარმოდგენა ქართულ წრეებში მომწიფებული იყო უკვე რუსეთის იმპერიის ფარგლებში. შესაბამისად, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ხელისუფლებას ბევრი დრო არ დაუკარგავს მართლმსაჯულების შესახებ კონცეფციებისა და ხედვების განვითარებაში, მან მყისიერად მოჰკიდა ხელი მართლმსაჯულების სფეროში რეფორმატორული ნაბიჯების გადადგმას.

დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუცია მიიღო 1921 წლის 21 თებერვალს.<sup>27</sup> კონსტიტუცია მოკლევნიანი აღმოჩნდა, ვინაიდან 25 თებერვალს<sup>28</sup> მე-11 წითელმა არ-

---

<http://www.fed-soc.org/publications/detail/a-retrospective-on-the-1921-constitution-of-the-democratic-republic-of-georgia> [12.02.2019 12:10].

<sup>27</sup>საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია (2009). Constitution of the Democratic Republic of Georgia of February 21, 1921 (2009).

[http://www.constcourt.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=248](http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=248) [02.04.2019 16:15].

<sup>28</sup> იქვე.

მიამ დაიკავა თბილისი და დაასრულა მენშევიკების 3 წლიანი მმრათველობა.

არმიამ საქართველოს კონსტიტუცია გააუქმა.<sup>29</sup> გამარჯვებულმა რევოლუციურმა კომიტეტმა პირველი აქტი 1921 წლის 26 თებერვალსვე გამოსცა. ბრძანება, სხვა საკითხთა შორის, გარდამავალ პერიოდში საჯარო მოხელეებს საქმიანობის ჩვეულებრივად გაგრძელებას ავალებდა.<sup>30</sup>

დამოუკიდებელი საქართველოს მართლმსაჯულების წინარე ისტორია საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ, რის საფუძველზეც მომწიფდა ბევრი ის რეფორმატორული იდეა, რომელიც ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტიდანვე დანერგა. დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას მემკვიდრეობად შეხვდა სასამართლო სისტემის ჩანასახები, რომლებიც რუსეთის იმპერიის პერიოდში ჩამოყალიბდა, მაგალითად, სასამართლოს ინსტანციურობა, დანიშვნითი მომრიგებელი მოსამართლეები, მხარეთა შეჯიბრებითობის კონტურები. თუმცა ამ ინსტიტუციურ ჩარჩოს აკლდა მთავარი შინაარსი: ეს არის საქართველოს მოსახლეობის ინტერესთა მსახური და მოსახლეობისათვის მართლმსაჯულების განხორციელება. სასამართლოს მუშაკები, მათ შორის მოსამართლეები, სრულიად გაუცხოებულნი იყვნენ მოსახლეობისაგან, ვინაიდან მათ, ძირითადად, არ იცოდნენ ქართული ენა და ინიშნებოდნენ იმპერიიდან. იდეები, რომლებიც მართლმსაჯულებას გახდიდა ადგილობრი-

---

<sup>29</sup> Stephen Jones, *The Establishment of Soviet Power in Transcaucasia: The Case of Georgia 1921-1928*, XL SOVIET STUDIES 616, 616 (1988).

<sup>30</sup> საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის ბრძანება მთელი ძალაუფლების ხელში აღების შესახებ, 26 თებერვალი, 1921 წელი (Борьба за упрочение Советской власти в Грузии. Тб., 1959, стр. 3).



ვად და ხალხს დაახლოებდა, მწიფდებოდა ქართულ წრეებში იმპერიის პერიოდში. ქართულ გაზეთებში, როგორც ქვევით ნახავთ, მიმდინარეობდა პაექრობა ამ საკითხებთან დაკავშირებით. ქართული წრეები გამუდმებით ითხოვდნენ რუსეთის იმპერიისგან მსგავს რეფორმებს. შესაბამისად, დამოუკიდებლობის მიღწევის დროისათვის დღის წესრიგში უკვე იყო იმ რეფორმების მონახაზი, რომელიც მართლმსაჯულებას უკვე ქართულ სახელმწიფოში ხალხთან ახლოს მიიტანდა. ამიტომაც, დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლებამ შეძლო და ქართული სუვერენიტეტის შინაარსის მის რეფორმებს მოკლე დროში და კრიზისულ გარემოშიც კი ჩაჰბერა.

## სასამართლო სისტემის მიმოხილვა

საქართველოს პირველი დამოუკიდებელი მთავრობის პოლიტიკის მიზნად გამოცხადებული იყო “პირველ ყოვლისა, საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება, სახელმწიფოში წესიერების დამყარება, ცხოვრების ჩვეულებრივ კალაპოტში ჩაყენება. რევოლუციის მონაპოვარ დემოკრატიულ წეს-წყობილების უფლებრივ ნორმებში ჩამოყალიბება.”<sup>31</sup>

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო.<sup>32</sup> კონსტიტუცია 17 თავისა და 149 მუხლისგან შედგებოდა.<sup>33</sup> კონსტიტუცია მიეკუთვნებოდა ევროპაში პირველ კონსტიტუციას რიცხვს. ამავე პერიოდში მიიღეს კონსტიტუციები ავსტრიაში, ფინეთში და გერმანიაში. <sup>34</sup> კონსტიტუცია მოიცავს ადამიანის უფლებათა თავს, მათ შორის სამართლიანი სასამართლოს უფლებას,<sup>35</sup> გამოხატვისა და პრესის თავისუფლებას,<sup>36</sup> გაფიცვის თავი-

---

<sup>31</sup> იუსტიციის სამინისტროს მოკლე ანგარიში დამოუკიდებლობის გამოცხადების მოღვაწეობის დღიდან დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, (პირველი ნაბიჯები), 1918-1919 წწ., (შემდგომში „პირველი ნაბიჯები“), საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1938, ა. 1, ს. 37.

<sup>32</sup> კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, რედ. ა. დემეტრაშვილი, 2005, 62.

<sup>33</sup> გ. პაპუაშვილი, *წინათქმა*, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 21-ე საუკუნის გადმოსახედოდან, 8. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია (2009).

[http://www.constcourt.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=248](http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=248)  
[14.03.2019 17:00].

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> იქვე, მუხლი 25, 26.

<sup>36</sup> იქვე, მუხლი 32.

სუფლებას.<sup>37</sup> უნდა აღნიშნოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მნიშვნელობა საქართველოსათვის. ეს იყო ქართველი ხალხის უდიდესი მონაპოვარი, რომელსაც ეყრდნობა დღეს მოქმედი კონსტიტუცია და, შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოადგენს მრავალსაუკუნოვან კავშირს დღევანდელსა და იმ პერიოდის დემოკრატიულ სახელმწიფოს ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას შორის.<sup>38</sup>

1921 წლის კონსტიტუციის მეექვსე თავი ეთმობა სასამართლო ხელისუფლებას. ის აღმასრულებელი ხელისუფლების თავს მოსდევს და რვა მუხლისაგან შედგება. მუხლების სიმცირე იმით შეიძლება აიხსნებოდეს, რომ კონსტიტუციის 77-ე მუხლი მიუთითებს, რომ სასამართლო სისტემის ორგანიზაციის საკითხები კანონით განისაზღვრება.<sup>39</sup> ეს თავი სასამართლო ხელისუფლების ძირითად კონტურებს მოიცავს. პირველივე მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო – სენატი და გადმოცემულია სენატის ორი მიზანი: ზედამხედველობა გაუწიოს კანონის დაცვას და იმოქმედოს როგორც საკასაციო სასამართლომ.<sup>40</sup>

სასამართლოს თავში გადმოცემულია ხუთი ძირითადი პრინციპი: 1. სასამართლოს ორგანიზაციის ძირითადი წახნაგები: სენატის შემოღება (მუხლი 76) და სისხლის, სამოქალა-

---

<sup>37</sup> იქვე, მუხლი 38.

<sup>38</sup> საქართველოს კონსტიტუცია, პრეამბულა (23.03.2018. #2071).

<sup>39</sup> გ. პაპუაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 21 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან, 28.

<sup>40</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 76.

<https://www.constcourt.ge/ge/publications/books/1921-wlis-saqartvelos-demokratiuli-respublikis-konstitucia.page>. [11.03.2019 11:20].

ქო და ადმინისტრაციული სასამართლოების დაწესება. აღსანიშნავია, რომ გაუქმებულია დროებითი სასამართლოები. კონსტიტუცია საგანგებო აღნიშვნას აკეთებს, რომ სასამართლოები მუდმივია (მუხლი 77); 2. სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი: სასამართლო დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს, (მუხლი 78) და სასამართლოს განაჩენის გაუქმების/შეცვლის დაუშვებლობა სხვა სახელისუფლებო შტოს მიერ. (მუხლი 79); 3. საჯაროობის პრინციპი: სასამართლო სხდომა საჯაროა და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ზნეობისა და მშვიდობიანობის პრინციპი, შეიძლება ის დახურული იქნეს თავად სასამართლოს გადაწყვეტილებით. (მუხლი 80); 4. ხაზგასასმელია, რომ პირველი კონსტიტუცია მიუთითებდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე, რომელიც შემოღებულ იქნა მძიმე სისხლის სამართლის, პოლიტიკური და “ბეჭდვითი დანაშაულისთვის.” ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ისევე როგორც სენატი, უკვე ფუნქციონირებდა კონსტიტუციის მიღების მომენტისათვის. კონსტიტუციამ ამ ინსტიტუტების არსებობა ფორმალური თვალსაზრისით დააგვირგინა; 5. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიებში კონსტიტუცია მოიცავს, პირველ რიგში, მოსამართლის არჩევითობის პრინციპს, რაც იყო დამოუკიდებელი რესპუბლიკის უდიდესი მიღწევა და სიამაყე (მუხლი 82).

მუხლი 82. მოსამართლე აირჩევა ვადით. არჩევის წესი და პირობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მსაჯული კანონით განისაზღვრება.<sup>41</sup>

<sup>41</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია.

ამავე დროს, დამოუკიდებლობის გარანტიებში იგულისხმება მოსამართლის ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანის აკრძალვა სასამართლოს დადგენილების გარეშე, მისი სურვილის საწინაარმდეგოდ. მოსამართლის დროებით გადაყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, თუ ის იყო “სამართალში დაცემული” ანუ ბრალდებული და მისი დათხოვნა შესაძლებელი იყო მხოლოდ სასამართლოს განაჩენით (მუხლი 83).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასამართლო სისტემის, როგორც მთლიანი, ისე მისი ცალკეული ინსტიტუტის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, თამამად განვაცხადოთ, რომ ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ სამი წელი იარსება, მოახერხა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი მართლმსაჯულების ჩანასახების შექმნა.

საყურადღებოა, რომ სახელმწიფოს მოქმედება სასამართლოსთან მიმართებაში მიმდინარეობდა ორ ნაწილად: თავდაპირველად, მოქმედება საკანონმდებლო მოწესრიგების მხრივ და შემდეგ კი კანონმდებლობის დანერგვის თვალსაზრისით.

იუსტიციის სამინისტრო საკუთარ ანგარიშში აღნიშნავს, „და თუ პირველ ხანებში სამინისტროს უხდებოდა მუშაობა უფრო სასამართლოს ახალი ფორმების ჩამოყალიბების და რეფორმების დაკანონების სფეროში, შემდეგი მისი მოქმედება უმთავრესად გამოიხატებოდა უკვე დაკანონებული რეფორმების განხორციელებაში. სასამართლო უწყების დაწესებულებათა საქმიანობაში წესიერების და სისტემის შეტანაში.“<sup>42</sup>

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო ხელისუფლება, როგორც წყაროებიდან ჩანს, რევოლუციური ვითარებიდან თითქმის უვნებელი აღმოცენდა. სასამართლოს მდგომარე-

---

<sup>42</sup> პირველი ნაბიჯები.

ობა, მიუხედავად დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს დამდგარი კრიზისისა და საგანგებო სასამართლოების არსებობისა, მნიშვნელოვნად არ შელახულა. შესაბამისად, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას არ მოუწია ინსტიტუტების ძირფესვიანად თავიდან აშენება, არამედ მან უკვე არსებულ ინსტიტუციურ საფუძველზე გააგრძელა უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოს მართლმსაჯულების შენება. ამან დიდი უპირატესობა მიანიჭა ხელისუფლებას დროის ეკონომიის მხრივ. ინსტიტუტების ცარიელ ფურცელზე აგების მაგივრად, რასაც ბევრად მეტი დრო და სახსრები დასჭირდებოდა, ხელისუფლებამ უკვე არსებულ ინსტიტუციურ საფუძველებზე დაყრდნობით განაგრძო რეფორმა და ისინი ეროვნულ, სუვერენულ ინტერესებს მიუსადაგა. ამისათვის, შესაბამისად, მას ბევრად ნაკლები რესურსი დასჭირდა.

„იმ დაწესებულებათა შორის, რომლებმაც ხალხის ნდობა შეინარჩუნეს, სასამართლოს პირველი ადგილი უკავია. ეს ნდობა სასამართლოს და კანონისადმი, სხვათა შორის, იმითაც მტკიცდება, რომ რევოლუციის ქარ-ცეცხლის დროს, როდესაც მცნება თავისუფლებისა ახირებულად იყო გაგებული და მრავალი დაწესებულებანი ნგრევის და გაუგებრობის ხანას განიცდიდნენ, სასამართლო და მართლმსაჯულება ქართველი ხალხისაგან არ შელახულა, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ხალხს ვინმე თავად გაესამართლებინოს.“<sup>43</sup>

შესაბამისად, რევოლუციური ხასიათის ცვლილებების მიუხედავად, ხელუხლებლად იყო შენარჩუნებული სასამართლოს ინსტიტუციური მხარე. ის არ დანგრეულა.

---

<sup>43</sup>იქვე.


ახალი, უკვე დამოუკიდებელი საქართველოს შინაარსობრივი მხარე კი სწორედ ამ უკვე არსებულ ინსტიტუციურ ჩარჩოში მოექცა, რამაც მოკლე დროში რეფორმა რეალური და შესაძლებელი გახადა. მაგალითად, სასამართლოსთან მიმართებაში შენარჩუნებული იქნა ინსტანციურობის პრინციპი. სამართალწარმოება მიმდინარეობდა სამ ინსტანციაში. ძირითადად, შენარჩუნებული იყო რუსეთის იმპერიის დროს მოქმედი იერარქიულობის კონტურები რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილებით, რომელთა შორის უპირველესი ადგილობრივი საკასაციო ინსტანციის, სენატის შექმნა იყო.

პირველი ინსტანცია დაყოფილი იყო ორ ნაწილად: მართლმსაჯულებას წვრილმან დავებზე და ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე ახორციელებდნენ მომრიგებელი მოსამართლეები, ხოლო შედარებით მსხვილი დავები და მძიმე დანაშაულები იხილებოდა სამომრიგებლო ოლქებში, რომლებიც, როგორც წესი, მდებარეობდა ქალაქში. მაგ., ზუგდიდის სამომრიგებლო ოლქი და სენაკის, ხობის, ჩხოროწყუს და ა.შ. მომრიგებელი მოსამართლეები.<sup>44</sup>

ზემდგომი ინსტანცია ანუ მეორე ინსტანცია იყო მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, რომელშიც სამომრიგებლო ოლქის და მომრიგებელ მოსამართლეთა განხილული საქმეები შედიოდა. ხოლო მესამე და ბოლო ინსტანცია იყო სენატი, სადაც ყრილობის განხილული საქმეები განიხილებოდა.

---

44 კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №58, 1918 წ., 2.



ინსტანციურობის პრინციპს იუსტიციის სამინისტრო კანონიერების დაცვით ხსნის. მიუხედავად იმისა, რომ ინსტანციურობა შედარებით მეტ დროს მოითხოვს, ინსტანციურობა ამცირებს არაკანონიერი ქმედების შესაძლებლობას და ტოვებს უკანონო ქმედების სასამართლოშივე გამოსწორების საშუალებას.

ინსტანციურობის მნიშვნელობას ხსნის იუსტიციის სამინისტრო, „ამ მიზნების მისაღწევად, სამინისტროს აზრით, მართლმსაჯულებას სარჩულად უნდა დაედოს კოლექტიური და ინსტანციების სისტემა. მართალია, ეს წესი სასამართლოს მოქმედებას ცოტათი აჭიანურებს შედარებით იმ სისტემასთან, რომლის ძალითაც განაჩენის გასაჩივრება არ შეიძლება, მაგრამ მაგივრად დიდად ამცირებს სხვადასხვა არაკანონიერ მოქმედებას. კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი უნდა იყვნენ და კერძო შეხედულებას, კანონით არ ნაგულისხმევს, ადგილი არ უნდა ექნეს.“<sup>45</sup>

გარდამავალი პერიოდის და დამოუკიდებლობის სულისკვეთების გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშ-

<sup>45</sup> პირველი ნაბიჯები.



ვნელობა ენიჭებოდა მოქალაქეთა ინტერესების დაცვას სახელმწიფოს მხრიდან. ამრიგად, სისტემის სიახლე იყო ადმინისტრაციული სასამართლოები, რომლებიც დაწესებულებათა ანდა მოხელის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ საჩივრებს იხილავდნენ.

„კერენსკის მთავრობის მიერ შემოღებულ იქნა საადმინისტრაციო სასამართლოები იმ საჩივართა განსახილველად, რომელნიც შემოტანილნი იქნებოდნენ ამა თუ იმ დაწესებულების ან მოხელის განაჩენის შესახებ. რათა სახელმწიფოს ცხოვრებამ უფლებრივი ხასიათი მიიღოს ეს სასამართლოები სასურველნი არიან.“<sup>46</sup>

ადმინისტრაციული სასამართლოები იხილავდნენ საჩივრებს სახელმწიფო დაწესებულებების და მოხელეების წინააღმდეგ.

თავდაპირველად, ადმინისტრაციული განყოფილება დაარსდა ოლქის სასამართლოსთან და შედგებოდა თავმჯდომარის, მოადგილისა და ორი წევრისაგან. თუმცა მოგვიანებით, მოხდა რეორგანიზაცია. სამართალწარმოება გამარტივდა. ოლქის სამოქალაქო განყოფილების ერთი წევრი, მოსამართლეთა ყრილობის დადგენილების მიხედვით, გამწესებულ იქნა საადმინისტრაციო საქმეების მოსამართლედ. საადმინისტრაციო საქმეებს განიხილავდა სამოქალაქო სასამართლო, საადმინისტრაციო ნაწილის გამგის მოხსენების საფუძველზე. „საქმეს ამით არავითარი ზიანი არ მიეცემა, საოლქო სასამართლოთა ორგანიზაცია გამარტივდება და სახელმწიფოსაც დიდი თანხა შეენახება. უნდა აღინიშნოს აგრეთვე მეორე ნაკლო-

---

<sup>46</sup> იქვე.  
40

ვანებაც არსებული საადმინისტრაციო სასამართლოებისა.“<sup>47</sup>

გარდა ამისა, გაფართოვდა საადმინისტრაციო სასამართლოს იურისდიქცია და მასში, მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად, დაბალი რანგის საჯარო მოხელეების, მაგალითად, სოფლის მოხელეების აქტების გასაჩივრებაც შევიდა.<sup>48</sup>

მოხელეების გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობის განვითარება ჯდებაოდა დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციურ სულისკვეთებაში, სადაც ადამიანის უფლებების დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ სულისკვეთების შესაბამისად, როგორც სენატის საადმინისტრაციო განყოფილების სამართალწარმოებაში ჩანს, მას მართლაც არაერთხელ გაუუქმებია, თუნდაც ძალიან მაღალი რანგის მოხელეების, მათ შორის მინისტრის ბრძანებები.

---

<sup>47</sup> იქვე.

<sup>48</sup> იქვე.

## მომრიგებელი მოსამართლეები

შეიძლება ითქვას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართლმსაჯულების ხელწერა არის არჩევითი მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი. მომრიგებელი მოსამართლე იყო პირველი ინსტანციის მოსამართლე, არჩევითი პირი, რომელიც წყვეტდა მცირე მნიშვნელობის დავებს.

ეს ინსტიტუტი რესპუბლიკის მთავრობამ შეინარჩუნა რუსეთის იმპერიის დროიდან. თუმცა უმნიშვნელოვანესი სიახლე იყო ამ მოსამართლეების არჩევითობა. ეს იყო უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, რითაც სასამართლო დაუახლოვდა ქართველ ხალხს.

მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის ფორმირება მჭიდროდ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან. 1918 წლის აგვისტოში დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი, რომელიც ახლებურად აწესრიგებდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას. ის ეფუძნებოდა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ ტერიტორიულ მოწყობას, თუმცა სახეცვლილი ფორმით გვთავაზობდა მაზრებისა და ოლქების დაყოფას.<sup>49</sup> თბილისის გუბერნიაში გამოიყო შვიდი მაზრა, ქუთაისის გუბერნიაში ასევე შვიდი მაზრა, შეიქმნა სოხუმის ოლქი, ზაქათალას ოლქი, ხოლო 1920 წლიდან ასევე ცალკე გამოიყო ბათუმის ოლქი.

<sup>49</sup> ბ. კუპატაძე, *საქართველოს ხელისუფლების ისტორია*, 2009, 81-82.

თბილისის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა  
 თანამდებობაზე დამტკიცების შესახებ, ფოტო: საქართველოს  
 ეროვნული არქივი, ფ. 1837, ა. 1, ს. 479.

ამსისკეულია: *ქ. ჟუგაშვილი*

აღწერილობით *აქ 22* 19 *წლ.*

პე. *111*

დაწესებისა:	
<i>ქ. ჟუგაშვილი</i>	19 წ.
<i>ქ. ზაქარიაძე</i>	19 წ.
<i>ქ. ს. ზაქარიაძე</i>	19 წ.
<i>ქ. ზ. ზაქარიაძე</i>	19 წ.
<i>ქ. ზ. ზაქარიაძე</i>	19 წ.

*ქ. ჟუგაშვილი*  
*აქ 22*  
*19 წლ.*

**ს ა მ მ ე**

**საქართველოს სენატის**

სამოქალაქო საგასაჯიო დეპარტამენტისა  
 (სადისციპლინო ენოქი)

*ქ. ჟუგაშვილი*  
*ქ. ზაქარიაძე*  
*ქ. ს. ზაქარიაძე*  
*ქ. ზ. ზაქარიაძე*

დაწესებისა	<i>22 იანვარი</i>	19 <i>წ.</i>
დამთავრებისა	<i>22 იანვარი</i>	19 <i>წ.</i>
ამ სექსის	<i>25</i>	სურცლისა

1834  
 479

თბილისის მადრიის ურდობის წმისანთა სობჭის  
მე 2-რე სავანდუბო ყროღობის რწმევილენი.

ნ რ ი მ № 3.

29 დეკემბერი 1919 წ. ყროღობის მე 2-რე დეკ. სხლემი მე 3-მე.  
სხლემის დეკემბერი 27 წმისანი.

თავმჯავადარენი: ყროღობის თავმჯავადარენი დამხანაგი ილისლოტი

ს ჯ რ ჯ ბ .

მედიცინის მადრიტი: ი. კ. ხ. გ. დ. რ. ე. თ. ვ. ლ. ი.

მისხუნიღანს დეკემბერს სარეკოშირდამი კომისიის სხველით, რამდელსამ,  
თანხამებ მე 28 დეკემბერის მე 2-რე სხლემის დავდერდელებსა, დავდერმე  
ქონდა გავჩინი კანდიდატების განმხადებანი მარჯყოფის რონის მამ-  
რეკრებელ მისამარტლის თანამედრობამდე, ხმ. დამთ ბეკდასარენი მე გვა-  
ღუსტობანი.

კომისიამი შევიან ხმ. ხმ.: ლ. გ. ასათიანი, ბ. ბ. გვარჯიანი და  
მაქს. ბერძინიშვილი.

მდგომი ვადუსტობანი მახსუნიღანს ყროღობას, რამ კომისიამი წარმდე-  
ვანილი იყო სკოლ თარი გომრადელები: თბილისის მადრიის ურდობის წმის-  
ანი რიკოლომ ივანეს ომე გვანმარაბიძისა, დავით შინიღილის ომე თქმამა-  
ლშივილიძისა, ილიაინი-გორაკის ომე რნიგობიძისა და უკოლომევი შეყრდე-  
რებთან კანდიდატის ლევა ლევა ომე რნიგობიძისა; თანიდუ კანდიდატი  
კანიკის მათონდანიღემას დემამყოფილი ბიჯ. ხალხ, რამ შევხებმა კომი-  
სიის დასკვირან მასზე, თ რამდე დამ კანდიდატთადი სსენის ყურო  
სასარვდელებ მარჯყოფის მამრეკრებელ მისამარტლეთ, - ომე კანდი-  
დატთ კომისიის სსენის რიკოლომ გვანმარაბიძისა.

კომისიის წევრი ლ. ასათიანი კრამეხრადეებს, რამ ლ. რნიგობე ხსნის  
თავის კანდიდატობას, თ რამ. გვანმარაბიძე თანხმად ბერიშვილ თან-  
მამედობის მიღებამდე და ასევე ვანმარაბიძის ვამიკოების წევრი  
გვარა ილიაინი რნიგობის კანდიდატობამდე.

კომისიის სხველით ვადუსტობანი დამხადეებს, რამ გვანმარაბიძის თანხმო-  
ბა გრისა.

კანდიდატებმე მსჯელობის დასასწყისმივე რიკ. გვანმარაბიძე გვარის  
კანდიტი.

ამ რიკზე მტობსიღამ რნიგობიძის და რნიგობის კანდიდატორებო და ის-  
მის გენტიის ყრობე ბრნიღემი რნი კანდიდატისა - რიკ. გვანმარაბი-  
ბიძის და თქმამალშივილიძისა.

კენიკის ყრო ბრის-ვარლო. უყრობა ჟერ ვანმარაბიძის, შემთვანილია  
23 მარათი.

შ ე ჯ ე გ ე ბ ი : ერთი თავეს იკავებს, 3 წინააღმდეგობა და  
I9 წმას აბლევს მის ჯანდოდაჯობას.


კენჭი უყრება თაშმალისშვილს. შემოჯანდილია 23 პარათი.


შ ე ჯ ე გ ე ბ ი (4) ოთხი ყარბელი, I7 წინააღმდეგობა და ორი მთმ-  
ბრე.

ბრნიეულია ხმ. გვანწყადაც, რასამ ყრილთა იღებს და ამჯლიებს.

ახლი ამონაწერი ოქმისა.

დედონთარ სწორია, რასამ გამომწებთ:

ყრილთის თავმჯდომარე ამონაწერი: 

ყრილთის მფივნის მბავიერ : 

0: ს:  
ქუთაისის ვარე უბნის  
ამოკლებული მოსამართლე

5

1917 წ. დეკემბრის 22. დღ.

მ თ წ მ თ ბ ა

№ 1186

ბ ტილისი

თავისუფალი საქართველო  
№ 1509  
1917 წ. დეკემბრის 19  
ქუთაისის ვარე უბნის

უძღვევა ესე მოწმობა სასამართლოს  
ბოქაუელ ტფილისის გარე-უბნის სამომხრეგებ  
ლო სასამართლოსი ღაფით მიხეილის ძე  
თ უ მ მ ა ღ ი შ გ ი ჯ ს, მას შინა, რომ  
სოგოძე სჩანს მისი ნამსახურობის აღწე-  
რისაგან, იგი თუშმადიშვილი უბიდან  
52 წლისა, საჭმუნებოთ მარტმადიღებელი,  
შევიდა სამსახურში ყოფილ ტფ. მარტის სა-  
მომხრეგებლო სასამართლოსი I მკათათვეს  
1885 წ. ღაინიშნა მღიგნის თანაშემწეთ  
31 იანვარს 1897 წ. თანახმად მომხრეგ-  
ბელ მისამართლის ღადგენიღებისა, ღაინიშ  
ნა მღიგნათ 31 დეკემბრის 1910 წ. რომელ  
თანამდებობაზედაც ღაშეთ 8 წლამდის,  
16 ნოემბრის 1918 წ. ღაინიშნა სასამართ

დას ბოქაუდათ, რომელი თანამდებობას დაეცა და ასე-  
დაც, რასაც ვამოწმებ ხელის მოწვევით და ბეჭედი  
დასვით.

მომცემი უფრო მისამართზე

*Handwritten signature*

მ დ ი ვ ა ნ ი

*Handwritten signature*



*Faint, mostly illegible text, likely a stamp or official record, containing some numbers and names.*



Օրճարանն ձեռն շիճոն յոճոյւնն. <sup>7</sup>

1917/19  
ՋԵ

բոցոս ընդունելի Օրճարան-  
Շրճոն

Օրճարան.

Չոյնն կոչոցոս կոճոկոյնն շիճոն կոճոկոյնն  
և յոճոյնն, յոճոյնն յոճոյնն յոճոյնն յոճոյնն  
կոճոկոյնն յոճոյնն կոճոկոյնն կոճոկոյնն. յոճոյնն  
չոյնն յոճոյնն յոճոյնն, կոճոյնն յոճոյնն Օրճարանն  
ձեռն կոճոկոյնն կոճոկոյնն կոճոկոյնն կոճոկոյնն, կոճոկոյնն  
չոյնն կոճոկոյնն յոճոյնն կոճոկոյնն յոճոյնն կոճոկոյնն,  
չոյնն կոճոկոյնն յոճոյնն կոճոկոյնն յոճոյնն յոճոյնն  
16-ոյն 1918 յոճոյնն, յոճոյնն կոճոկոյնն յոճոյնն յոճոյնն  
չոյնն կոճոկոյնն կոճոկոյնն կոճոկոյնն կոճոկոյնն  
և յոճոյնն յոճոյնն յոճոյնն - կոճոյնն յոճոյնն յոճոյնն  
կոճոկոյնն կոճոկոյնն կոճոկոյնն.

բոցոս ընդունելի Օրճարան-Շրճոն.

չոյնն կոչոցոս յոճոյնն N 24 կոճոկոյնն.

1919 յոճոյնն կոճոկոյնն 10 յոճոյնն.  
Չ. Օրճարանն.

11

### საქართველოს სენატის გრძანება

ტვილისის სამხარო ერობის გამგეობისადმი.

#### საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სსულო

საქართველოს სენატმა სამოქალაქო საქსაცვით დეპარტამენტის სადღისისტრუციო

განყოფილების საურუბულოში მოისმინა, რა საკითხი ტვილისის მარის მომრიგებელ მოსამართლის ნიკოლოზ ივანეს ძე გვანცაძის თანამდებობაზე დაშტკიცების შესახებ, შეშდეგი დადგენილება გამოიგანა: დაშტკიცდეს ნიკოლოზ ივანეს ძე გვანცაძე მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე დღიდან მისი არჩევისა-1919 წლის 30 დეკემბრიდან.

თავმჯდომარის შაგ

1920 წ. მარტი 30

საქმ. № 22 შაგ.3

1920 წ.

12

იუსტიციის საშინისტროს.

26 იანვარს 1920

N 126


ამით გაუწყობთ, რომ ნიკოლოზ ივანეს ძე გვანცაძე დამტკიცებულია ტელიისის შაჰრის მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე დღიდან შისი არჩევისა 1919 წლის 30 დეკემბრიდან.

თავმჯდომარის შავ. ვა. ვუკოლიძე

მდივანი ვუ. (სელიძე)

ავტონომიური მხარის სტატუსი მიიღო აფხაზეთის (ქ. სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის ოლქი) და ზაქათალას ოლქმა.<sup>50</sup>

მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ დამოუკიდებელი საქართველოს კანონი უზენაესმა საბჭომ მიიღო 1918 წლის 5 ოქტომბერს. მომრიგებელი მოსამართლეების ინსტიტუტი დაწესდა როგორც მაზრებში, ისე ქალაქებში. თითოეული მაზრა გაერთიანდა სამომრიგებლო ოლქში, ხოლო თბილისი გამოეყო ცალკე ოლქად.<sup>51</sup> თითოეული მაზრა დაიყო სამომრიგებლო უბნებად, სადაც დაინიშნენ მომრიგებელი მოსამართლეები. მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის გარდაქმნის კანონი მიღებულ იქნა 1918 წელს 24 სექტემბერს. უბნის მომრიგებელ მოსამართლეთა რიცხვი მთელ საქართველოში კანონმა 120-ით განსაზღვრა, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის რიცხვი კი 12-ით განისაზღვრა.<sup>52</sup>



ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი მომრიგებელ მოსამართლეებთან მიმართებაში არის მათი არჩევითობა და მათი არჩე-

<sup>50</sup> ბ. კუპატაძე, *საქართველოს ხელისუფლების ისტორია*, 112, „საქართველოს ისტორია 20 საუკუნე“, 63.

<sup>51</sup> კანონი: მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., №58, მუხლი 1, 2.

<sup>52</sup> პირველი ნაბიჯები.

ვის წყარო. მომრიგებელ მოსამართლეებს ირჩევდა ადგილობრივი თვითმმართველობა: თბილისში მათ ირჩევდა ქალაქის საბჭო, ხოლო მაზრებში მაზრის (ოლქის) საერობო კრება.

აქვე მოკლედ უნდა აღინიშნოს თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესი დემოკრატიულ სახელმწიფოში. პოლიტიკური კრისიზიდან გამოსასვლელად, დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნებამ თავისი ცვლილებები შეიტანა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის საკითხშიც, აუცილებელი გახდა თვითმმართველობების ჩამოყალიბება. დემოკრატიული თვითმმართველობა – ერობა, როგორც ადგილობრივი წარმომადგენლობა, ყველაზე გაცნობიერებული იქნებოდა სოფლის საჭიროებებში, უპირობოდ მიიჩნეოდა იმ ორგანოდ, რომელსაც ექნებოდა გადამწყვეტი ხმა და ავტორიტეტი რეგიონებში მტკივნეული რეფორმების გასატარებლად.<sup>53</sup>

„...ერობა, საყოველთაო არჩევნებზე აგებული, ეს მკვიდრი საძირკველია დემოკრატიზმის. პარლამენტი კი მისი გვირგვინია. პირველის გარეშე – მეორე ჰაერში გამოკიდებული დარჩება, პირველი უმეორესოდ დაუმთავრებელი შენობა იქნება, რომელსაც სახურავი არ აქვს და ქარ-წვიმის სათარეშოთ არის მიწებებული...“<sup>54</sup>

საერობო არჩევნები 1918 წელს დაიწყო, რომელიც ტექნიკური თუ სხვა სირთულეების გამო 1920 წლამდე სამ ეტაპად გაგრძელდა.<sup>55</sup>

---

<sup>53</sup> ი. ხვადაგიანი, *ერობა, თვითმმართველობის რეფორმა საქართველოს რესპუბლიკაში*, 1918 წ., ტომი I, 2017, 139.

<sup>54</sup> იქვე, 149.

<sup>55</sup> იქვე, 175.

ძალიან მნიშვნელოვან წინაღობას მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის ამუშავებისათვის წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოუწყობლობა.

სწორედ თვითმმართველობებს უნდა აერჩიათ მოსამართლეები, მაგრამ თავად თვითმმართველობების დაკომპლექტების სირთულე მოსამართლეების არჩევის გადადებასა და მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხებას იწვევდა.

„ამ დეკრეტის ცხოვრებაში დაუყოვნებლივ გატარებას დიდად შეუშალა ხელი ერობათა ორგანიზაციის დაგვიანების საქმემ, როგორც მოგეხსენებათ, მოსამართლენი, თანახმად დამტკიცებული კანონისა, ერობათა საერთო ყრილობას უნდა აერჩია და რადგანაც ერობათა ორგანიზაცია დაგვიანდა, შეუძლებელი შეიქმნა მოსამართლეთა არჩევა.“<sup>56</sup>

ამავე დროს, იუსტიციის სამინისტროს გამოჩენილი აქვს პრინციპულობა მოსამართლეების არჩევითობასთან დაკავშირებით. რამდენიმე შემთხვევაში მომრიგებელი მოსამართლის არჩევა ერობამ გადააბარა გამგეობას, რაც სამინისტრომ მიუღებლად ჩათვალა. უმნიშვნელოვანესი იყო, რომ მოსამართლეები მთლიანად თვითმმართველობას და არა მის აღმასრულებელ ნაწილს აერჩია.<sup>57</sup>

მნიშვნელოვანია მომრიგებელ მოსამართლეთა იურისდიქცია. მათი იურისდიქცია მსგავსია დღეს მოქმედი მაგისტრატი მოსამართლეებისა, ვინაიდან ისინი იხილავდნენ მცირე მნიშვნელობის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, ასევე საგადასახადო დავებს. მომრიგებელ მოსამართლეთა იუ-

---

<sup>56</sup> პირველი ნაბიჯები.

<sup>57</sup> იქვე.

რისდიქცია თანდათანობით გაფართოვდა მართლმსაჯულების გამარტივების მიზნით. თავდაპირველად, სისხლის სამართალში მომრიგებელ მოსამართლეებს ექვემდებარებოდა დავები, რომელთა საჩქციად არ იყო გათვალისწინებული უფლებების აყრა ან შეზღუდვა; სამოქალაქო საქმეებში თავდაპირველად განიხილებოდა საქმეები, რომელთა დავის საგნის ღირებულება 2 ათას მანეთს არ აღემატებოდა.<sup>58</sup>

მოგვიანებით, მომრიგებელი მოსამართლეების იურისდიქცია გაფართოვდა. ისინი იხილავდნენ დავებს, რომელთა დავის საგნის ღირებულება არ აღემატებოდა 4 ათას მანეთს.<sup>59</sup> სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე სამოქალაქო საქმეებს მომრიგებელი მოსამართლე იხილავდა, თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ აღემატებოდა 4 ათას მანეთს.<sup>60</sup> მომრიგებელი მოსამართლეების იურისდიქციის გაფართოების მიზეზი იყო სასამართლოს ხელმისაწვდომობის გაზრდა. ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, მოსახლეობას საშუალება არ ჰქონდა, პირდაპირ ოლქის სასამართლოსათვის მიემართა. ადამიანებს სასამართლომდე მგზავრობაც კი უჭირდათ. ამიტომაც მომრიგებელი მოსამართლეების იურისდიქციის გაფართოება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სასამართლოსადმი მიმართვიანობის ხელშეწყობისათვის.

“თანამედროვე ეკონომიკურმა ვითარებამ დიდი ცვლილებები შეიტანა სასამართლოს მოქმედებაში, რეალური კომ-

---

<sup>58</sup> კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა, მუხლი 12.

<sup>59</sup> მომრიგებელ სასამართლო დაწესებულებათა ექვემდებარეობის გაფართოებისა საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 30 იანვრის დროებითი კანონი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, თბ., 1990, 234.

<sup>60</sup> იქვე.

პეტენცია მომრიგებელი მოსამართლეებისა შეიცვალა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეთა სფეროში. მომრიგებელი მოსამართლენი, რომელნიც ყველაზე ახლო დგანან ხალხთან და მის ყოველდღიურ საჭიროებას სამართლისას აკმაყოფილებენ, დღეს ამ გარემოების გამო თავის დანიშნულებას ვეღარ აღწევენ.<sup>61</sup>

“მაგრამ რა არ ღირს დღეს 4000 მანეთად? მკერავმა, რომ ერთი ხელი ტანსაცმელი გაგიფუჭოს უნდა ოლქის სასამართლოში იჩივლო, ერთი ხარი რომ გაუხდეს საჩივლელათ გლესს შორეულ ქალაქში უნდა ირბინოს, რამდენიმე ფუთი სიმინდი, ან პური, რომ ქონდეს სადაო მეზობელთან, უნდა შორეულ ქალაქს მიამუროს და აუარებელი ხარჯები გასწიოს. ორი თვის ჯამაგირი, რომ გაუხდეს მუშას საჩივლელად ან სალიკვიდაციო ფული, უკვე ოლქის სასამართლოს უნდა მიადგეს კარზე. ასეთ პირობებში საჩივრის წარმოება ხშირად მეტი ჯდება, ვიდრე დავის საგანი ღირს.”<sup>62</sup>

მომრიგებელ მოსამართლეს ირჩევდა ადგილობრივი თვითმმართველობა: თბილისში ქალაქის საბჭო, ხოლო მაზრებში საეროზო კრება.

მომრიგებელი მოსამართლეების უმაღლესი ორგანო იყო სამომრიგებლო მოსამართლეთა ყრილობა, სადაც შედიოდნენ როგორც უზნის, ასევე საპატიო მოსამართლეები.<sup>63</sup>

<sup>61</sup> კანონპროექტი, მომრიგებელ მოსამართლეთა ქვემდებარეობის გაფართოებისა, 24 იანვ., 1920 წ., საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1833, ა.1, ს. 1089.

<sup>62</sup> კანონპროექტი, მომრიგებელ მოსამართლეთა ქვემდებარეობის გაფართოებისა, 24 იანვ., 1920 წ., საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1833, ა.1, ს. 1089.

<sup>63</sup> კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა, მუხლი 6.



ყრილობა არსებობდა ყველა სამომრიგებლო ოლქში.<sup>64</sup> ყრილობაში საჩივრდებოდა მომრიგებელ მოსამართლეთა გადაწყვეტილებები. „ქალაქების და ერობების მიერ მომრიგებელი მოსამართლენი ყოველ მაზრაში ადგენენ მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობებს, რომლებიც წარმოადგენენ სააპელაციო ინსტანციას მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ გამოტანილ განჩინებებისათვის.“<sup>65</sup>

დღევანდელი გადმოსახედიდან განსაკუთრებით საინტერესოა ყრილობის თავმჯდომარეთა არჩევის საკითხი. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე აირჩეოდა ყრილობის წევრებისაგან სამი წლის ვადით და თავისუფლდებოდა მოსამართლის მოვალეობებისაგან.<sup>66</sup>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსამართლის არჩევნების გასაჩივრების უფლება, რომელიც უზრუნველყოფილი იყო. ერობებისა და ქალაქის საბჭოს მიმართ გასაჩივრება უნდა მომხდარიყო უმაღლეს სასამართლოში არჩევნებიდან ორი კვირის ვადაში.<sup>67</sup>

მომრიგებელი მოსამართლის დანიშვნამდე დროებით მოსამართლეს ნიშნავდა იუსტიციის მინისტრი.

## ა. მოსამართლეთა კვალიფიკაცია

საყურადღებოა, რომ იურიდიული განათლების მქონე კადრების ნაკლებობის გამო, მომრიგებელ მოსამართლედ არჩევისათვის საჭირო არ იყო იურიდიული განათლება. მომრიგებელ მოსამართლედ ინიშნებოდნენ უმაღლესი ან საშუა-

---

<sup>64</sup> იქვე.

<sup>65</sup> პირველი ნაბიჯები.

<sup>66</sup> კანონპროექტი, მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა, საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1938, ა. 1, ს. 10.

<sup>67</sup> კანონი მომრიგებელ მოსამართლის ინსტიტუტისა, მუხლი 6.

ლო განათლების მქონე პირები, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება პირი ამგვარი განათლების გარეშეც დანიშნულიყო. კანდიდატი უნდა ყოფილიყო 25 წლის. გარდა ამისა, ენობრივ მოთხოვნებში დაწესებული იყო ქართული ენის ცოდნის ვალდებულება და, ამავე დროს, სპეციალური გარანტიები უმცირესობებისათვის.<sup>68</sup>


საყურადღებოა და დღევანდელი რეალობისაგან განსხვავდება ის, რომ მომრიგებელ მოსამართლეებს წარმოადგენდნენ ჩვეულებრივი მოქალაქეები. მომრიგებლებად ინიშნებოდნენ იურიდიული განათლების არმქონე პირები, რაც დღევანდელი გადმოსახედიდან უზრუნველყოფს უფრო თავისუფალ შესვლას მოსამართლეთა პროფესიაში. თუმცა ეს შეიძლებოდა გამოწვეული ყოფილიყო იურიდიული განათლების მქონე კადრების ნაკლებობითაც.

მომრიგებელი მოსამართლეების არჩევის პროცესში ცალსახად ჩანს კვალიფიციური კადრების მოძიების პრობლემა, რაზეც არაერთხელ აღნიშნავს იუსტიციის სამინისტრო თავის ანგარიშებში. კვალიფიციური კადრების პრობლემა მომდინარეობდა მოსამართლეების დაბალი ანაზღაურებიდან, ყოველ შემთხვევაში, ვეკილის (ადვოკატის) პროფესიასთან შედარებით. ასევე, ზოგადად, იდგა იურიდიული განათლების პრობლემა, რომლის მოპოვება იმ პერიოდისათვის შეუძლებელი იყო საქართველოში.

---

<sup>68</sup> იხ. ქვევით.

სასამართლოს გაეროვნება და მოსამართლეთა  
 გათავისუფლება სახელმწიფო ენის უცოდინრობის გამო,  
 ფოტო: საქართველოს ეროვნული არქივი,  
 ფ. 1837, ა. 1, ს. 1133.



ს ა ქ ა რ ს ა ს ე ნ ა ტ

2

*Handwritten notes:*  
საქმის განხილვა  
საქმის განხილვა  
საქმის განხილვა  
საქმის განხილვა  
საქმის განხილვა

*Handwritten notes:*  
საქმის განხილვა  
საქმის განხილვა  
საქმის განხილვა  
საქმის განხილვა  
საქმის განხილვა

თბილისის ოლქის სასამართლოს წევრების მიხედვით მ ე ლ ი ქ ო ვ ი ს

რ ა მ ო რ ტ ი


იუსტიციის მინისტრის კანცელარიამ ამა წლის 9 თებერვალს თარიღით მაცნობა, რომ სასამართლოს საცენტონალიზაციის ვაშო იუსტიციის მინისტრს შეამდგომლობა აღუძრავს სენატის წინაშე, რათა განთავისუფლებული ვიყვე სასამართლოს წევრობის მოვალეობით სამინისტროზედ გადაიტვიტით, სახელმწიფო ენის უტოლინობითა, გ.დ.მთ.

მაგრამ, როგორც სჩინს ამისთანავე წარმოდგენილ მოწერილობიდან 9 თებერვლის თარიღით ამა წლისა № 25, კანცელარია წინადადებას მადღევს, რომ უკეთეს საკმაოდ ვიცი სახელმწიფო ენა, რომ მოვახსენო სენატს, რათა დატოვებული ვიქნე სამსახურშიდ ზემოსხე-

ბებულის გამო, მძევს ნატივი მოვახსენო სენატს, რომ ამ უკანასკ-  
ნელ დროს ძლიერ მწყობრად ვსწავლობ ქართულ ენას, თუმცა კი ჯერ  
ჯერობით კიდევ არ ძალმიძს თავისუფლად შესრულება სასამართლო  
წევრობის მოვალეობისა. მაგრამ უკუთუ სენატი კეთილ იწყებებს და  
მომცემს საშუალებას ვისარგებლო 184 მუღლ. სას. დაწეს. წესდ.  
გათვალისწინებულ თავისუფლებით, იმ დროიდან, როცა მე შვედულების  
კადა გამოვიდა, ე. ი. 1 მარტიდან ამა წლისა 15 აპრილამდე, სასა-  
ბულო თავისუფლების დროს მაგიერ იმ შემთხვევაშიდ მე იმედი  
მძევს ამ დროისათვის უკვე შევძლებ ოლქის სასამართლოს წევ-  
რობის მოვალეობის ასრულებას.

*ა. გუმილივი*

14 "თებერვლის 1921 წ.  
ქ. თბილისი



„მით უმეტეს, რომ იმ მცირე ჯამაგირებზე, რომლებიც დაწესებულია შტატებით, არავინ თანხმდებოდა მიღებას. ვინაიდან ყოველ შემთხვევაში ვეჭილს შეუძლია გაცილებით მეტი იზოვოს ვეჭილობით ვიდრე სასამართლო უწყებაში სამსახურით. ეს იყო მიზეზი იმის, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა შემადგენლობას ბევრი ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილი პირი დააკლდა. მათ მაგიერ ერობანი იძულებულნი იყვნენ შეეტანათ კანდიდატთა სიაში ჯეროვნად მოუმზადებელი კანდიდატები. ამ ნაკლის შესავსებად სამინისტრომ მისწერა საქართველოს უნივერსიტეტს იურიდიულ

კურსების დაარსების შესახებ, მაგრამ ეს საკითხი დღემდის პრაქტიკულ ნიადაგზედ არ დამდგარა.“<sup>69</sup>

ამ პრობლემის სიმწვავის ნათელი მაგალითია საქართველოს სენატის საკასაციო დეპარტამენტის შეერთებულ საკრებულოში შესული იუსტიციის მინისტრის წარდგენილება ქალაქ ქუთაისის მე-5 უბნის მომრიგებელი მოსამართლის ევგენი გაბუნias გადაყენების შესახებ, სადაც მომრიგებელი მოსამართლე ევგენი გაბუნია საპასუხო წერილში „სასამართლო განსაცდელშია“ წერს:

„მე მინდა გავუსვა ხაზი იმას, რომ დღეს ჩვენი სასამართლოები განსაცდელშია: მოსამართლეები იქცნენ ადმინისტრატორებად და ხელმძღვანელობენ არა კანონებით, არამედ მიზანშეწონილობით და თავისუფალი შეხედულებით, ალბათ რადგან კანონები სუსტად იციან.

რომ მთლად არ დაეცეს სასამართლოს პრესტიჟი და სიტყვა „მსაჯული“ არ გახდეს ქვეყნის სასაცილოდ, ჩემის აზრით, საჭიროა:


1. დაუყოვნებლივ იქნას მიღებული სავალდებულო პრაქტიკული კურსები გამოუცდელ მოსამართლეებისთვის. კურსები უნდა მოეწყოს სახელმწიფოს ხარჯზედ სადამოობით და უქმეებზედ.
2. გარდა ამისა საჭიროა სასტიკი რევიზია, რომელიც რამდენიმე თვეა დანიშნულია, მაგრამ ჩვენ სასამართლოებში ჯერ არც კი შემოუხედავს; აი ასეთი რევიზია აღმოაჩენს თუ ვინ არ უნდა იყოს მოსამართლე.“<sup>70</sup>

---

<sup>69</sup> პირველი ნაბიჯები.

<sup>70</sup> იუსტიციის მინისტრის წარდგენილება ქუთაისის მე- 5 უბნის მომრიგებელ მოსამართლის ევგენი გაბუნias გადაყენების შესახებ, 1920წ., საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1837, ა. 1, ს. 435.

მომრიგებელი მოსამართლე ევგენი გაბუნიას წერილი  
„სასამართლო განსაცდელშია“ (სრულად), ფოტო:  
საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1837, ა.1, ს. 435.











ჩვენს აზრით სრულიად დიდხანსვე შესაძლებელია, რომელიც ამისი უპი-  
რობითი საბაზისებისა და მისივე აქტიური სასამართლო და სტრუქტურის მის  
პროცესების, ამ უპირობითად, მანამ-შესაძლებელია სასამართლოებზე გადისა და  
სამართლო "ტრედა".


სამართლებრივი საკითხები და მისივე მხარეები შეემატება ანა იმის  
ტრედაში მისივე დამატებითი და დონების წინაშე დანიშნულია: ეს  
შეიძლება შეიძლება და ანა დონების წინაშე დანიშნულია იმისთვის რომ  
საქმის სასამართლოებში მნიშვნელოვანი სტრუქტურის დონების მისთვის სასა-  
მართლოებში უპირობითი დამატებითი-დამატებითი დონების სასა-  
მართლოების სრულიადვე, რომელიც სწორედ ანა დონების სასამართლოებში  
საქმის სასამართლოებში და ჩვენს ქვედა დონების, მისთვის მისთვის მისთვის  
შეიძლება იქნება.

შეიძლება დანახვა ხაზი იმისთვის რომ დიდს ჩვენს სასამართლოებში  
დასახელებულია: მისთვის დამატებითი იქნება ანა მისთვის დამატებითი  
მისთვის დამატებითი ანა დონების წინაშე დანიშნულია / დამატებითი მისთვის  
მისთვის დამატებითი / დამატებითი მისთვის დამატებითი / დამატებითი  
მისთვის დამატებითი მისთვის დამატებითი /

რომ მისთვის ანა დონების სასამართლოებში მისთვის დამატებითი  
ანა დონების წინაშე დანიშნულია, ჩვენს აზრით სასამართლოებში:

- 1/ დონების წინაშე დანიშნულია იმისთვის მისთვის დამატებითი მისთვის  
დამატებითი მისთვის დამატებითი მისთვის დამატებითი / დამატებითი მისთვის  
დამატებითი მისთვის დამატებითი მისთვის დამატებითი /
- 2/ დონების წინაშე დანიშნულია სასამართლოებში მისთვის დამატებითი  
მისთვის დამატებითი მისთვის დამატებითი მისთვის დამატებითი / დამატებითი მისთვის  
დამატებითი მისთვის დამატებითი მისთვის დამატებითი /

დონების წინაშე დანიშნულია: მისთვის დამატებითი *გოგია*



ამასთან, საყურადღებოა, რომ მომრიგებელი მოსამართლეები ხელფასს „სარგოს“ იღებდნენ განხილული საქმეების რაოდენობის, სირთულის მიხედვით. ეს მიდგომა საყურადღებოა როგორც ერთ-ერთი შესაძლო მიდგომა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მოსამართლეების მხრიდან საქმეთა გადატვირთულობასთან გამკლავების წახალისება.

მოსამართლეებს მეტი საქმის განსახილველად და, შესაბამისად, მაღალი ანაზღაურების მისაღებად უხდებოდათ გარე სოფლებში გასვლა, ადგილზე საქმეების მოძიება და განხილვა, შესაბამისად, მოსამართლეები ყოველთვის ურად სხვადასხვა ოდენობის სარგოს იღებდნენ. ხელფასს – „სარგოს“ განხილული საქმეების მიხედვით, ყრილობის თავმჯდომარე ანაწილებდა:

”ნუსხა, რომელშიდაც აღნიშნულია 32.900 მანეთის დახარჯვის გასამართლებელი საბუთები, როგორც სჩანს საქმიდან, წარგზავნილია სახელმწიფო კონტროლში 25 იანვარს 1920 წ. N 519. ნუსხის ასლიდან სჩანს რომ ამ ფულებიდან მიცემულია: 1. ჩხორო-წყუს უბნის მოსამართლის აპრილის და მაისის 1919 წლის ჯამაგირი 3292 მან 65 კაპ. 2. ბანძის უბნის მოსამართლის აპრილის და მაისის 1919 წ. ჯამაგირი 10.300 მან. 3. ნაოღალევის უბნის მოსამართლის მაისის 1919 წ ჯამაგირი 5150 მან. 4. სენაკის უბნის მოსამართლის -10.895 მან და 82 კაპიკი. 5. სამეგრელოს ყრილობის მოსამსახურეებს -3261 მან. ეს ხარჯები შეადგენს 32.900 მან და 48 კაპ.”<sup>71</sup>

<sup>71</sup> საქმე, სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის ჩაჩიბაიას და ახალ-ხიბულის უბნის მოსამართლის ბერიძის შესახებ, 1920 წ., საქართველოს ეროვნული არქივი, ფ.1837. ა.1, ს. 438.

სახელმწიფო დიდ დაბრკოლებებს აწყდებოდა მომრიგებელი მოსამართლეების ინსტიტუტის მოწყობაში. ეს დაბრკოლებები დაკავშირებული იყო, პირველ რიგში, ადგილობრივი თვითმმართველობის მოწყობასთან.<sup>72</sup>

ადმინისტრაციული აპარატის მოუწყობლობაზე და ამით სასამართლო დაწესებულებათა საქმიანობის შეფერხების შესახებ იუსტიციის სამინისტრო ერთ-ერთ თავის მოხსენებაში რესპუბლიკის მთავრობის სახელზე წერდა:

„ადმინისტრაციული მექანიზმი საქართველოში სრულად მოუწყობელია, ადმინისტრაციის მოხელეების დიდ უმრავლესობას არა აქვს ჯეროვნად შეგნებული თავისი მოვალეობა, ან არ სურს ამ მოვალეობის ასრულება, მისი უმოქმედობა დიდად აფერხებს სასამართლოს წესიერ საქმიანობას. სასამართლო მოთხოვნა უმეტეს შემთხვევაში შეუსრულებელი რჩება ადმინისტრაციის მოხელეთა მიერ, მიუხედავად მრავალგზის განმეორებისა.“<sup>73</sup>

დღევანდელი გადმოსახედიდან ამ ტიპის პრობლემები სრულიად გასაგებია იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რა კონტექსტშიც მიმდინარეობდა ეს რეფორმა. ქვეყანა სახელმწიფოებრიობის პირველ ნაბიჯებს დგამდა მწვავე გეოპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების ფონზე.

ზოგადად, თუ როგორ პრობლემებს ქმნიდა სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის გაუმართაობა სასამართლოს საქმეში, ჩანს ისეთ დეტალებში, როგორიც არის, მაგალითად, უწყების ჩაბარების პრობლემა. მომრიგებელი

---

<sup>72</sup> პირველი ნაბიჯები.

<sup>73</sup> იქვე.

მოსამართლენი ერთხმად აღნიშნავენ მილიციის სრულ უმოქმედობას უწყების ჩაბარების საქმეში. მხოლოდ ის საქმეები განიხილებოდა დროულად, რომელშიც თვით მომჩივანი უზრუნველყოფდა უწყების ჩაბარებას.

„ან კი რა უნდა ითქვას ადმინისტრაციულ უმოქმედობაზე ჩვეულებრივ ყოველდღიურ საქმეებში იმის შემდეგ, რომ თვით სენსაციურ საქმეებში, რომლებითაც დიდად და პირდაპირ არის დაინტერესებული საზოგადოება და სახელმწიფო, იშვიათ დაუდევრობას აქვს ადგილი. მაგალითად ძეგვის ხიდის აფეთქებისა გამო, რამაც ფეხზე დააყენა მთელი საქართველო და რომლის დროზე დაბოლოვებისთვის დაულალავად, დღე და ღამე მუშაობდნენ სასამართლო უწყებების და საგანგებო რაზმების მოხელენი. ერთადერთი დავალება, რომელიც დაეკისრა ადმინისტრაციას – ხიდის დარაჯის გვამის გაჭრა და შიგნეულის ამოღება – დიდის დაგვიანებით იქნა შესრულებული.“<sup>74</sup>

ცალკე პრობლემას წარმოადგებდა სამომრიგებლო უბნების უთანასწორო გადანაწილება. ხშირად მოსამართლეთა რაოდენობა არ იყო მაზრაში მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული. მოსამართლეები ან აკლდათ ან ჭარბობდნენ.

„დამტკიცებულ შტატების თანახმად ქალაქ ქუთაისში ხუთი მოსამართლეა, საქმეთა რიცხვი კი ხუთ მოსამართლეს არ მოითხოვს. ამ დროს სენაკის მაზრისთვის მიღებულია 4 მომრიგებელი მოსამართლე, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სენაკის მაზრაში ერთი სასამართლო მეორესაგან

---

<sup>74</sup> იქვე.  
70

დიდ მანძილზე არის დაშორებული. უნდა დავეთანხმოთ სამართალს რომ 4 მოსამართლე საკმარისი არ არის.<sup>75</sup>

ცალკე პრობლემები იყო დაკავშირებული ქართული ენის მცოდნე კომპეტენტური კადრების არარსებობასთან, განსაკუთრებით, მათი მცირე ანაზღაურების პირობებში.<sup>76</sup>

## **ბ. უმცირესობების გარანტიები მართლმსაჯულებაში**

დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება ეცადა, დაეცვა ბალანსი ქართულ ენაზე სამართალწარმოებასა და ენობრივი უმცირესობების ინტერესების დაცვას შორის. ერთი მხრივ, დამოუკიდებლობის შემდგომ რეფორმების მთავარი მისწრაფება იყო სამართალწარმოების განხორციელება ქართულ ენაზე; საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისათვის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის შექმნა. თუმცა, ამავე დროს, ხელისუფლების ინტერესში იყო და ეს ინტერესი ვლინდებოდა რეფორმებშიც, უმცირესობების ჩართულობა სამართალწარმოებაში და სამართლის მათთვისაც ხელმისაწვდომობა. ამგვარად, სამართალწარმოების ენასთან დაკავშირებული ნაბიჯები ემსახურებოდა ამ ორ ფასეულობას შორის ბალანსის დაცვას.

ცნობილია, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეული იყო ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებებისა და გარანტიების ჩამოყალიბება. ეროვნული უმცირესობების უფლებები კონსტიტუციის მე-14 თავში აისახა. ყველა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს საკუთარ ენაზე სწავლისა და განვითარების უფლება ეძლეოდა, ისევე როგორც საკუთარი თვითმმართველობებისა და კავშირების დაარსების შესაძლებ-

---

<sup>75</sup> იქვე.

<sup>76</sup> იქვე.



ლობა. თავიანთი უფლებების დასაცავად, მათ შორის, აღნიშნული კავშირების საშუალებით, ისინი უფლებამოსილი იყვნენ, სასამართლოსათვის მიემართათ.<sup>77</sup>

ეს გარანტიები ითარგმნა მომრიგებელი მოსამართლის კანდიდატისადმი მოთხოვნებშიც. კონსტიტუციის სულისკვეთების შესაბამისად, ცალკე დაცვის გარანტიები ჰქონდათ უმცირესობებს და მათ, ვინც არ იცოდა ქართული ენა. მართალია, 1919 წლის 1 იანვრიდან დაწესდა, რომ სამარალწარმოება საქართველოში წარმართება ქართულად. თუმცა იქ, სადაც ეროვნული უმცირესობა საერთო მოსახლეობის 20%-ს შეადგენდა, დაწესდა, რომ საქმე უნდა წარმოებდეს როგორც სახელმწიფო, ისე ეროვნული უმცირესობის ენაზე. გარდა ამისა, უცხოელებს შეეძლოთ, მოსამართლისათვის თავის ენაზე დაწერილი თხოვნების მიცემა.<sup>78</sup>

საგამომძიებლო ნაწილის რეფორმაში გაუქმდა ე. წ. მომრიგებელ მოსამართლეთა თანაშემწეები, რომლებიც იყვნენ ქართული ენის და ადგილობრივი ცხოვრების არმცოდნენი. დემოკრატიული რესპუბლიკის სასამართლო რეფორმის შედეგად კი, დაინიშნენ ადგილობრივი სასამართლო გამომძიებლები:

„შეიცვალა სამართალწარმოების ენა და ნაცვლად რუსულისა საქმის ქართულად წარმოება ებრძანათ, როგორც მოსამართლეებს, ისე ახლად დანიშნულ სასამართლოს გამომძიებლებს. თვით სამინისტროს კანცელარიაშიც მთელი საქმის წარმოება მარტოოდენ სახელმწიფო ენაზე სწარმოებდა. კანონით არჩეულნი მომრიგებელი მოსამართლენი საქმეს მცხოვრებთათვის გასაგებ სახელმწიფო ენაზე აწარმოებენ.

---

<sup>77</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, გამოც. II, ბათუმი, 2013.

<sup>78</sup> პირველი ნაბიჯები.

საქმის ქართულად წარმოება ებრძანათ აგრეთვე ახლად და-  
ნიშნულ სასამართლოს გამომძიებლებს.<sup>79</sup>

ამავე დროს, მომრიგებელი მოსამართლეობის კანდი-  
დატს ქართული ენის გარდა უნდა სცოდნოდა ის ენა, რო-  
მელზეც უბნის მოსახლეობის 20% მაინც საუბრობდა. იმ შემ-  
თხვევაში, თუ შეუსაბამო აღმოჩნდებოდა რაოდენობა კანდი-  
დატებისა, ვინც იცოდა შესაბამისი ენა, შესაძლებელი იყო იმ  
კანდიდატზე შეჩერება ყურადღების, ვინც სხვა მოთხოვნებს  
აკმაყოფილებდა.<sup>80</sup>

---

<sup>79</sup> იქვე.

<sup>80</sup> კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა, მუხლი 3.

## მოსამართლის გათავისუფლება

თავდაპირველად, მომრიგებელ მოსამართლეთა სამოსამართლო საქმიანობიდან გათავისუფლება, სენატის დაარსებამდე, დროებით დაუქვემდებარეს იუსტიციის სამინისტროს და, შესაბამისად, კანონში „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა“ გაჩნდა შემდეგი სახის ჩანაწერი:

„(73 მ. მაგ.) მომრიგებელ მოსამართლის სრულად დათხოვნა თანამდებობისაგან თანახმად მისი თხოვნისა ან დროებით სამსახურისაგან განთავისუფლება ორ თვეზე მეტის ვადით, ექვემდებარება რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს, ხოლო მის დაარსებამდე იუსტიციის მინისტრს, სამსახურიდან განთავისუფლება, ორი თვით ან ნაკლები ვადით, დამოკიდებულია მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაზე. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის დროებით სამსახურისაგან განთავისუფლება დამოკიდებულია იუსტიციის მინისტრზე.“<sup>81</sup>

თუმცა გასაგები იყო, რომ ეს მექანიზმი საფრთხეს მოიცავდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხელყოფის შესაძლებლობის მხრივ. ამიტომაც, როგორც კი სენატი დაარსდა, მოსამართლეთა ორ თვეზე მეტი ვადით გათავისუფლების უფლება-მოსილება სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილებას დაევალა.<sup>82</sup>

ასევე, მოსამართლის გათავისუფლება შეეძლო სენატის

---

<sup>81</sup> კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა, თავი II, მუხლი 7.


<sup>82</sup> საქართველოს სენატის დებულება, თავი მეოთხე, მუხლი 34, 1919 წ., 29 ივლისი, (შემდგომში „სენატის დებულება“), საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1833, ა.1, ს. 49.

საკასაციო დეპარტამენტის შეერთებულ საკრებულოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის „ბოროტმოქმედებისას“ მის წინააღმდეგ საქმე/დავა გადასაწყვეტად შევიდოდა შეერთებულ საკრებულოში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთ შემთხვევაში, სენატის შეერთებული საკრებულო კვლევა-ძიების საფუძველზე შეისწავლიდა საქმეს და გამოჰქონდა დადგენილება, რომელიც შეიძლება ყოფილიყო როგორც მოსამართლის გათავისუფლება, ისე სამოსამართლეო საქმიანობის შეჩერება, ჯამაგირის მოსპობა ან შემცირება, მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მოსამართლის დაჯარიმება, მოსამართლის გადაყვანა ერთი უბნიდან მეორეში, პრობლემური სიტუაციიდან განსარიდებლად და საქმის მოსპობა. იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული საკრებულო მიიღებდა დადგენილებას, მოსამართლე გადაეყვანა მისი საქმიანობის უბნიდან მეორე უბანში, სენატი მიმართავდა იუსტიციის სამინისტროს, შეეთავაზებინა მისთვის არსებული თავისუფალი უბანი და გზავნიდა მოსამართლეს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ უბანში.

ამ ეტაპზე საარქივო მასალების შესწავლით ვლინდება მხოლოდ მოსამართლეების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის შემთხვევები. არ არის გამორიცხული ასეთი შემთხვევების არსებობა, თუმცა შემორჩენილ მასალებში ასეთი ვითარება არ შეინიშნება. შესაბამისად, შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ასეთი შემთხვევები ძალზე იშვიათი იყო. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან წყაროებში არაერთხელ არის საჯარო სამსახურში აღნიშნული კვალიფიციური იურდიული კადრების დანაკლისი. მასალებში მრავალგზის არის ნახსენები კვალიფიციური იურისტების სიმცირის პრობლემა და ის, თუ როგორ „სანთლით საქმეზარი“ იყვნენ მოსამართლეობის

მსურველები. შესაბამისად, იურიდიულად განათლებული კადრების სიმცირე საქართველოში იყო ის, რის გამოც სენატი იძულებული იყო, მოსამართლე გადაეყვანა ერთი უბნიდან მეორე უბანში დაპირისპირებების თუ პრობლემური სიტუაციებიდან განსარიდებლად.

**მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობები**



მომრიგებელი მოსამართლეები პერიოდულად იკრიბებოდნენ მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობებზე. ყრილობას ჰყავდა თავმჯდომარე, სხდომას ყველა მომრიგებელი მოსამართლე უნდა დასწრებოდა, სადაც მოსამართლეები განი-

ხილავდნენ და გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებებს სასამართლოში არსებული ყველა პრობლემის შესახებ.

ყრილობის მიზანს უმთავრესად შიდა პრობლემების მოგვარება წარმოადგენდა. ყრილობებზე მოსამართლეები აყენებდნენ მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომელიც შეიძლება ყოფილიყო შენობის კეთილმოწყობა, უბნებში მოსამართლეთა განაწილება საქმეების დროული განხილვის მიზნით და იმ გამომწვევი გარემოებების აღმოფხვრა, რაც ცალკეულ უბნებში საქმეების განხილვის შეფერხებასა და გაჭიანურებას იწვევდა. აღნიშნული მოდელით მოსამართლეები მარტივად უზრუნველყოფდნენ მათ წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებას შიდა მექანიზმით. პრობლემის დაუძლეველობის შემთხვევაში ყრილობა დახმარებისთვის (თანხობრივად) სამინისტროს მიმართავდა. მოცემული ანგარიშვალდებულების ფორმა საყურადღებოა, რადგან ამით მოსამართლეები უზრუნველყოფდნენ ერთიანი, ძლიერი და კომპეტენტური სასამართლო სისტემის შექმნას და საზოგადოებაში სასამართლოს პრესტიჟის ამაღლებას.<sup>83</sup>

ასე მაგალითად:

”სხდომას დაესწრნენ:

ყრილობის თავმჯდომარე: ლ.ე. გრიგოლია, მომრიგებელი მოსამართლეები: ა.ნ. ლორთქიფანიძე, დ.ს. გაგუა, ე.გ. გაბუნია, ვ. ი. ტატიშვილი, ი. მ. ჭყონია, ა.ი. ახვლედიანი, ე. არდიშვილი, ა.ა. ქუთათელაძე, ლ.ბ. ხამიბურიძე, ვ.ბ. ახვლედი-

---

<sup>83</sup> საქმე, სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის ჩაჩიბაიას და ახალ-ხიბულის უბნის მოსამართლის ბერიძის შესახებ, 1920 წ., საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1837. ა.1, ს. 438.

ნი, პ.მ. გოგომე და საპატიო მსაჯულები: დ.ნ. ავალიანი და დ.ნ. ლორთქიფანიძე და ყრილობის მდივანი ვ.პ. თევდორაძე.

სხდომა გახსნა თავმჯდომარე ლ.ე. გრიგოლიამ დილის 11 საათზე, რომელმაც ახსნა მიზანი დღევანდელი შეკრებისა და თან წაიკითხა სია გასარჩევი საკითხებისა.<sup>84</sup>

ყოველ სხდომაზე ხდებოდა მოსამართლეთა ყრილობის ჟურნალის წარმოება, სადაც აღიწერებოდა სხდომის მსვლელობა, განსახილველი საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები.

წარმოგიდგენტ სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ჟურნალს, რომელშიც აღწერილია შემდეგი პრობლემური საკითხები:

“1) რა აფერხებს თითოეულ უბანში საქმის რიგიან და ჩქარ წარმოებას და რა ზომებია საჭირო მდგომარეობის მოწესრიგებისათვის.

2) მიზანშეწონილად მიჩნეულია თუ არა სასამართლო უბნები მთელს ოლქში საერთოდ და კერძოდ თითოეულ მოსამართლეზედ რწმუნებული უბანი და რა ზომებია საჭირო საქმის გამოსასწორებლად, მცხოვრებთა ინტერესების თვალსაზრისით.

3) სასურველია თუ არა ოლქში სასამართლო უბნების მიმატება, ან არსებულის შემცირება ორი უბნის გაერთიანებით.

4) აწარმოებენ თუ არა მოსამართლენი უბნის შემავალ საზოგადოებებში თხოვნის მიღებას და საქმის გარჩევას ადგილობრივ და რა დაბრკოლებას განიცდიან ამ მხრივ

---

<sup>84</sup> იუსტიციის მინისტრის წარდგენილება ქუთაისის მე-5 უბნის მომრიგებელ მოსამართლის ევგენი გაბუნისა გადაყენების შესახებ, საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1837, ა.1, ს. 435.

ზნობრივად ან ტექნიკურად.

5) დადგენილების შემუშავება, სამომრიგებლო ოლქის სივრცის და საქმეების სიმრავლის მიხედვით, დღიური და საგზაო ხარჯების გადიდების შესახებ სესიებში მოწოდებული მოსამართელთა დასაკმაყოფილებლად.

6) რამდენად იქონია გავლენა საქმეების სიმრავლეზე მოსამართელთა ქვემდებარეობის გადიდებამ „30 მარტის 1920 წლის დეკრეტის ძალით (კრებული 1920 წ. კან 57).

7) არჩევანი სამსახურიდან გადაყენებული მოსამართლე გამსახურდიას ადგილზე ნაიაღლევის უბანში.“<sup>85</sup>

ყრილობას, ასევე მოსამართლეთა უკანონო ქმედების შემჩნევის შემთხვევაში შეიძლება განეხილა მოსამართლეთა საქმიანობის კანონიერების საკითხი. მოსამართლეთა გადაცდომის შემთხვევაში ყრილობა ითხოვდა „ახსნა-განმარტებას“ სამართალდამრღვევი მოსამართლისაგან. დაპირისპირება შეიძლება გადაზრდილიყო მოსამართლეთა მოურიგებელ დავაში, რის გამოც შეუძლებელი ხდებოდა მოსამართლეთა ურთიერთთანამშრომლობა ან კიდევ მოსამართლის დამოუკიდებელი საქმიანობის გაგრძელება. მომრიგებელ მოსამართლეთა გადაწყვეტილებით, დავის მოგვარების მიზნით, საქმე შედიოდა სენატის საკასაციო დეპარტამენტის შეერთებულ საკრებულოში ან იუსტიციის სამინისტროში, ან ორივეში ერთად. და თუ რომელ მომრიგებელ მოსამართლეს უნდა

---

<sup>85</sup> საქმე, სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის ჩაჩიბაიას და ახალ-ხიბულის უბნის მოსამართლის ბერიძის შესახებ, 1920 წ., საქართველოს ეროვნული არქივი, ფ.1837. ა.1, ს. 438.



ეწარმოებინა საქმე/დავა მოსამართლის/მოსამართლეების ან თუნდაც ყრილობის თავმჯდომარის წინააღმდეგ (რაც გულისხმობდა საჩივრების/მოხსენებების წერას და გაგზავნას) სენატში, იუსტიციის სამინისტროში და ყველა შესაბამის ორგანოებში, წყვეტდა მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა.

აღნიშნული კარგად ჩანს კონკრეტული საქმიდან, რომელიც შეეხება სამეგრელოს ოლქის ყრილობის თავმჯდომარის ჩაჩიბაიას გადაყენების საკითხს. საქმის წარმოება, მოსამართლეთა გადაწყვეტილებით, დაევალა ახალ-ხიბულის უბნის მომრიგებელ მოსამართლე ბერიძეს:

„საქმე მიენდოს მომრიგებელ მოსამართლეს ნ. ბერიძეს აღძრას (შუამდგომლობა) სამინისტროს, სენატის თუ ვისაც წინაშე საჭირო იქნება, რომ ყრილობის თავმჯდომარე ბ. ჩაჩიბაია ჩამოშორებულ იქმნას ამ ოლქს მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდების და მთელი ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ მისთვის უნდობლობის გამოცხადების მიზეზით არა უგვიანეს მისთვის მიცემული შვებულების გათავისა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაისვას საკითხი ყველა მომრიგებელი სასამართლოების მოსამართლის სამსახურიდან გადადგომის შესახებ.“<sup>86</sup>

ბერიძემ კი შემდეგნაირად დაიწყო საქმის წარმოება:

„მაქვს რა პატივი წარმოვადგინო სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ოქმი და ჟურნალი, 18 ივლისიდან ამ წლამდე, საიდანაც სჩანს, რომ მე მინდობილი მაქვს ყრილობის მიერ შუამდგომლობა, რათა ყრილობის თავმჯდომარე ჩაჩიბაია მოშორებულ იქნას ამ ოლქს.“<sup>87</sup>

---

<sup>86</sup> იქვე.

<sup>87</sup> იქვე.

არაერთი განცხადება და თხოვნა სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე ჩაჩიბაიას წინააღმდეგ ახალ-ხიზულის უზნის მომრიგებელი მოსამართლე ბერიძის მიერ შეტანილი როგორც სენატში, ისე იუსტიციის სამინისტროში.

იმისათვის, რომ დავინახოთ, თუ როგორ ხდებოდა მოხსენების ფორმულირება სენატის საკასაციო დეპარტამენტის შეერთებული საკრებულოს წინაშე, წარმოგიდგენთ „მინდობილი პირის“ – მომრიგებელი მოსამართლის მიერ შედგენილ ერთ-ერთ მოხსენებას:

”საქართველოს სენატს

ახალხიზულის მომრიგებელი მოსამართლე ნ. ბერიძე

6 სექტემბერი 1920

სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე ბ.ჩაჩიბაიას შვებულება ჰქონდა ნათხოვი 23 ივნისიდან 3 სექტემბრამდე. მას სურდა შვებულებაც და თავმჯდომარის მოვალეობაც ესრულებინა, და ეს იმიტომ, რომ შვებულების დროის განმავლობაში, ყრილობის საქმეებში და ფულებში ხელების ფათურს აღარ მოშორებოდა და არ ყოფილიყო შესაძლებელი ყრილობის წევრებისთვის მისი მოქმედების ახლო გაცნობა. როცა მას ამის საშუალება არ მიეცა იგი იძულებული შეიქმნა შვებულების სარგებლობაზე უარი ეთქვა. მიუხედავად ამისა ბ. ჩაჩიბაია უშვებულე-ბოთ, ე.ი. 24 ივლისიდან 3 სექტემბრამდე 41 დღის განმავლობაში 26 დღე არ ყოფილა თავის სამსახურში. მაგალითად ბ. ჩაჩიბაია 24 ივლისს წავიდა სადღაც და ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა, ორიოდ დღის შემდეგ ისევ წავიდა სადღაც და ექვსი დღე დაჰყო, 14 აგვისტოს ნოქალაქევი წავიდა და 17 აგვისტოს დაბრუნდა, 18 აგვისტოს ქუთაისში წავიდა და

ოთხი დღე აღარ დაბრუნებულა, 23 თუ 24 აგვისტოს ერთი დღით ფოთში იყო, 31 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე საჭილაოში და ქუთაისში.

თუ სენატისთვის საექვო იქნება ეს ცნობები, ან ჩაჩიბაია მოინდომებს უარყოფას, მაშინ მე წარმოვადგენ ამის დასამტკიცებელ ოფიციალურ საბუთებს და დავასახელებ მოწმეებს. სხვა ადრე წარმოდგენილ და დასაბუთებულ ბრალდებებთან ერთად, ვფიქრობ ესეც საკმარისი უნდა იყოს, რომ ბ. ჩაჩიბაია მიცემულ იქმნას პასუხისგებაში და გადაყენებული სამსახურიდან, რასაც უმორჩილესად ვითხოვთ ამ შემთხვევაშიდაც. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ჩაჩიბაიას გადაყენება საშუალებას მისცემს მართლმსაჯულებას, რომ გამოაშკარავებულ იქმნან მისი უკანონო მოქმედებანი, რაც მისი თავმჯდომარედ ყოფნის დროს შეუძლებელია.

ამასთან ერთად ჩვენს ზნეობრივ მოვალეობად ვსთვლით მოვახსენოთ სენატს, რომ 25 ამ სექტემბრისთვის დანიშნულია ოლქის მოსამართლეთა ყრილობა, სადაც თუ მანამდის არ გადაწყდა ბ. ჩაჩიბაიას შესახებ საკითხი, დასმულია საკითხი ყველა მოსამართლეების სამსახურიდან გადადგომისა, რა სახელიც არ უნდა უწოდონ ამ ჩვენს მოქმედებას და რა დანაშაულთაც არ ჩაგვითვალონ იგი.

ოლქის მოსამართლეთა მინდობილობით ახალხიბულის უზნის მომრიგებელი მოსამართლე ნ. ბერიძე.”<sup>88</sup>

---

<sup>88</sup> საქმე, სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის ჩაჩიბაიას და ახალ-ხიბულის უზნის მოსამართლის ბერიძის შესახებ, 1920 წ., საქართველოს ეროვნული არქივი, ფ.1837. ა.1, ს. 438.

ასევე საინტერესოა, საპასუხო წერილი ყრილობის თავ-  
მჯდომარისგან:

”საქართველოს სენატს

საქართველოს რესპუბლიკის სამომრიგებლო ოლქის  
მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე

თანახმად მოწერილობისა 26 აგვისტოდან ამა წლისა N  
1359, მოვახსებ სენატს, რომ კვირაში ერთი ან ორი დღით ჩა-  
მოვედი სენატში სიცრუეა, ხოლო თუ, მე არჩეულ დროზე, ჩე-  
მი რაიონი მოვიარე საქმისა გამო, ანუ შვებულებით არ ვი-  
სარგებლე – განვაგრძე სამსახური და საქმე მოადგილეს არ  
ჩავაბარე, ეს დანაშაულად არ მეთვლება, რადგან ეს მიმაჩნია  
საჭიროდ და სასარგებლოდ თვით სამსახურისთვის. ბ. ბერი-  
ძის ჩემთან დამოკიდებულება და მის პირადობაზე მე უკვე  
მოვახსენე იუსტიციის მინისტრს და სენატს მოკლე დროში  
მოვახსენებ დაწვრილებით, დღეს კი ზუგდიდის სესიაში მი-  
ვემგზავრები.”<sup>89</sup>

საქმეში ასევე არაერთი მიმართვა/მოხსენებაა მინდობი-  
ლი პირის მიერ გაგზავნილი როგორც სენატში, ისე იუსტი-  
ციის სამინისტროში, რომლის შემდეგ საქმის მასალებიდან  
ირკვევა, რომ სენატი თავისი შემადგენლობიდან გზავნის ორ  
სენატორს რევიზიის მოსახდენად, რათა წარუდგინოს სენა-  
ტის საკასაციო დეპარტამენტის შეერთებულ საკრებულოს  
საქმის მასალები პრობლემისა და არსებული გარემოების შე-  
საფასებლად:

”საქართველოს სენატის საკასაციო დეპარტამენტის შე-  
ერთებულ საკრებულოს

სენატორთა: ვ.დემიდოვისა და ნ. მაჭავარიანის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

---

<sup>89</sup> იქვე.

შესახებ სამეგრელოს ოლქის სამომრიგებლო ყრილობის თავმჯდომარისა და იმავე ოლქის მოსამართლეთა შორის ამტყდარ უთანხომებისა, ვცნობთ საჭიროდ მოვახსენოთ სენატის საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებულ საკრებულოს შემდეგი:

როგორც დასავლეთ საქართველოს სამომრიგებლო დაწესებულებათა რევიზიის დროს შეკრებილ ცნობებიდან და აგრეთვე ამ მოხსენებასთან დართულ საქმეებიდან ჩანს, ხსენებულმა უთანხმოებებმა იჩინეს თავი სამეგრელოს სამომრიგებლო დაწესებულებათა თითქმის დაარსებისთანავე. უკმაყოფილება ასე იზრდებოდა დღითი დღე და მიაღწია იქამდე, რომ ოლქის მომრიგებელ მოსამართლეებმა შესაძლოთ სცნეს შეკრებილიყვნენ, ეთათბირათ ხსენებულ თავმჯდომარის მოქმედებებზე და გამოეტანათ თავისი დადგენილება. 1920 წლის 3 აპრილს ქ. ახალ-სენაკში, მოხდა ნაოღალევის მოსამართლის ბ. გამსახურდიას თავმჯდომარეობით სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა კერძო ყრილობა. ამ ყრილობას დაესწრნენ 7 მომრიგებელი მოსამართლე. თათბირის შემდეგ მომრიგებელ მოსამართლეთ გამოიტანეს ყრილობის თავმჯდომარის ბ. ჩაჩიბაიას შესახებ დადგენილება, რომელშიდაც აღნიშნეს მთელი რიგი ბრალდებისა ბ. ჩაჩიბაიასადმი. კერძო ყრილობამ წარუდგინა ბ. ჩაჩიბაიას შემდეგი ბრალდებანი: ა. სხდომის დროს თვითნებობა, ბ. მიდგომლობა მხარეებისადმი, გ. უდიერობა მოსამართლეებისადმი, დ. სახაზინო ფულის მითვისება-გაფლანგვა, ე. ფიქტიური ანგარიშების შეყენება საკანცელარიო ხარჯების გასამართლებლად, ვ. კერძო ვეჭილების გამრავლება, ზ. მონაწილეობა იმ საქმეებში, რომელთაც წინათ ბ. ჩაჩიბაია აწარმოებდა, როგორც ვეჭილი.

ამის გამო იუსტიციის მინისტრის განკარგულებით და-  
ნიშნული იყო კვლევა-ძიება, რომელიც მიენდო სასამართლო  
პალატის უფროს თავმჯდომარეს ბ. გელოვანს; ამ უკანას-  
კნელმა მოახდინა გამოძიება საზოგადოდ შესახებ მთელი  
ზემოხსენებულ უთანხმოებებისა, დაათვალიერა დაწვრილე-  
ბით, როგორც სამეგრელოს ყრილობაში ნაწარმოები საქმეე-  
ბი, აგრეთვე ყრილობის საფულე ნაწილიც, დაკითხა ოლქის  
ყველა მომრიგებელი მოსამართლე, და გამოარკვია, რომ ყვე-  
ლა ზემომოყვანილი ბრალდებები, რომლებიც მომრიგებელ  
მოსამართლეთა კერძო ყრილობაზე იყო წამოყენებული ყრი-  
ლობის თავმჯდომარის ბ. ბ. ჩაჩიბაიას წინააღმდეგ, არა თუ  
არ ეთანხმება სიმართლეს, პირიქით სიცრუეზე და ყალბ  
ცნობებზე არის აშენებული. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშ-  
ნული კერძო ყრილობის უმრავლესობა, ბ. გელოვანის მიერ  
დაკითხვის დროს, უარს ამბობს იმ ბრალდებებზე, რომელიც  
კერძო ყრილობის მიერ იყო წამოყენებული – მომრიგებელი  
მოსამართლენი, გარდა ერთი პირისა, რომელთაც კერძო  
თათბირის დროს შეიმუშავეს ბ. ჩაჩიბაიას წინააღმდეგ წარ-  
სადგენად მთელი რიგი მძიმე ბრალდებებისა, თავის ჩვენე-  
ბაში, მათი ბ. გელოვანის მიერ დაკითხვის დროს აცხადებენ,  
რომ თვითონ თუ დაადასტურებენ ამა თუ იმ ფაქტს. მხო-  
ლოდ მათ გაუგონიათ ასეთი ფაქტებზე ლაპარაკი. ბ. გელო-  
ვანის ზემოხსენებული დასკვნა შესახებ ბ. ჩაჩიბაიას წინააღ-  
მდეგ წამოყენებული ბრალდებებისა სრულიად ეთანხმება  
სენატორთა რევიზიის შედეგებს. სამეგრელოს ოლქის მომ-  
რიგ. მოსამართლეთა ყრილობის ყოველგვარი საქმის დათვა-  
ლიერების დროს რევიზიას არავითარი აღსანიშნავი უწყსრი-  
გობა არ აღმოუჩენია. სენატორთა რევიზიას არ შეუძლია აგ-  
რეთვე დაადასტუროს ის ბრალდებებიც, რომელიც წამოყე-

ნებულია ახალ-ხიბულის მომრიგებელ მოსამართლის ბ. ბერიძის სენატისადმი მომართვაში 1920 წლ. ივლისის 31 თარიღით წარდგენილ ქალაქში, რადგან რევიზიას ხელთ არ ჰქონია ამის დამამტკიცებელი საბუთები.

როგორც ამ მოხსენებასთან დართულ საქმიდან სჩანს, „საქმე სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქის მომრ. მოსამართლეთა ყრილობის თავმჯ. ჩაჩიბაიას მოქმედების შესახებ“ 1920 წლის 17 ივლისს შემდგარა ახალ-სენაკში სამეგრელოს ოლქის მოსამართლეთა ყრილობა. ყრილობა სხვათა შორის შეეხო თავმჯდომარის ბ. ჩაჩიბაიას მოქმედებას და განიმეორა რა ყოველი ზემოხსენებული ჩაჩიბაიასადმი ბრალდებანი, დაადგინა: მიენდოს მომრიგებელ მოსამართლე ბ. ბერიძეს აღძრას შუამდგომლობა სამინისტროს, სენატის, თუ ვისაც წინაშე საჭირო იქნება, რომ ყრილობის თავმჯდომარე ჩაჩიბაია ჩამოშერებულ იქნას ამ ოლქს... არა უგვიანეს მისთვის მიცემულ შვებულების გათავებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ დროს დაისვას საკითხი ყველა მომრიგებელი მოსამართლეთა ამ დღიდან სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

ამ მინდობილობის შესასრულებლად ბ. ბერიძემ შეიტანა სენატში ზემოხსენებული ქალაქი, რომელშიდაც წარუდგენს რა ბ. ჩაჩიბაიას ძველ ბრალდებებთან ახლებს, თხოულობს ვითარცა სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის რწმუნებული ბ. ჩაჩიბაიას თავმჯდომარეობიდან გადაყენებას.

ზევით მოხსენებული იყო, რომ ბ. გელოვანის მიერ მოხდენილი კვლევა მიებით და სენატორთა რევიზიით ყრილობის მიერ ა. წ. 3 აპრილს წინააღმდეგ ბ. ჩაჩიბაიასადმი ბრალდებები გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს; რაც შეეხება ახალ ბრალდებებს, ის ეჭვს გარეშეა არის იმავე უთან-

ხმოების შედეგი: მაგრამ უთანხმოება მაინც სუფევს ბ. ჩაჩიბა-  
 იასა და სამეგრელოს მოსამართლეთა შორის და საკითხავია  
 რითია გამოწვეული ეს გარემოება. სენატორთა რევიზიით  
 და ბ. გელოვანის მიერ შეკრებილი მასალა და მათ მიერ ად-  
 გილობრივ მიღებული შთაბეჭდილებანი აძლევენ პასუხს ამ  
 კითხვას. ცხადია, რომ ბ. ჩაჩიბაია არ მოქმედებდა ფრთხი-  
 ლად, მას აბუჩად ჰყავდა აგდებული მომრიგებელი მოსამარ-  
 თლენი, სრულებით არ უწევდა ანგარიშს მათ თავმოყვარეო-  
 ბას, იყო საჭირო თუ არა, მოურიდებლად ლაპარაკობდა მათ  
 მოუმზადებლობაზე, უვიცობაზე, უღირსობაზე, ხშირად  
 უადგილოდ და ცდილობდა ეცნო მათთვის, ვითომ მათ არა-  
 ვითარი მომზადება არ აქვთ, რომ მათ არაფერი არ იციან.  
 ხშირად დაცინვის კილოთი იხსენიებს მათ განაჩენში, ამბობს  
 რა \_ „ეს დაცვითი წესი კი არა, გაცვეთის წესია“, „ეს მოსამარ-  
 თლის დემაგოგობაა“, ბ. ჩაჩიბაიას კერძო ლაპარაკის დროს  
 არა ერთხელ უხმარია მოსამართლეების შესახებ სიტყვები:  
 „.....“ (არ იკითხება) ამ მხრით მოსამართლეთა ყრილობა სრუ-  
 ლებით მართალია, როცა ამბობს, რომ ბ. ჩაჩიბაია ხალხის  
 თვალში სასამართლოს პრესტიჟს სცემს.”<sup>90</sup>

სენატის საკასაციო დეპარტამენტის შეერთებული საკ-  
 რებულოს საქმის მასალებს თან ერთვის, ასევე იუსტიციის  
 სამინისტროს წარმომადგენლის – ტფილისის სასამართლო  
 პალატის თავმჯდომარის, ასლან გოჯასპირის ძე გელოვანის  
 კვლევა-ძიების შედეგად შედგენილი მოხსენება. ა. გელოვა-  
 ნის მიერ აღნიშნულ საქმეზე დაკითხულ იქნენ მომრიგებე-

---

<sup>90</sup> საქმე, სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა  
 ყრილობის თავმჯდომარის ჩაჩიბაიას და ახალ-ხიბულის უბნის  
 მოსამართლის ბერიძის შესახებ, 1920 წ., საქართველოს ეროვნული  
 არქივი, ფ.1837. ა.1, ს. 438.



ლი მოსამართლენი, რომელთაც ხელი აქვთ მოწერილი სამინისტროში მათ მიერ წარმოდგენილ ოქმზე. მოსამართლეები დაკითხულ იქნენ ცალ-ცალკე ერთმანეთისგან დაუსწრებლად. მოსამართლეებმა ისაუბრეს განხილულ საქმეებზე და აღნიშნულ საქმეებში დარღვევების შესახებ, რომლის შემდეგაც თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარემ გადახედა და შეისწავლა თითოეული მოსამართლის მიერ აღნიშნული საექვო საქმეები და გადაწყვეტილებები, ასევე გადახედა იმ მოსამსახურე პირთა ანგარიშებს და სიებს, რომელთაც მიიღეს ჯამაგირი, რადგან საჩივარი შეტანილი იყო ასევე ყრილობის თავმჯდომარის მიერ თანხების არასწორად გადანაწილების შესახებ.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა დაბალი იურიდიული განათლების დონის გამო, ყრილობის თავმჯდომარეს უხდებოდა მომრიგებელ მოსამართლეთა გადაწყვეტილებების შეცვლა – „დადგენილი განაჩენების დარღვევა“ ან კიდევ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებების მიღება – „დადგენილი განაჩენების მოსპობა“.

”ყველა ზემო აღნიშნული გარემოებანი ადასტურებს, რომ უმრავლესობა სენაკის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა არ არის მომზადებული და განვითარებული, რის გამო მათ ამ ჟამად არ ძალუძთ რიგიანად და წესიერად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა, მაგრამ ეს უნდა ჩაითვალოს გარდამავალ მოვლენად და ახლო მომავალ დროში მათ აქვთ საშუალება შეიძინონ კრიტიკული ცნობები, რომლის საშუალებით შესაძლო იქნება საქმის რიგიანად და წესიერად წარმოება.”<sup>91</sup>

---

<sup>91</sup> იქვე.

რაზედაც შესაბამისი დასკვნა დადო იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა – სააპელაციო პალატის თავმჯდომარემ: „საქმეების გადათვალთვალებით გამოიჩვენა, რომ სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ დადგენილი განაჩენები მოსამართლეთა ყრილობის მიერ დარღვეულია ან მოსპობილია წარმოების და დებულების კანონების დარღვევის გამო.“<sup>92</sup>

კონკრეტულ საქმეზე, თუ რა ბედი ეწია სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეს და მის განკარგულებაში მყოფ მოსამართლეებს, ჩვენს ხელთ არსებული საქმის მასალებიდან, რომელიც სრულად არ არის წარმოდგენილი (ამოღებულია გაურკვეველი მიზეზების გამო), ირკვევა, რომ იუსტიციის მინისტრის ამხანაგის (მოადგილის) განკარგულებით, მოთხოვნილ იქნა ყრილობის ხელახალი არჩევნები. ამასთან, იუსტიციის სამინისტრო ითხოვს, არჩევნების ჩატარების შემდეგ არჩევნების შედეგის გადაგზავნას დასამტკიცებლად:

„თანახმად მინისტრის ამხანაგის განკარგულებისა კანცელარია გთხოვთ წინადადება მისცეთ თქვენს მაზრაში არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთ დაუყოვნებლივ არჩევნების შედეგის დამტკიცებამდე შეუდგნენ მოვალეობის აღსრულებას და ყრილობის შედგენას. ამასთანავე ერთად კანცელარია გთხოვთ გამოუგზავნოთ მას მთელი არჩევნების საქმე არჩევის შედეგის დასამტკიცებლად სამინისტროს მიერ, თანახმად რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებისა.“<sup>93</sup>

მოსამართლეთა ყრილობები არის მოსამართლეთა თვითმმართველობის განხორციელების უნიკალური და

---

<sup>92</sup> იქვე.

<sup>93</sup> იქვე.

უაღრესად საინტერესო ფორმა. საკადრო, საყოფაცხოვრებო, მოსამართლეებს შორის კონფლიქტების თუ ყველა სხვა საკითხის გადაწყვეტის საშუალება იყო სწორედ ყრილობა, სადაც თავს იყრიდნენ მოსამართლეები და, თავადვე, მხარეების მოსმენითა და მსჯელობით წყვეტდნენ ამ საკითხებს.

მოსამართლეთა თვითმმართველობის ეს ფორმა განსაკუთრებით საყურადღებოდა დღევანდელი პერსპექტივიდან, როდესაც პასიურია მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო – მოსამართლეთა კონფერენცია. მოსამართლეთა ყრილობები, ორგანიზებული გეოგრაფიული პრინციპით, დღევანდელი გადმოსახედიდან წარმოადგენს ძალიან საყურადღებო გამოცდილებას. ყრილობის მეშვეობით, თითოეული მოსამართლე, თუნდაც ყველაზე საწყისი ინსტანციის, საქმის კურსში იყო სასამართლოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. მას შესაძლებლობა ჰქონდა, ყველა საკითხზე აზრი გამოეთქვა და მიეღო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში. ამგვარად, მოსამართლეთა ყრილობა იყო მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაძლიერების მექანიზმიც.

გადაწყვეტილების მიღება მოსამართლეებს შორის უმნიშვნელოვანეს თემებზე იყო ჰორიზონტალური და არა ვერტიკალური, მაგალითად, უფრო მაღალი დონის სასამართლოს ან თავმჯდომარის მხრიდან. მსგავსი დემოკრატიულობის ხარისხით იშვიათად ხასიათდება რომელიმე სახელმწიფო ინსტიტუტი და ეს უნიკალური გამოცდილება დღევანდელი გადმოსახედიდან გასათვალისწინებელია.

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო სენატი

სასამართლო რეფორმის გვირგვინი იყო 1919 წლის ივლისში საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სენატის შექმნა. 29 ივლისს პარლამენტმა მიიღო სენატის დებულება.<sup>94</sup>

საქართველოს სენატი არის უზენაესი სასამართლო, იგი: 1) თვალყურს ადევნებს კანონის დაცვასა და სისწორით ასრულებას მთავრობის ყოველი დაწესებულების თანამდებობის პირისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ. 2) განაგებს სასამართლო ნაწილს, როგორც საკასაციო სასამართლო, და 3) შეასრულებს ყოველ სხვა მოვალეობას, ამა დებულებაში აღნიშნულს.<sup>95</sup>

სენატი ანგარიშვალდებული იყო საქართველოს პარლამენტის წინაშე.<sup>96</sup>

იუსტიციის სამინისტრო სენატის შექმნის მნიშვნელობას შემდეგნაირად ახასიათებდა,

“პროექტით, სენატის სახით საქართველოს მოველინება უზენაესი დაწესებულება არა მარტო სასამართლოს დარგში, არამედ კანონთ-მცველი ორგანო სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სფეროშიაც. საიმედო დარაჯი კანონიერებისა ყველა დაწესებულებათათვის, რომელმაც სისრულეში მოიყვანა

---

<sup>94</sup> სენატის დებულება.

<sup>95</sup> სენატის დებულება, მუხლი 20.

<sup>96</sup> იქვე, მუხლი 1.

ქართული სასამართლო რეფორმა და სასამართლო სისტემის სრულყოფილ ფორმას გვაზიარა.“<sup>97</sup>

სენატის კანონპროექტი და დებულება შეიმუშავა სპეციალურმა კომისიამ, სადაც შედიოდნენ გამოცდილი იურისტები და პარლამენტის იურიდიული კომისიის წევრები, იუსტიციის მინისტრის ამხანაგი<sup>98</sup> გიორგი გველესიანი თავმჯდომარეობდა კომისიას.<sup>99</sup> ორივე პროექტი, მოგვიანებით განიხილა და დაამტკიცა პარლამენტმა.

უალრესად საყურადღებოა, რომ სენატის შექმნის რეფორმა სხვა რეფორმებზე მოგვიანებით იყო მიღებული. პირველ რიგში შეიქმნა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი. სავარაუდოა, რომ ამის მიზეზი ხალხთან მართლმსაჯულების სიახლოვის უზრუნველყოფა იყო.

სენატის შექმნის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო დეტალია სენატის შენობის საკითხი. შენობასთან მიმართებაში კარგად ჩანს, რომ იუსტიციის სამინისტროს კარგად ჰქონდა გააზრებული ხელისუფლების განაწილების პრინციპი. „მართალია სენატის ორგანიზაცია და მისი საქმეების მოწესრიგება იუსტიციის სამინისტროს მოვალეობას არ შეადგენს, მაგრამ ის საჭიროდ თვლის მიღებულ იქნას ზომები, რათა სენატისათვის სათანადო შენობა მოინახოს. ამის შესახებ იუსტიციის სამინისტრომ უკვე მიწერ მოწერა მიწათმოქმედების სამინისტროსთან გამართა, რომლისგანაც პრინციპული თანხმობა უკვე მიღებულია.“<sup>100</sup>

---

<sup>97</sup> პირველი ნაბიჯები.

<sup>98</sup> ამხანაგი ნიშნავდა მოადგილეს, ავტ. შენიშვნა.

<sup>99</sup> სენატის პირადი შემადგენლობის სია, საქართველოს ეროვნული არქივი, ფ.1837, ა. 1, ს. 420.

<sup>100</sup> პირველი ნაბიჯები.

საქართველოს სენატის პირადი შემადგენლობა,  
 ფოტო: საქართველოს ეროვნული არქივი,  
 ფ. 1837, ა. 1, ს. 420.

საქართველოს სენატის  
 პირადი შემადგენლობის 1920 წლ.საქმეთა აღწერილობა.

გვარი, სახელი, მამის სახელი.	ბაშსახარის დაწყების დღით.	საქმის გამთავრების დღით.
ს ე ნ ა ტ ო რ გ ბ ი.		
1. ხელთუღნიშვლი, დავით ბესარიონის შვილი,	1907.7.15	
2. ჯაფარიძე, ივანე შიხელის ძე.	1907.7.15	
3. ზურაბიშვილი, ივანე ივანეს ძე,	1907.7.15	1109. 24/15
4. ღმრღიანი, ბასილ ბუქუხიძის ძე.	1907.7.15	
5. შიქელაძე, სოლომონ გიორგის ძე.	1907.7.15	
6. ახაშიანი, ლევან გიორგის ძე.	1907.7.15	
7. მადუნაძე, გიორგი ისიდორის ძე.	1907.7.15	
8. კლანდარაშვილი, დიმიტრი ილარიონის ძე.	1907.7.15	
9. გველესიანი, გრიგოლ ივანეს ძე,	1907.7.15	
10. ქუთათელაძე, ვლადიმერ ნიკოლოზის ძე,	1907.7.15	
11. კიკოძე, ნიკოლოზ მოსეს ძე.	1907.7.15	1109. 24/15
12. ქორკაშვილი, შიხელ ლევანის ძე.	1907.7.15	
13. მაჭავარიანი, ნიკოლოზ გიორგის ძე.	1907.7.15	
14. როინიშვილი, იოსებ ნიკოლოზის ძე.	1907.7.15	
15. ბარაბაშვილი, გიორგი კონსტანტინეს ძე.	1907.7.15	

I  
X

საქართველოს ეროვნული არქივი National Archives of Georgia


ბ.

თ ა ნ ა შ ლ ე ბ რ ბ ი ს პ ი რ ნ ი .

1.	შინძე, მოსუ გაბრიელის ძე.	197.15/X	1920.1
2.	აფხაზი, ივანე დიმიტრის ძე.	197.15/X	
3.	გამრეკელი, ევგენი ალექსანდრეს ძე.	197.15/X	
4.	კობახიძე, ნიკოლოზ იოთაშის ძე.	197.15/X	
5.	ჭიჭინაძე, სვიტ გერონდის ძე.	197.17/X	1920.20
6.	ცაგურია, ვლადიმერ ბესარიონის ძე.	197.18/X	1920.21
7.	აბაშიძე, კონსტანტინე ილიას ძე.	197.1/II	
8.	დვალისვილი, ნიკოლოზ ალექსის ძე.	197.20/X	
9.	ჯავახიშვილი, ივანე გრიგოლის ძე.	197.20/X	
10.	გიორგაძე, პავლე გიორგის ძე.	197.15/II	
11.	ელისაშვილი, ნინო ილარიონის ასული.	197.21/II	
12.	ვანცხაძე, რომანოზ სპირიდონის ძე.	207.1/I	207
13.	<i>ქაჩუაძე ნახ ვინაძე სვიტ</i>		
14.	<i>ქაჩუაძე ნახ ვინაძე სვიტ</i>	207.1/II	1920.21
15.	<i>ქაჩუაძე ნახ ვინაძე სვიტ</i>	207.1/II	1920.21
16.	<i>ქაჩუაძე ნახ ვინაძე სვიტ</i>	207.1/II	1920.21
17.	<i>ქაჩუაძე ნახ ვინაძე სვიტ</i>	207.1/II	1920.21

ს ა კ ლ დ ი უ ი კ ა ც ი ი ა გ ა ნ უ ლ უ ი ლ ე ბ ა .

	დადიანი, შოთა პლატონის ძე.	197.20/X	207.1
	ყარანგოლიშვილი, ვიქტორ ალექსანდრეს ძე.	197.22/X	
	ამესაძე, ნიკოლოზ ივლიანეს ძე.	197.4/II	
	სიღამონ-ერისთავი, გიორგი იოსების ძე.	197.22/X	
	ბარათაშვილი, დავით ნიკოლოზის ძე.	197.22/X	
	სიხარულიძე, არტემ ანტონის ძე.	197.22/X	
	ნაშინიჭვიშვილი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.	197.22/X	207.1
	საყვარელიძე, ანდრია ბეგლარის ძე.	207.1/I	207.22
	ცაგურია, თამარა ბესარიონის ასული.	207.25/II	
	<i>ქაჩუაძე ნახ ვინაძე სვიტ</i>	207.1/II	1920.21



9

მ.  
კ ა ნ ც ე ლ ა რ ი ი ს მ ო ხ ე ლ ე ბ ი .

1. შანაშია, გრიგოლ გიორგის ძე.	197.15/X	
2. ჩილაშვილი, ელისაბედ ივანეს ასული.	197.15/X	207.1/I
3. ტყეშელაშვილი, ირაკლი აბესალოზის ძე.	197.17/X	207. 4/X
4. ჩიგოგიძისა, შიშხუაძე ივანის ასული.	197.17/X	207. 11/X
5. თარხან-მოურავისა, შარიაშ დავითის ასული	197.18/X	
6. ალაშია, ნინო გიორგის ასული.	197.18/X	
7. შვეტაძე, თამარ დიმიტრის ასული	197.18/X	
8. შვიციანიშვილი, ელენე ვლადიმერის ასული	197.21/X	207. 20/X
9. დიდიშვილი, ნინო ვახტანგის ასული	197.21/X	207. 20/X
10. <del>გომილაშვილი, ნინო ივანის ასული.</del>	<del>197.21/X</del>	<del>207. 11/X</del>
11. კორძია, შარანკვეა ბეგლარის ასული.	197.21/X	207. 11/X
12. შიშხუაძე, ელისაბედ სოლომონის ასული	207.5/I	
13. ბობოხიძე, დიმიტრი არტემის ასული	207.9/II	
14. ლომიძე, გიორგი დავითის ასული	207. 24/X	
15. ქაჯაიძე, გიორგი დავითის ასული	207. 9/X	
16. ქაჯაიძე, თამარ დავითის ასული	207. 17/X	
17. ლომიძე, გიორგი დავითის ასული	207. 24/X	

ახ. 13/8.

ს ა კ ლ ი ვ ი კ ა ტ ი მ ა ნ ე ლ ე ბ ი .

არაქვენიძე, თამარ ანტონის ასული 197.22/X

გ. ლომიძე

მ დ ი ვ ა ნ ი 2. 2007




საქართველოს National  
არქივები Archives of  
საქართველო Georgia



თუნდაც სენატის შენობასთან მიმართებაში, იუსტიციის სამინისტრო ცდილობს, დაიცვას ფაქიზი ბალანსი აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის.

15 სენატორს, მათ შორის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს ირჩევდა პირველი დამფუძნებელი კრება ორი წლის ვადით, ხოლო შემდეგ პარლამენტი ოთხი წლის ვადით. სენატორები ასრულებენ სამსახურს ვადის გასვლის შემდეგაც ახალი სენატორების დანიშვნამდე.<sup>101</sup>

სენატი შედგებოდა საზოგადო კრებისაგან, შეერთებული საკრებულოსაგან, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საკასაციო დეპარტამენტისაგან. სამოქალაქო სამართლის საკასაციო დეპარტამენტში შედიოდა საადმინისტრაციო განყოფილება. თითოეული განყოფილება ქვევით განხილულია დეტალებში და ცალ-ცალკე.



<sup>101</sup> სენატის დებულება, მუხლი 20.

სამართლებრივად საინტერესოა, რომ სენატში არსებობდა საპროკურორო განყოფილება.<sup>102</sup> ეს განყოფილება დღევანდელი პროკურატურის წინაპარია. პროკურორებს ჰყავდათ მოადგილეები, რომელთა რაოდენობა განისაზღვრებოდა სამტატო განრიგით. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მხრივ მნიშვნელოვანია, რომ პროკურორებს და მათ მოადგილეებს სენატში ნიშნავდა მთავრობა.<sup>103</sup> პროკურორის მოვალეობა იყო ყველა საქმეზე წარედგინა საკუთარი მოსაზრება სენატის წინაშე. საყურადღებოა, რომ პროკურორებს ეხებოდათ როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეები. სენატის დებულების მიხედვით, „30. პროკურორი და მის მიერ დანიშვნით, მისი ამხანაგი წარუდგენს სენატს თავის დასკვნას ყოველ საქმის შესახებ, რომელიც შეტანილია განსახილველად სენატის საზოგადო კრებასა, შეერთებულ საკრებულოსა, საკასაციო დეპარტამენტსა და მის განყოფილებაში, საკასაციო წესით თუ არსებითად.“<sup>104</sup>

ამრიგად, თავდაპირველი პროკურატურა მოქმედებდა როგორც ერთგვარი „სასამართლოს მეგობარი.“ „სასამართლოს მეგობარი“ ძველი რომაული ინსტიტუტია, რომლის თავდაპირველი დანიშნულება იყო სასამართლოსათვის გარე, მიუკერძოებელი პირის მხრიდან პოზიციის წარდგენა მის მიერ განსახილველ საკითხებზე.<sup>105</sup> რომიდან გავრცელდა ის თავდა-

---

<sup>102</sup> სენატის დებულება, მუხლი 28.

<sup>103</sup> იქვე, მუხლი 29.

<sup>104</sup> იქვე, მუხლი 30.

<sup>105</sup> Dolidze, Anna V., Making International Property Law: The Role of Amici Curiae in International Judicial Decision-Making (March 24, 2013). 40 Syracuse Journal of International Law and Commerce, 2013, 13 Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2086433>; ასევე Samuel

პირველად საერთო სამართლის ქვეყნებში.<sup>106</sup> ცალკე საინტერესო სამეცნიერო კვლევის საგანს წარმოადგენს, თუ რა არგუმენტებით მოხდა პროკურორების ასეთი როლის ჩამოყალიბება დემოკრატიული რესპუბლიკის მართლმსაჯულებაში.

ორივე საკასაციო დეპარტამენტს ჰყავდა თითო პროკურორი, ხოლო პროკურორებს მოადგილეები. პროკურატურის ბუნება საყურადღებოა ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, ვინაიდან პროკურატურის ინსტიტუტი იმყოფებოდა სასამართლო ხელისუფლების შემადგენლობაში, თუმცა პროკურორებს ნიშნავდა აღმასრულებელი ხელისუფლებაც – მთავრობა. შესაბამისად, პროკურატურის ინსტიტუტი იყო კომპრომისული შეჯერება აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის. პროკურატურის მდგომარეობაზე ხელისუფლებებს შორის საკითხის ასეთი გადაწყვეტა საინტერესოა პროკურატურის აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ დღევანდელ დებატებთან დაკავშირებით.<sup>107</sup> ცალკე შესწავლას იმსახურებს პროკურორებსა და სასამართლოს შორის ურთიერთმიმართების საკითხი და ის, თუ რამდენად ითვალისწინებდა სასამართლო პროკურორების დასკვნებს. სამეცნიერო წრეების შესწავლის საგანი უნდა გახდეს, თუ რამდენად ჰქონდა პროკურორების მოსაზრებებს გავლენა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

---

Krislov, *The Amicus Curiae Brief: From Friendship to Advocacy*, 72 *YALE L.J.* 694, 694 (1963).

<sup>106</sup> იქვე.

<sup>107</sup> რომელი ხელისუფლების ფარგლებში უნდა საქმიანობდეს საქართველოს პროკურატურა, დიდი ხანია არის საზოგადოებრივი განხილვისა და დებატის საგანი.

გარდა ამისა, საქართველოს სენატში არსებობდა რევიზორის, თარჯიმნის, ბოქაულის, იასაულის, შიკრიკის საშტატო ერთეულები. სენატს ასევე გააჩნდა საკოდიფიკაციო განყოფილება.<sup>108</sup>

## ა. საზოგადო კრება

საქართველოს სენატის უმაღლესი სტრუქტურული ორგანო იყო საზოგადო კრება, რომელიც უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ახორციელებდა. იგი უფლებამოსილი გახლდათ, საქართველოს საერთო სასამართლოებში დაენიშნა მოსამართლეები, სასამართლოთა თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, განხორციელებინა დისციპლინური წარმოება მოსამართლეების, მათ შორის სენატორების მიმართ და ასევე განსაკუთრებული წესით განეხილა საქმეები. ყველაზე რთული საკითხები განიხილებოდა სენატორთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის მიერ საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებაზე.

საქართველოს სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრება წარმოადგენდა იმ სასამართლო სტრუქტურულ რგოლს, რომელზეც სენატის ყველა დეპარტამენტის წარმომადგენელი სენატორები იკრიბებოდნენ და წყვეტდნენ სასამართლო სისტემაში წამოჭრილ ამა თუ იმ პრობლემას სხვადასხვა ძირეული საკითხების შესახებ.<sup>109</sup>

„35. სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებას ექვემდებარება:

---

<sup>108</sup> ბ. ქანთარია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921), 25.

<sup>109</sup> სენატის დებულება.

1) არსებითად საბოლოო გადაწყვეტა საჩივრისა და პროტესტისა იმ საქმის გამო, რომელიც განიხილა სენატის საადმინისტრაციო განყოფილებამ როგორც პირველმა ინსტანციამ;

2) საბოლოო გადაწყვეტა იმ დავისა, რომელიც აღიძვრის კომპეტენციის გამო სასამართლო და მთავრობის დაწესებულებათა შორის და აგრეთვე სხვადასხვა უწყების სასამართლოს შორის;

3) განხილვა სააპელაციო საჩივრისა, რომელიც შეტანილია სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის გადაწყვეტილების გამო და შეეხება საადმინისტრაციო უწყების და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ისეთ უკანონო მოქმედებით ან დაუდევრობით მიყენებულ ვნებისა და ზარალის ანაზღაურებას, რომელიც ან სრულიად არ ეკუთვნის სისხლის სამართლის უწყებას, ან რომლის შესახებ სისხლის სამართლის წარმოება მოსპობილია ან შეჩერებული;

4) განხილვა თხოვნისა იმ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომელიც დადგენილია სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის მიერ სააპელაციო წესით წინა მუხლში ნაჩვენებ საქმეზე და აგრეთვე განხილვა როგორც თხოვნისა ამ გადაწყვეტილების გადასინჯვის, ისე ამ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ იმ პირთა თხოვნით, რომელთაც საქმეში მონაწილეობა არა ჰქონიათ მიღებული;

5) განხილვა თხოვნისა, რომ ნება დაერთოს მთხოვნელს მოსთხოვოს სენატორთ ზარალი, მიყენებული იმათი ისეთ უკანონო, ან მიკერძვით, ან დაუდევარი მოქმედებით, რომელიც ან სრულიად არ ექვემდებარება სისხლის სასამართლოს, ან რომლის გამო სისხლის სამართლით დევნა მოსპობილია ან შეჩერებული;

6) გადაწყვეტა სენატის ქვემდებარე სადისციპლინო საქმისა სასამართლო უწყების თანამდებობის პირთა და, მათ შორის, სენატორთა შესახებ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, რომელიც აღნიშნულია „სასამართლო დაწესებულებათა დებულების“ 295<sup>2</sup> მუხლში;

7) გადაწყვეტა იმ საკითხისა, რომელიც გადატანილია საზოგადო კრების განსახილველად სენატის რომელიმე დეპარტამენტის დადგენილებით;

8) დამტკიცება შეერთებულ საკრებულოში განხილულ საერთო განაწესისა სასამართლო დაწესებულებათათვის;

9) დამტკიცება სენატის საკასაციო დეპარტამენტებისათვის შედგენილს განსაკუთრებული განაწესისა;

10) დროებით გადაყენება სამსახურიდან სენატის თავმჯდომარისა, მისი ამხანაგისა და სენატორებისა, თუ ისინი სამართალში ან გამოძიებაში იქნებიან მიცემულნი;

11) გადაწყვეტა იმ საკითხისა, რომელიც აღნიშნულია ამა დებულების მეექვსე და ოცდამეექვსე მუხლში;

12) დანიშვნა ოლქის სასამართლოს და პალატის წევრთა, თავმჯდომარეებისა და მათი ამხანაგებისა; თვითოეულ ამ თანამდებობისათვის ოლქის სასამართლოს და პალატის საზოგადო კრებანი კუთვნილებისამებრ წარუდგენენ სენატს ორ-ორ კანდიდატს; უკეთუ სენატი არც ერთს არ იცნობს დანიშვნის ღირსად; თვით დანიშნავს თავის კანდიდატს; თანამდებობის პირთა დანიშვნა მოხდება სენატის საზოგადო კრებაზე ახდილი ხმის მიცემით.<sup>110</sup>

---

<sup>110</sup> სენატის დებულება, მუხლი 35.

ამრიგად, სენატის საზოგადო კრება ნაწილობრივ ითავსებდა, დღევანდელი გაგებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის ფუნქციებს. საზოგადო კრებიდან ირჩეოდნენ შეერთებული საკრებულოს წევრი სენატორებიც.

საზოგადო კრების საქმიანობის თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

მაგალითად, 1919 წლის 31 ოქტომბერს სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებაზე დაისვა საკითხი, თუ რა ენაზე უნდა ეწარმოებინათ სენატში საქმეები, რომელიც წინა სასამართლო ინსტანციებში მიმდინარეობდა რუსულ ენაზე.

აღნიშნულ სხდომას ესწრებოდნენ სენატის თავმჯდომარე დ. ხელთუფლიშვილი, თავმჯდომარის თანაშემწე ი. ჯაფარიძე, სენატორები: ი. ზურაბიშვილი, ს. მიქელაძე, ვ. დემიდოვი, ლ. ასათიანი, ვ. ქუთათელაძე, დ. კალანდარიშვილი, გ. გველესიანი, მ. ქორქაშვილი, ი. როინიშვილი, გ. ერისთავი; პროკურორები: მ. მღვდლისშვილი და გ. გელაზარიშვილი; მდივანი მ. შანიძე.<sup>111</sup>

აღნიშნულ საქმეზე სხდომამ გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

„იმ საქმეებზე, რომლებიც თავიდან ნაწარმოები არიან რუსულ ენაზე, საქმის მოხსენება და კამათი სენატში იქმნას იმავე ენაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სენატის თავმჯდომარე, საქმეში მონაწილე პირთა თანხმობით, შესაძლოთ მიიჩნევს, რომ საქმე მოხსენებულ იქნას ქართულად. თუ სენატის

<sup>111</sup> ქართული წყაროთმცოდნეობა XVII-XVIII, ზ. ცინაძე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სენატი, 2015-2016.

გადაწყვეტილებით სასამართლო პალატის განჩინება გაუქმებულ იქნა, სენატის ბრძანება უნდა გაეგზავნოს პალატის მომხსენებლის მიერ შემოწმებული თარგმანით.<sup>112</sup>

საქართველოს სენატის დეპარტამენტთა საზოგადო კრებამ განიხილა ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი: „ეკუთვნის თუ არა საქართველოს სენატის დეპარტამენტთა შეერთებულ საკრებულოს მეთვალყურეობა პროკურორის პირთა მოქმედებაზე და უფლება მათი მოღვაწეობის რევიზიის დანიშვნისა.“<sup>113</sup>

ამ საკითხის განსახილველად სენატის დეპარტამენტთა საზოგადო კრების სხდომა გაიმართა 1920 წლის 21 დეკემბერს. სხდომას ესწრებოდა 10 სენატორი, სენატის ორი პროკურორი და ერთი მდივანი. სხდომაზე მოხსენება წაიკითხა სენატორმა მ. ქორქაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს სენატის დებულების მიხედვით, სენატის საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებულ საკრებულოს ექვემდებარება ყველა სასამართლო დაწესებულების მეთვალყურეობა და სასამართლო უწყების ყველა თანამდებობის პირთა, მათ შორის პროკურორთა, მოღვაწეობის რევიზიის დანიშვნა.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასამართლო ხელისუფლებაში სენატის საკასაციო დეპარტამენტის საზოგადო კრება წარმოადგენდა უმაღლეს მაკონტროლებელ და საზედამხედველო ორგანოს, რომელიც მსჯელობდა და გამოჰქონდა გადაწყვეტილებები მართლმსაჯულებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც ვრცელდებოდა მთელი ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემაში. საზოგადო კრება შეიმუშავებდა

---

<sup>112</sup> იქვე.

<sup>113</sup> იქვე.



მართლმსაჯულების პოლიტიკას უმნიშვნელოვანეს და საჭირობო საკითხებზე. თავისი შემადგენლობით საზოგადო კრება დღევანდელი უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის წინაპარია, ვინაიდან ის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებისაგან შედგება, ხოლო ფუნქციურად ის ახლოს დგას დღევანდელ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან, როგორც ორგანოსთან, რომელიც იღებს მართლმსაჯულების პოლიტიკის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

## **ბ. სენატის შეერთებული საკრებულო**

საქართველოს სენატის შემადგენლობაში ფუნქციონირებდა აგრეთვე სენატის საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულო. მისი უპირველესი ფუნქცია იყო, კონტროლი გაეწია საერთო სასამართლო დაწესებულებათა და სასამართლო უწყებების თანამდებობის პირთა საქმიანობაზე. ასევე, იგი განიხილავდა განცხადებებს მოსამართლეთა გადაყენების შესახებ.

სენატის დებულების 36-ე მუხლის მიხედვით განისაზღვრებოდა სენატის საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულოს კომპეტენცია, რომლის ფუნქციაში შედიოდა: 1) ყველა სასამართლო დაწესებულებისა და სასამართლო უწყების თანამდებობის პირთა მეთვალყურეობა და მათი მოღვაწეობის რევიზიის დანიშვნა; 2) მოსამართლის გადაყენების შესახებ განცხადებისა თუ თხოვნის განხილვა; 3) განხილვა საჩივრისა და პროტესტისა იმ დადგენილების გამო, რომლითაც გადაიჭრა საკითხი იმის შესახებ, რამდენად აკმაყოფილებდა ვექილობის მსურველი კანონით დადგენილ ფორმალურ პირობებს; 4) იუსტიციის მინისტრის მოთხოვნ-

ნის შემთხვევაში სასამართლო დაწესებულებათა მიერ შედგენილი განსაკუთრებული განაწესის განხილვა.

სენატის საკასაციო დეპარტამენტის შეერთებულ საკრებულოს ხელმძღვანელობდა სენატის თავმჯდომარე, ხოლო მისი დაუსწრებლობის შემთხვევაში – მოადგილე. შეერთებული საკრებულოს საქმეთა წარმოება ხდებოდა უშუალოდ იმ დეპარტამენტში, რომელსაც განაგებდა სენატის თავმჯდომარე.<sup>114</sup>

შეერთებული საკრებულო, თავმჯდომარის გარდა, შედგებოდა ოთხი სენატორისგან, რომელთაც ირჩევდა სენატის საზოგადო კრება ერთი წლის ვადით, ორივე სისხლის და სამოქალაქო სამართლის დეპარტამენტთა წევრებისგან.<sup>115</sup>

ამასთან, შეერთებულ საკრებულოს, სენატის დებულების მიხედვით, გააჩნდა დეპარტამენტის საკრებულო და განყოფილების საკრებულო. დეპარტამენტის, საზოგადო კრებისა და შეერთებული საკრებულოს სხდომას, საქმეთა განხორციელების დროს, უნდა დასწრებოდა სენატორთა ორ მესამედზე მეტი, ხოლო განყოფილების სხდომას – არანაკლებ სამი სენატორი. სხდომებს უნდა დასწრებოდნენ, აგრეთვე, სენატის პროკურორი ან მისი მოადგილე და მდივანი.

თუ განყოფილების ან დეპარტამენტის სხდომას არ ესწრებოდნენ განსაზღვრული რაოდენობის სენატორები, თავმჯდომარე დაუყოვნებლივ იწვევდა იმავე დეპარტამენტის სენატორებს. თუ ეს შეუძლებელი იყო, მაშინ ის სენატორების საჭირო რაოდენობას იწვევდა მეორე დეპარტამენტიდან.

დეპარტამენტთა საზოგადო კრება და შეერთებული საკრებულოს საქმეთა წარმოების წესი განისაზღვრებოდა სე-

---

<sup>114</sup> სენატის დებულება, მუხლი 14.

<sup>115</sup> იქვე.

ნატის განაწესით. ამ განაწესის პროექტებს დეპარტამენტის საზოგადო კრება ამტკიცებდა.<sup>116</sup>

შეერთებულ საკრებულოს ჰქონდა საკმაოდ რთული საქმიანობის წესი მოსამართლეების მხრიდან დარღვევების აღმოსაჩენად. ეს წესი მოიცავდა ბალანსს იუსტიციის სამინისტროსა და სასამართლოს უფლებებს შორის.

მოსამართლეთა საქმიანობაში პრობლემის არსებობის შემთხვევაში საჩივარი შეიძლება შესულიყო როგორც სენატში, ისე იუსტიციის სამინისტროში მინისტრის სახელზე. ორივე იწყებდა საქმის შესწავლას და გამოძიებას. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლად მოცემულ საქმეში ყოველთვის გამოდიოდა თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარე, რომელიც დაწვრილებით შეისწავლიდა საქმეს. ხოლო სენატიდან – სენატორი/სენატორები, რომლებსაც სენატის საზოგადო კრება ირჩევდა. სენატორი/სენატორები ეცნობოდნენ ჯერ თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარის ჩატარებულ კვლევა-ძიებას (არსებობის შემთხვევაში) და შემდეგ თვითონაც იმავე, საქმის გამოძიებას და შესწავლას იწყებდნენ. სენატორი/სენატორები ადგენდნენ შესაბამის ოქმს და მასალები, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის დასკვნასთან ერთად, მოჰქონდათ სენატში განსახილველად. სენატი საქმეს განიხილავდა შეერთებული საკრებულოს სხდომაზე, რომელსაც უნდა დასწრებოდა სენატორთა ორ მესამედზე მეტი.

იმ შემთხვევაში, თუ საქმე შევიდოდა იუსტიციის სამინისტროში, საქმეზე თავისი გადაწყვეტილება გამოჰქონდა იუსტიციის მინისტრსაც, რომელიც ეყრდნობოდა პალატის

---

<sup>116</sup> იქვე, მუხლი 24.

თავმჯდომარის მიერ ჩატარებულ კვლევა-ძიებას, მაგრამ მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოჰქონდა საკასაციო დეპარტამენტის შეერთებულ საკრებულოს. სენატის საკასაციო დეპარტამენტის შეერთებული საკრებულოს დადგენილება შეიძლება ყოფილიყო: მოსამართლის გათავისუფლება, სამოსამართლეო საქმიანობის შეჩერება, ჯამაგირის მოსპობა ან შემცირება, მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მოსამართლის დაჯარიმება, მოსამართლის გადაყვანა ერთი უბნიდან მეორეში პრობლემური სიტუაციიდან განსარიდებლად და საქმის მოსპობა. იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული საკრებულო მიიღებდა დადგენილებას, მოსამართლე გადაეყვანა მისი საქმიანობის უბნიდან მეორე უბანში, სენატი მიმართავდა იუსტიციის სამინისტროს, შეეთავაზებინა მისთვის არსებული თავისუფალი უბანი და გზავნიდა მოსამართლეს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ უბანში (იხ. გვ. 76).

ამგვარად, მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხში ფუნქციონირებდა ძალიან მნიშვნელოვანი ურთიერთშეწონასწორების და ურთიერთშეკავების მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, ცალსახა ძალაუფლება მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხზე არ ჰქონდა არც იუსტიციის სამინისტროს და არც თავად სასამართლოს. ამგვარად, გარკვეული ბალანსი სისტემის დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის იყო დაცული. მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების საკითხს წყვეტდა აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სასამართლო ხელისუფლებას შორის ბალანსი.

სენატორებს საქმის მოკლე შინაარს წარუდგენდა სენატის თავმჯდომარე, სენატის თავმჯდომარის ამხანაგი ან რომელიმე სენატორი და, ზოგ შემთხვევაში, იუსტიციის მინისტ-

ტრი. საქმის მოკლე შინაარსის წარდგენის შემდეგ სენატი დებულობს გადაწყვეტილებას რევიზიის დანიშვნის ან საქმის „მოსპობის“ შესახებ, ასე მაგალითად:

„სენატის თავმჯდომარის წინადადება სოხუმის სამომრიგებლო ოლქის სამომრიგებლო დაწესებულებათა და პირთა რევიზიის დანიშვნის შესახებ, რაზეც სენატმა საჭიროდ ჩათვალა რევიზიის დანიშვნა.“<sup>117</sup>

„ზაქათალას განყოფილების ყოფილი მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწის ფონ-ფიშერის უკანონო მოქმედების შესახებ /სასჯელი დებულ. 335 და 1540 მუხლი/ მომხსენებელი სენატის თავმჯდომარე. რაზეც სასამართლოს სენატის შეერთებულ საკრებულოს დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილის თავმჯდომარეობით გამოაქვს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 27 იანვრის დადგენილების მე-4 მუხლის ძალით (კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული 1920 წელი N1 კან. N 1) მოსპობილ იქნას საქმის წარმოება ყოფილი ზაქათალას განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწის პავლე ივანის ძის ფონ-ფიშერის შესახებ მისი ბრალდებით სასჯელთა დებულების 335 და 1540 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში.“<sup>118</sup>

რევიზიის დანიშვნის გადაწყვეტილების შემთხვევაში შეერთებული საკრებულო საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებას ავალებს სენატორის/სენატორების არჩევას შესაბამის საქმეზე რევიზიის მოსახდენად:

„სენატის თავმჯდომარის ამხანაგის მოხსენება – რეს-

---

<sup>117</sup> საქართველოს სენატის საკასაციო დეპარტამენტის შეერთებული საკრებულოს სხდომათა ჟურნალი, საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1837, ა.1, ს. 421.

<sup>118</sup> იქვე.

პუბლიკის სასამართლო დაწესებულებათა რევიზიის დანიშვნის შესახებ – სენატის გადაწყვეტილება-დანიშნულ იქნას რევიზია ქუთაისის და სოხუმის ოლქების ყველა სასამართლო დაწესებულებათა. ეთხოვოს საკასაციო დეპარტამენტთა უახლოეს საზოგადო კრებას რევიზიის მოსახდენად სენატორების არჩევა.“

ამასთან, სენატი იღებს გადაწყვეტილებას, რევიზიის მოსახდენად საჭირო თანხების იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვის შესახებ:

„სენატმა დაადგინა 1) დაევალოს სენატორებს ვასილ ალექსანდრეს ძე დემიდოვს და ნიკოლოზ გიორგის ძე მაჭავარიანს მოახდინონ სრული რევიზია ქუთაისის, ოზურგეთის და შორაპნის მაზრების და სამეგრელოს ოლქის დანარჩენი სამომრიგებლო უბნების. 2) უფლება მიეცეს მათ მიიწვიონ თანამშრომლად ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი წულუკიძე ან რომელიმე სხვა მათი არჩევით. 3) გამოთხოვილ იქნეს იუსტიციის სამინისტროდან რევიზიის დასამთავრებლად საჭირო კრედიტი – თერთმეტი ათასი მანეთი.“<sup>119</sup>

სენატს, საჭიროების შემთხვევაში, გამოაქვს გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ სისხლის სამართლის წესით დევნის დაწყების შესახებ:

“სენატის შეერთებულმა საკრებულომ მოისმინა რა სენატის თავმჯდომარის ამხანაგის ივანე ჯაფარიძის მოხსენება მის მიერ საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულოს 1919 წლის დეკემბრის 23-ე დადგენილების თანახმად ახალციხის მაზრის სასამართლო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მოხდენილ რევიზიის შესახებ, დაადგინა ცნობილ იქნას 1) რომ საქმის გარემოება საკმარისი იყო ახალ-

---

<sup>119</sup> იქვე.

ციხის უბნის მომრიგებელ მოსამართლის სერგი ნესტორის ძე მიქელაძის მიმართ სისხლის სამართლის წესით დევნის აღსაძრავად და 2) რომ ყოველივე მისი, ივანე მიხეილის ძის ჯაფარიძის მოქმედება ამ რევიზიის შესახებ შეთანხმებულია კანონთან.”<sup>120</sup>

სენატის საკასაციო დეპარტამენტის შეერთებული საკრებულოს დადგენილება ასევე შეიძლება ყოფილიყო: მოსამართლის გათავისუფლება, სამოსამართლეო საქმიანობის შეჩერება, ჯამაგირის მოსპობა ან შემცირება, მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მოსამართლის დაჯარიმება, მოსამართლის გადაყვანა ერთი უბნიდან მეორეში პრობლემური სიტუაციიდან განსარიდებლად.

იმ შემთხვევაში, თუ სენატის საკასაციო დეპარტამენტის შეერთებული საკრებულო დაადგენდა, რომ მომრიგებელ მოსამართლეს სასჯელი უნდა შეფარდებოდა დისციპლინური წარმოების წესით, საქმეს უბრუნებდა მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას (სასამართლო პალატას), დისციპლინური წარმოების წესით, სასჯელის შესაფარდებლად.

„სასამართლო დაწესებულებათა დებულების 76 (გაგრძ. და 264 – ე მუხლის ძალით მომრიგებელ მოსამართლეს სასჯელი უნდა დაედვას დისციპლინარული წარმოების წესით.

დისციპლინარული საქმეები მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ სასამართლო დაწესებულებათა დებულების 270 – ე მუხლის მე-2 პუნქტის ძალით ექვემდებარება სასამართლო პალატას და არა სენატს – დაადგინა: საქმე დაუბრუნდეს თელავის სამომრიგებლო ოლქის მომრიგებელ მოსა-

---

<sup>120</sup> იქვე.

მართლეთა ყრილობას კანონიერი მიმართულების მისაცემად, რაზედაც გაეგზავნოს მას უქაზი.”<sup>121</sup>

უმნიშვნელოვანესია, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მოსამართლეთა დასჯის შესახებ, თავად სასამართლოს ხელშია. საკითხის შესწავლის რთული სისტემის ბოლოს, რომელშიც ჩართულია იუსტიციის სამინისტრო, ვერდიქტი მოსამართლის საქმიანობის შესახებ, გამოაქვს უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში მყოფ მოსამართლეებს, შეერთებული საკრებულოს ან საზოგადო კრების სენატორებს. გასაგებია, რომ ამ ინსტიტუტით დაცულია მოსამართლეთა დამოუკიდებლობა გარეშე წნეხისაგან. დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებით, დღევანდელი დებატების ფონზე, ეს ინსტიტუტი განსაკუთრებით საყურადღებოა.

## გ. რევიზია

სენატის დებულების მიხედვით, სენატის საკასაციო დეპარტამენტა შეერთებული საკრებულოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენდა ყველა სასამართლო დაწესებულებისა და სასამართლო უწყებების თანამდებობის პირთა მეთვალყურეობა და მათი მოღვაწეობის რევიზიის დანიშვნა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სენატის საკასაციო დეპარტამენტის საზოგადო კრებას, სენატის მოღვაწეობის გარკვეული პერიოდის შემდეგ მოუხდა რევიზიის ფარგლების განსაზღვრა, საიდანაც ნათლად ჩანს სენატის რევიზიის უფლებამოსილების ფარგლები, ასევე ის, რომ სენატს სასამართლოთა რევიზია უნდა მოეხდინა საანგარიშო ვადის (1 წლის) განმავლობაში. სენატი მოქმედების ანგარიშს წარადგენდა საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წინაშე. ამავე განმარ-

---

<sup>121</sup> იქვე.



ტებაში სენატი შეეხო სენატის დებულების ხარვეზს რევიზი-  
ის დანიშვნის ფარგლების განსაზღვრის საკითხში:

სენატის მოქმედების 8 თვის ანგარიში  
საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას  
დაწყებულია – 25/03/1920  
დამთავრებულია – 12/11/1920

საქართველოს სენატის საკასაციო დეპარტამენტის სა-  
ზოგადო კრების გადაწყვეტილება

საანგარიშო ვადის განმავლობაში სენატის მიერ დანიშ-  
ნული იყო რევიზია ახალციხის და ახალქალაქის მაზრების  
სასამართლო დაწესებულებათა, რომელიც მინდობილი  
ჰქონდა სენატორს ივ. ჯაფარიძეს. რევიზიის მოხდენა ახალ-  
ქალაქის მაზრაში შეუძლებელი შეიქნა იმ ჟამად უგზობის გა-  
მო. ახალციხის მაზრაში რევიზია დამთავრებული იყო და  
შედეგად ჰქონდა მომრიგებელ მოსამართლის მიქელაძის სა-  
სამართლოში მიცემა სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის.

იმავე დროს სენატორ ივ. მიხეილის ძე ჯაფარიძეს, და-  
ვალებული ჰქონდა მთავრობის თავმჯდომარის მიერ მოეხ-  
დინა იმავე ახალციხის მაზრაში სრული რევიზია გამგეობის  
ყველა დარგის და სენატორ ნ. მ. ქიქოძეს რევიზია თბილისის  
ქალაქის გამგეობის საბინაო განყოფილების, რისთვისაც  
ორივე სენატორი რევიზიის დროს განთავისუფლებულ იქ-  
ნენ სენატის მიმდინარე საქმიანობიდან.

მთავრობის თავმჯდომარის წინადადებამ, რათა სენატს  
თვით დაენიშნა და მოეხდინა ეს ორი უკანასკნელი რევიზია  
დააყენა სენატის წინაშე საკითხი – აქვს, თუ არა, სენატს რე-  
ვიზიის დანიშვნის უფლება სხვა მართვა გამგებლობის დარ-  
გში, გარდა სასამართლო უწყებისა. სენატის საზოგადო კრე-

ბამ არსებული დებულების მიხედვით, გადაწყვიტა ეს საკითხი უარყოფითად.

სენატი საჭიროდ სთვლის მიაქციოს დამფუძნებელი კრების ყურადღება შემდეგ გარემოებას.

თავის დებულების პირველი მუხლის ძალით საქართველოს სენატს აქვს დავალებული თვალყური ადევნოს კანონის დაცვას და სისწორით ასრულებას მთავრობის ყველა დაწესებულებისა, თანამდებობის პირისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ, მაგრამ ამავე დროს სენატს არა აქვს მინიჭებული საკმაო უფლება, რომ ეს დიდი მნიშვნელობის დავალება სავსებით შეასრულოს. მისი დებულების მე 4 – 6 მუხლ. ძალით სენატს აქვს უფლება მიიღოს ზომები თანამდებობის პირთა იმ ბოროტმოქმედების ან დაუდევრობის წინააღმდეგ, რომელსაც ის რომელიმე საქმის განხილვის დროს აღმოაჩენს, აგრეთვე აქვს უფლება შეაჩეროს მოქმედება მინისტრის, ან მთავრობის სხვა უმაღლეს წარმომადგენელთა მიერ გამოცემულ ცირკულარის, განკარგულების და სავალდებულო დადგენილების მოქმედება, რომელთაც სენატი უკანონოდ აღიარებს, მაგრამ გარდა ამ შემთხვევებისა სენატს არ აქვს საშუალება თვალყური ადევნოს თანამდებობის პირთა კანონიერ მოქმედებას სხვა მართვა გამგეობის დარგში გარდა სასამართლო უწყებისა. ამ გვარად სენატის ზედამხედველობას მხოლოდ პასიური ხასიათი აქვს, მხოლოდ სასამართლო უწყების შესახებ სენატს აქვს მინიჭებული რევიზიის დანიშვნის უფლება. [...]

საქართველოს სენატის თავმჯდომარე: დავით ხელთუფლიშვილი <sup>122</sup>

<sup>122</sup> საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას წარედგინა სენატის მოქმედების ანგარიში, სადაც ერთ ნაწილში სენატის






როგორც ჩანს, სენატის მიერ რევიზიის ფარგლები თავდაპირველად კამათის საგანს წარმოადგენდა. სენატის დებულების პირველ ვერსიაში გიორგი გველესიანის მიერ მითითებული იყო სენატის მხრიდან „ფართო რევიზიის“ ანუ ყველა სახელმწიფო დაწესებულების ზედამხედველობის განხორციელების უფლება. მას ასევე შეეძლო, რევიზიის დაწყება საკუთარი ინიციატივით. თუმცა ეს ორივე დებულება არ მიიღო დამფუძნებელი კრების იურიდიულმა კომისიამ, რის შედეგადაც სენატს რევიზიის მხოლოდ პასიური უფლება დარჩა სასამართლოს ფარგლებში.<sup>123</sup>

არქივის მასალებიდან ჩანს სენატის განსაკუთრებული კომპეტენცია რევიზიის საკითხებში. ერთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა მიმართავს სენატს, რომ გამოყოს რამდენიმე სენატორი თბილისის მთავრობის რევიზიის ჩასატარებლად ამ საკითხში სწორედ სენატის განსაკუთრებული კომპეტენტურობის გამო. თუმცა სენატის თავმჯდომარე კარგად იაზრებს რა სენატის უფლებების საზღვრებს, აღნიშნავს, რომ ეს საქმიანობა სენატის უფლება-მოვალეობებს სცილდება. ამ მიმოწერის შედეგად ნაპოვნია შემდეგი გამოსავალი – სენატის შემადგენლობიდან გადადგება რამდენიმე სენატორი, ნიკოლოზ ქიქოძე და ზურაბიშვილი, იმისათვის, რომ დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს მთავრობას თბილისის რევიზიის საქმეში.

---

<sup>123</sup> იქვე.

სენატის მოქმედების ანგარიში საქართველოს  
 დამფუძნებელ კრებას, ფოტო: საქართველოს ეროვნული  
 არქივი, ფ. 1833, ა. 1, ს. 814.



ლად 208 საქმე სავსაციო ხარკით სასამართლოს განჩინებაზე, ორი საქმე-ვერძო ხარკით და ერთი-მესამე პირის თხოვნით განჩინების გადასახვის შესახებ.

სამხარეთო დროს განმავლობაში სამოქალაქო დეპარტამენტის / ორივე სასამართლო განყოფილების / მიერ დამთავრებული იქნა სამოხდა ცხადები /73/ საქმე. ამათგან 47 საქმეზე სავსაციო ხარკი დატოვებული იქნა უმდეგოთ, "21" საქმეზე სასამართლოს განჩინება გაუქმებულ იქნა და საქმე დაბრუნდა და სასამართლოს ხელახლად განსახილველად, მხოლოდ 5 საქმეზე წარმოება მოხმობილ იქნა და თხოვნები განუხილველად დატოვებული სხვა და სხვა მიზეზების გამო: საქმის უქმედებად რეგისტრაციის, მხარეთა მოტივების, თხოვნების არა კანონიერ წესით წარდგენის გამო და სხვა., დარჩა პირველ ინვერსიის განუხილველად 138 საქმე.

სადმინისტრაციო განყოფილებაში შევიდა 28 საქმე ხარკით ოქლის სასამართლოს განჩინებაზე, 7 საქმე პირდაპირი ხარკით სენატის სახელზე, როგორც სასამართლოს პირველი ინსტანციის, და 26 სხვა და სხვა საქმეები.

ამათგან განხილული იქნა პირველი კატეგორიის საქმე 14, მხოლოდ ერთ შემთხვევაში საქმის წარმოება მოხმობილ იქნა, მეორესი-2 და მესამესი-7, სულ 24 საქმე; დარჩა პირველ ინვერსიის განუხილველად 37 საქმე.

ამავე ვადაში სისხლის სამართლის დეპარტამენტს მიქონდა 10 გამწესრიგებული და 8 სასამართლო სხდომა.

ამ მიიღო განსახილველად 125 საქმე სავსაციო ხარკით, 7 ვერძო ხარკით და ორი სადაველაციო წესისა. ამათგან დამთავრებულ იქნა 63 საქმე პირველ კატეგორიისა და 4 მეორე კატეგორიისა. "15" შემთხვევაში სასამართლოს განჩინება გაუქმებულ იქნა და საქმე დაბრუნებული ხელახლად განსახილველად, 29 შემთხვევაში სავსაციო ხარკი დატოვებულ იქნა უმდეგოთ. მხოლოდ 23 შემთხვევაში საქმის წარმოება მოხმობილ იქნა თხოვნების განუხილველად დატოვებისთანავე.

ამის გარდა იმავე ვადაში შედგა სავსაციო დეპარტამენტთა მსოფლიო ვადას და ორი სხდომა სავსაციო დეპარტამენტთა შეერთებულ წაკრებულსი.

სენატის საქმის წარმოება არის ქართულ ენაზე, მხოლოდ იმ საქმეებზე, რომელზედაც სასამართლოს მიერ წარმოება არის რუსულ ენაზე და სავსაციო ხარკით სენატში რუსულ ენაზე არის შეტანილი, მხარეებს ეძლევათ საშუალება მიხედონ სენატს განმარტება ამავე ენაზე, მხოლოდ ყოველ შემთხვევაში სენატის სხდომის ოქმი და მისი განჩინება იწერება ქართულად. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო პალატის განჩინება გაუქმებული იქნა საქმის წარმოება იმავე პალატას ხელახლად განსახილველად,





თბვევებისა სენატს არ აქვს საშუალება თვალიური ადვენოს თანამდებ-  
ბის პირთა კანონიერ მოქმედებას სხვა მართვა განგებობის დარგში. გარ-  
და სანაშარლო უწყებისა. ამ გვარად სენატის შედამხედველობას მხოლო  
შასიური ხასიათი აქვს. მხოლო სანაშარლო უწყების შესახებ სენატს აქვს  
მინიჭებული რევიზიის დანიშვნის უფლება.

სხვა უწყებები სრულებით დაცული არიან სენატის აქტიური შედამხე-  
დველობიდან. სენატის დებულების პრეპტიით, რომელიც შემუშავებული იყო  
განსაკუთრებულ კომისიის მიერ იუსტიციის მინისტრის ამხანაგის გ. გვე-  
ლსიანის თანხმობით. სენატს მინიჭებული ჰქონდა უფლება-იმ შეე-  
მხვევაში, როდესაც რამე ბოროტმოქმედებას აღმოაჩენდა სხვა მართვა გან-  
გებობის დარგში, გარდა სანაშარლო უწყებისა, შესულიყო მთავრობასთან  
წარდგინთ რევიზიის დანიშვნის შესახებ და, თუ მთავრობის თანახმობაც იქ-  
ნებოდა, მოეხდინა სენატის რევიზია. მაგრამ პრეპტიცის ეს დანდგინდება  
არ იქნა მიღებული დამფუძვნებელი კრების / იურიდიული კომისიის / მიერ  
და არსებულ დებულებით სენატს არ აქვს მინიჭებული არც რევიზიის ინი-  
ციაციის უფლება. ეტვის გარეშეა, რომ რევიზიის უფლება მღიერ იარაღს  
მიცემდა სენატს კანონიერების დაცვისათვის, მაგრამ ამ ნაკლის შევსება  
არ ძალუბს თვით სენატს და მისი შესწორება შეიძლება მხოლო კანონ-  
მდებლობის წესით.

ამ თხმად სენატორის რევიზია სხვა მართვა განგებლობის დარგში,  
გარდა სანაშარლო უწყებისა, ხდება იმ ხასით, რომ მთავრობის თანხმობა -  
მარე იმ უფლებით, რომელიც მინიჭებული აქვს მას 20 იანვრ. 1919 წლის  
კანონის ძალით, ავალებს რევიზიის მოხდენას ამა თუ იმ სენატორს თავის  
არჩევით. -

საქართველოს სენატის

თანხმდობარე

*ა. სოსოვიანი*

მღივანი

*ა. სოსოვიანი*



## დ. სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტი ქვედა საფეხურის სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომების აღმოფხვრას ემსახურებოდა. ამ დეპარტამენტის სენატორები თავიანთ რეზოლუციებში თითოეულ საკასაციო საჩივარს წყვეტდნენ სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების თანახმად და დაბალი რგოლის სასამართლო სტრუქტურებს, არასწორი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, საქმეს ხელახალი განხილვისათვის შესაბამისი მითითებებით უბრუნებდნენ.

„საკასაციო საჩივარი ტფილისის საზოგადოების სასოფლოსამეურნეო კრედიტისა ტფილისის სასამართლო პალატის 1919 წლის აგვისტოს 26 დადგენილ გადაწყვეტილებაზე „ბასილი, სერაფიონ და დიანოზ ბეჟანის ძეები და კომპანია“ სავაჭრო სახლის კასატორთან 7 364 მანეთის თაობაზე სარჩელის შესახებ (არქივი, ფ. 1837, აღ.1, ს.131, ფურც.1).“<sup>124</sup>

აღნიშნული საკასაციო საჩივარი სენატის სამოქალაქო დეპარტამენტში შევიდა 1919 წლის 25 დეკემბერს. საქმის განხილვა მოხდა 1919 წლის 20 თებერვალს. სხდომას თავმჯდომარეობდა სენატორი ს. მიქელაძე. სხდომაზე გამოცხადდნენ სავაჭრო სახლის ჩაჩიბაიების და კომპანიის რწმუნებული, ასევე ნაფიცი ვექილი ა. ანდრონიკაშვილი და თბილისის საზოგადო სასოფლო სამეურნეო კრედიტის რწმუნებული, ნაფიცი ვექილი გ. გორდეზიანი.

ნაფიცი ვექილი გორდეზიანი ითხოვდა თბილისის სასამართლო პალატის გადაწყვეტილების გაუქმებას, რასაც ეთანხმებოდა სენატის პროკურორიც. სენატმა მიიღო რა

<sup>124</sup> ქართული წყაროთმცოდნეობა XVII-XVIII, ზ. ცინაძე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სენატი, 2015-1016.

მხედველობაში ის გარემოება, რომ თბილისის სასამართლო პალატამ უარყო მეორე მხარის მოთხოვნა მოწმეების დაკითხვისა და ექსპერტიზის ჩატარების შესახებ და განიხილა მხოლოდ ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი საბუთები, შესაბამისად, იყო ცალმხრივი და დაარღვია სწორუფლებიანობის პრინციპი, გამოიტანა რეზოლუცია, რომლის ძალითაც გააუქმა მისი გადაწყვეტილება და დააბრუნა ხელახალი განხილვისათვის სხვა შემადგენლობაში. თანაც სენატორებმა მიუთითეს თბილისის სასამართლო პალატას სამოქალაქო სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებიც დაცული უნდა ყოფილიყო საქმის ობიექტურად გამოძიებისათვის.<sup>125</sup>

ასევე, მოცემულ მაგალითზე დაყრდნობით და დღეის მდგომარეობის გათვალისწინებით, საყურადღებოა, თუ როგორი სისწრაფით მიმდინარეობდა მართლმსაჯულება 1919-1921 წლებში.

## ე. საადმინისტრაციო განყოფილება

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილება იღებდა გადაწყვეტილებებს ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებათა გაუქმების ან ძალაში დატოვების შესახებ. ეს განყოფილება უზრუნველყოფდა საქართველოს სენატის დებულების 34-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების აღსრულებას. განყოფილება გაბედულად აუქმებდა მინისტრებისა და მოხელეების გადაწყვეტილებებს, რომლებიც კანონს არ შეესაბამებოდა.<sup>126</sup>

---

<sup>125</sup> იქვე.

<sup>126</sup> იქვე.

სენატის სამოქალაქო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილება წარმოადგენდა სენატის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რგოლს, რომელიც ზედამხედველობას უწევდა როგორც სასამართლო, ასევე სახელმწიფო ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს.

ის ასრულებდა დღევანდელი ადმინისტრაციული პალატის დანიშნულებას. ამოწმებდა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონთან შესაბამისობას, იღებდა მათ წინააღმდეგ შეტანილ საჩივრებს და განიხილავდა ყოველგვარი მიკერძოების გარეშე. მიუკერძოებლობა კარგად ჩანს იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც განყოფილებას გამოჰქონდა მაღალი და გავლენიანი თანამდებობის პირების, მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის წინააღმდეგ.

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების მუშაობის თვალსაჩინოებისათვის ნაშრომში მოვიყვანთ ამავე განყოფილების განხილული საქმეების ნაწილს, რათა ცხადი გახდეს მისი მუშაობის პროცესი სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და კომპეტენტურობის განსაზღვრის კუთხით.

1920 წლის 28 აპრილს საქართველოს სენატის საადმინისტრაციო განყოფილებაში შევიდა მეტეხის ციხის პატიმართა განცხადება, რომლებიც ითხოვდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის იმ განკარგულების გაუქმებას, რომლის მიხედვითაც დააპატიმრეს ისინი. ეს საკითხი განიხილა საადმინისტრაციო განყოფილებამ და შინაგან საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა წერილი, რათა სასწრაფოდ გადმოეგზავნათ სენატი-

სათვის მინისტრის ის განკარგულება, რომლის საფუძველზეც მოხდა მომჩივანი პირების დაკავება. სენატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიისგან მიიღო მინისტრის აღნიშნული განკარგულების ასლი, რომელშიც ეწერა:

„მე, შინაგან საქმეთა მინისტრმა, მივიღე მხედველობაში, რომ ისააკ ჟვანია, ალექსანდრე მგელაძე და ერმილე დამენია არიან ნამდვილი წევრნი საზოგადოებისა, რომელთაც მიზნათ აქვს დასახული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოსპობა, რაც გამოიკვავ კვლევადიებით, თანახმად 1919 წლის 21 ნოემბრის დეკრეტისა, დავადგინე: აღნიშნული პირნი დატუსაღებულ იქნენ ერთი წლით დღიდან შეპყრობისა.“<sup>127</sup>

საადმინისტრაციო განყოფილებამ მიღებული საჩივრისა, მინისტრის განკარგულებისა და მის ხელთ არსებული მასალებიდან გამომდინარე, გამოიტანა გადაწყვეტილება მინისტრის ამ განკარგულების გაუქმების შესახებ, გადაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნული დადგენილება და მოითხოვა, პასუხი სასწრაფოდ ეცნობებინათ სენატისათვის, განთავისუფლდნენ თუ არა ეს პირები საპატიმროდან. „შინაგან საქმეთა სამინისტროდან სენატმა მიიღო ტელეფონოგრამა, რომელშიც სენატს ატყობინებდნენ, რომ აღნიშნული პირები განთავისუფლებულნი იყვნენ მეტეხის ციხიდან ამინისტრის საფუძველზე.“<sup>128</sup>

ხაზგასმულია ისიც, რომ ეს ფაქტი მინისტრის განკარგულების გაუქმების ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა. ამის დასადასტურებლად კიდევ არაერთი საქმე შეიძლება მოვიყვანოთ, თუნდაც ძმები ჯაფარიძეების საჩივარი შინაგან

---

<sup>127</sup> იქვე.

<sup>128</sup> იქვე.

საქმეთა მინისტრის განკარგულებაზე რაჭის მაზრიდან მათი გამძევების შესახებ.

სენატის საადმინისტრაციო განყოფილებაში შეტანილი ძმები ჯაფარიძეების საკასაციო საჩივრიდან ირკვევა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 1919 წლის 5 მარტის განკარგულების თანახმად, ძმები ჯაფარიძეები ხალხის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის გადაასახლეს რაჭის მაზრიდან. გადასახლებულებმა მოახერხეს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიასთან შეხვედრა, რომელსაც აუხსნეს თავიანთი გაჭირვება და განუცხადეს, რომ არასოდეს არ მიუღიათ მონაწილეობა ხალხის საწინააღმდეგო ქმედებაში და არ იცოდნენ, თუ რა ბრალდებაზე იყო საუბარი. ნოე ჟორდანიამ ძმებს მისცა სპეციალური წერილობითი ნებართვა, რომლის ძალითაც მათ მიეცათ რაჭაში დაბრუნების საშუალება.<sup>129</sup>

რაჭაში დაბრუნებულ ძმებს ნოე ჟორდანიას მიერ გაცემული ნებართვა ჩამოართვა რაჭის მაზრის ერობამ და ისინი კვლავ გაასახლეს იგივე ბრალდებით. ამის შემდეგ ძმებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს სენატში და დეტალურად აღწერეს თავიანთი მდგომარეობა. სენატმა განიხილა აღნიშნული საჩივარი, გააუქმა შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულება, რის შემდეგაც ძმებმა ჯაფარიძეებმა მოახერხეს რაჭაში დაბრუნება.<sup>130</sup>

---

<sup>129</sup> იქვე.

<sup>130</sup> იქვე.

ძმები ჯაფარიძეების საქმე საქართველოს სენატის  
 საადმინისტრაციო განყოფილებაში, ფოტო: საქართველოს  
 ეროვნული არქივი, ფ. 1837, ა.1, ს. 514.



# ო ქ მ ი

1920 წლის ივნისის ,, I6 ,, დღეს საქართველოს სენატმა საშოქა-  
ლაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების  
საკრებულოს საჯარო სხდომაში შემდეგი შეზღვევებით:

თავმჯდომარე სერგო ბორი გ. გვილიანი,

სინათლე

მ. კახიანიანი,

*მ. კახიანიანი*

პროკურორები: ა. კოსტავა,

მდივანი: თანამეცხე ვ. ჯაგუნიანი.

შეიხმინა საჩივარი მმ. ჯაგუნიანიდან მინიჭარ საქმე-  
თა დირექტორის განკარგულებაზე - მათი გადაცემის შესა-  
ხებობის დაზარალება.

საქმე მთავარ სერგო ბორიანი.


არსებობს თავის თავგანმანათლებლობის დაზარალება,  
რომ თანამეცხე საადმინისტრაციო სასამართლოს შემდეგ-

საქმე № 76 შპ. III.  
1920 წლ.



ბის მგ-62 ძუბლისა წარდგება ამ საქმის ურთა  
იქრეს მსპობილი.

სერატორების განსაკუთრებულ ღვაწლით თათბირის  
მეშვენიერ, თავდაჯერებულმა გაცთობადად მეშვენიერი რეზო-  
ლიუცია.

The image shows three distinct handwritten signatures in Georgian script. The top signature is the most elaborate, with long, sweeping flourishes. Below it is a second signature, also quite decorative but with more defined letterforms. The third signature is the simplest and most compact of the three.

მდივრის თანამეგობარი ვ. ს. გ. გ.



შინაგან საქმეთა მინისტრი არ იყო მთავრობის ერთადერთი წარმომადგენელი, რომლის უკანონო გადაწყვეტილებაც გაუქმებულ იქნა სენატის მიერ. სენატი დეტალურად სწავლობდა ცენტრალური სახელისუფლებო ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს და თავლყურს ადევნებდა მათ კანონიერ აღსრულებას.

სენატის საადმინისტრაციო განყოფილების საარქივო მასალებში ასევე არაერთი საქმე გვხვდება, რომლებიც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებს ან მათ მიერ გამოტანილ საკასაციო საჩივრებს, რომლებიც კანონის სრული დაცვით იქნა განხილული.

### **ვ. სენატის სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო დეპარტამენტი**

საქართველოს სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის მიერ განხილული საქმეების აბსოლუტური უმრავლესობა საბჭოთა კავშირის პერიოდში განადგურებული იქნა. აქედან გამომდინარე, სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის შესახებ წარმოდგენა შეიძლება შევიქმნათ იმ ერთეული საქმეებიდან, რომლებიც გადაურჩა განადგურებას და ინახება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. ასევე, 1918-1921 წლებში გამოძვალ გაზეთებში გვხვდება რამდენიმე გახმაურებული სისხლის სამართლის საქმის სტენოგრაფიული ჩანაწერი.

სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის საქმეებიდან აღსანიშნავია ერთი გახმაურებული საქმე, სადაც ნათლადაა წარმოდგენილი, თუ რა დიდი ყურადღება ექცეოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ყველა

მუხლის სრულყოფილად აღსრულებას. საქმე ეხება ქუთაისის ოლქის პროკურორის ამხანაგის დავით აბაშიძის საკასაციო პროტესტს ქუთაისის ოლქის სასამართლოს მიერ ოზურგეთში განხილული ევგენი კრინიცკის მკვლელობაზე.

ქუთაისის ოლქის პროკურორის ამხანაგის საკასაციო პროტესტში ვკითხულობთ, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლომ სასამართლოს წევრის მ. ჭეიშვილის თავმჯდომარეობით და მდივნის ბ. კუხიანიძის თანდასწრებით, 1920 წლის 4 მაისს განიხილა ქ. ოზურგეთში ევგენი კრინიცკის მკვლელობის საქმე. სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი იყო ორი ბრალდებული: გიორგი შეწირული და პროკოპი დოლიძე. სასამართლო პროცესი გაიხსნა ქ. ზუგდიდში მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის დარბაზში. სასამართლო სხდომაზე პროკურორის ამხანაგის განცხადებით, არ იყო დაცული სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების ის მუხლი, რომლის თანახმად, თუ ნაფიც მსაჯულთა რიცხვი 24-ზე ნაკლები იყო, ამ შემთხვევაში შევსებული უნდა ყოფილიყო კანდიდატებით. აღნიშნულ პროცესს ესწრებოდა მხოლოდ 18 ნაფიცი მსაჯული.

ასევე დარღვეულ იქნა აღნიშნული წესდების ის მუხლი, რომელიც მოითხოვდა, რომ ნაფიცი მსაჯულები სასამართლო დარბაზიდან არსად არ გასულიყვნენ, რათა არ ჰქონოდათ არანაირი დამოკიდებულება გარეშე პირებთან. აღნიშნულ პროცესზე ნაფიცი მსაჯულები სამი საათით იყვნენ გასულები ქალაქში, ვინაიდან პროცესის წარმოება შეწყდა დღის სამ საათზე და გაგრძელდა 6 საათზე. პროკურორის ამხანაგის თქმით, აუცილებად უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული ის გარემოება, რომ ადგილობრივი მოქალაქეები ძალიან იყვნენ ამ საქმით დაინტერესებულნი და მრავ-

ლად ესწრებოდნენ სხდომას, ამიტომ ნაფიცი მსაჯულები უნდა დარჩენილიყვნენ დარბაზში. ასევე დაირღვა სისხლის სამართლის კოდექსის 806-ე მუხლი, რომელიც მოითხოვდა, რომ სათათბირო ოთახი დაცული ყოფილიყო დარაჯებით, რათა იქ არ შესულიყო გარეშე პირი. თუმცა, როდესაც მსაჯულები გავიდნენ სათათბიროდ და მიიხურა კარი, რამდენიმე წუთის შემდეგ სათათბირო ოთახიდან გამოვიდა გარეშე პირი, ოზურგეთის მომრიგებელი მოსამართლე ხაფთასი. სათათბიროს სულ ორი კარი ჰქონდა, ერთი – დარბაზისკენ, მეორე – გარეთ გასასვლელი, რომელიც დარბაზიდან არ ჩანდა. არც ერთ მათგანთან დარაჯი არ იდგა, შესაბამისად, თუ ხაფთასს შეეძლო იმ ოთახში შესვლა, სხვა პირებიც თავისუფლად შეძლებდნენ ამას.<sup>131</sup>

აბაშიძის განმარტებით, კიდევ ერთ კანონდარღვევას ჰქონდა ადგილი პროცესზე. მსაჯულთა შორის იყო მოსე დოლიძე, მამა პროკოპი დოლიძისა, რომელსაც ედებოდა ბრალი ამ საქმეში. ამგვარად, მოსე დოლიძე დაინტერესებული იყო მისი შვილის გამართლებით. სათათბირო ოთახიდან გამოსულმა მსაჯულებმა განაცხადეს, რომ მოსე დოლიძე ავად გახდა და ვეღარ მიიღებდა მონაწილეობას თათბირში. დოლიძე გადაყენებულ იქნა და მის მაგიერ დანიშნეს კანდიდატი. მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვა, რომ მოსე დოლიძე იყო პროკოპი დოლიძის მამა. (არქივი, ფ. 1837, აღ. 1, ს. 905). ამის შემდეგ აბაშიძე მიუთითებდა, რომ ამდენმა პროცესუალურმა დარღვევამ განაპირობა ნაფიცი მსაჯულების მიერ გიორგი შეწირულის გამართლება. საკასაციო პროტესტში დ. აბაშიძე სწორედ ამ გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდა.<sup>128</sup> აღ-

---

<sup>131</sup> ქართული წყაროთმცოდნეობა XVII-XVIII, ზ. ცინაძე, *საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სენატი*, 2015-2016.

ნიშნული საკასაციო პროტესტი სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტმა დააკმაყოფილა და შეწირულის საქმე დააბრუნა ქუთაისის ოლქის სასამართლოს სხვა შემადგენლობაში ხელახლა განსახილველად.<sup>132</sup>

ამ დოკუმენტიდან კარგად ჩანს, თუ როგორი იყო საკასაციო საჩივრის ან პროტესტის ფორმულირება, რომელიც დაინტერესებულ მხარეს შეჰქონდა სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო დეპარტამენტში. ეს საქმე ხაზს უსვამს ოლქის პროკურორის კომპეტენტურობას, რომელმაც სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევის გამო გაასაჩივრა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი. სენატორებმა, რა თქმა უნდა, გააუქმეს უკანონო გადაწყვეტილება და ამით გაამართლეს ოლქის პროკურორის ნდობა სენატის სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო დეპარტამენტისადმი.<sup>133</sup>

---

<sup>132</sup> იქვე.

<sup>133</sup> იქვე.

## ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაარსებას. მასალებიდან ჩანს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თანმიმდევრულად ითხოვდა ქართული თავადაზნაურობა ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის დროიდან. ნაფიცი მსაჯულების სასამართლო პირდაპირ იყო დაკავშირებული ქართულ ენაზე სამართალწარმოებასთან. სამართალწარმოება ქართულ ენაზე ნიშნავდა სამართლის ხალხისათვის ხელმისაწვდომობას. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ შესაძლებელი გახდა ამ იდეის განხორციელება. თუმცა წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ ამას მოჰყვა უამრავი საორგანიზაციო შეფერხება და პრობლემა, მათ შორის მსაჯულების სიების არაორგანიზებულობა და მათი გამოუცხადებლობა.

დღევანდელი გადმოსახედიდან, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებაში მიმდინარეობს აქტიური მსჯელობა აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში, დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილება, მსაჯულთა შემოღება უკიდურესად კრიზისული ვითარების დროს, ამ ინსტიტუტის მედეგობისა და წარმატების შთაგონების წყაროს წარმოადგენს. გარდა ამისა, დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მოქმედი ეს ინსტიტუტი საჭიროებს უფრო სიღრმისეულ შესწავლას პროცესუალური და შედარებით სამართლებრივი თვალსაზრისით.

ერთ-ერთი პირველი მითითება ნაფიც მსაჯულთა შესახებ, ქართულ პრესაში 1895 წლის მაისში ჩნდება. კავკასიის სამართლის საზოგადოებამ ამ საკითხზე შეკრება მოიწვია.

ცნობილმა რუსმა იურისტმა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მომხრე კონიმ მიმართა აუდიტორიას.<sup>134</sup> თბილისისა და ქუთაისის თავადაზნაურობის საზოგადოებამ არაერთი შეხვედრა დაუთმო მსაჯულთა საკითხს. „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარების“ შესახებ კომისიაც შეიქმნა, რომლის წევრი ილია ჭავჭავაძეც იყო. თუმცა, მიუხედავად ამისა, ცარისტულ პერიოდში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში არ დაინერგა. 1889 წლის 15 აპრილს გაზეთი „ივერია“ წერდა, „ცარიზმმა ქართველ ხალხს არათუ მთლიანად სამართლიან სასამართლო სისტემაზე უარი უთხრა, არამედ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების „წყალობაც“ წაართვა.“<sup>135</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკითხი გადაჯაჭვული იყო ხალხის მხრიდან სამართალწარმოების ენის ცოდნასთან. როგორც წყაროებიდან ჩანს, ადგილობრივი განათლებული წრეები დაჟინებით ითხოვდნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს როგორც მართლმსაჯულების ხალხთან დაახლოების საშუალებას. ნაფიცი მსაჯულები, როგორც ქართული ენის მცოდნე მოქალაქეები, დაახლოებული იქნებოდნენ ხალხთან. რუსეთის იმპერიის სასამართლოსთან მიმართებაში, როცა რუსეთიდან დანიშნულმა მოსამართლეებმა არ იცოდნენ ქართული და პროცესს აწარმოებდნენ რუსულად, ეს შეუთავსებელი იყო. ამრიგად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება არ ატარებდა მხოლოდ იმ ტრადიციულ ფასეულობას, რომელიც ხშირად არის მოყვანილი ნა-

---

<sup>134</sup> „ერის სასამართლოს“ იდეა ცარიზმის საქართველოში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, <http://msajuli.ge/index.php?m=795> [11.04.2019 13:15].

<sup>135</sup> იქვე.



ფიც მსაჯულებთან მიმართებაში: ანუ მართლმსაჯულების განხორციელებას თანასწორთა მიერ.<sup>136</sup> საქართველოში ის ატარებდა სუვერენიტეტის განხორციელების ფუნქციას, ვინაიდან პირდაპირ უკავშირდებოდა ქართველი მოსახლეობის მიერ სამართალწარმოების გაგებას და მასში მონაწილეობას.

1919 წლის 17 იანვარს შემუშავებული იქნა კანონპროექტი და დადასტურებული პარლამენტის კომისიების მიერ, რომლითაც შემოღებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.<sup>137</sup> იუსტიციის სამინისტრო მოსახლეობას სიამაყით ამცნობდა, „სულ ახლო მომავალში განხორციელდება ქართველი ერის უდიდესი ზრახვა, ჩვენი ქვეყანაც ეზიარება კულტუროსან ერთა მიერ საუკეთესოდ აღიარებულ სამართლის ფორმას – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.“<sup>138</sup>

დროებითმა მთავრობამ მიიღო კანონი სასამართლოების შესახებ 1917 წლის 21 სექტემბერს. ამ კანონშიც ნახსენები იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოგვიანებით შეიცვალა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ნორმები მოიცვა. თუმცა ეს ნორმები ამოქმედდა მხოლოდ 1919 წლის 17 იანვრის შემდეგ, როდესაც პარლამენტმა მიიღო კანონი “ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების” შესახებ. სამინისტრო ამასთან დაკავშირებით უთითებს,

საქართველოს კანონი «ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა» მიღებული 1919 წლის 17 იანვარს მცირე მოცულობისაა. ის მხოლოდ სამი მუხლისაგან შედგება და შესაბა-

---

<sup>136</sup> იხ. N. Vidmar, V. P. Hans, *American Juries: the Vertict*, 2007.

<sup>137</sup> პირველი ნაბიჯები.

<sup>138</sup> იქვე.

მისი დებულებაც ახლავს თან. კანონის მოთხოვნაა, რომ იუსტიციის სამინისტრომ სასწრაფოდ «დაჩქარებით» შემოიღოს ნაფიც მსაჯულთა სიები, არაუგვიანეს 1919 წლის 1 ივნისამდე.<sup>139</sup>

დებულება აწესრიგებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოწყობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. სასამართლო შედგებოდა ერთი მოსამართლის და 12 მსაჯულისაგან, ისევე როგორც 2 სათადარიგო მსაჯულისაგან. მსაჯულებს უნდა დაეკმაყოფილებინათ შემდეგი კრიტერიუმები: 1. საქართველოს მოქალაქეობა, 2. ქართული ენის სასაუბრო ცოდნა და ნებისმიერი ენის წერა-კითხვის ცოდნა. 3. არანაკლებ 25 წელი. 4. უნდა ცხვრობდეს, სულ მცირე, 1 წელი მაინც იმ უბანში, სადაც მიმდინარეობს შერჩევა.<sup>140</sup> კანონით ასევე განისაზღვრებოდა ის პროფესიები, რომლებიც გამორიცხავდა ნაფიც მსაჯულად მსახურს. ის განსაზღვრავდა მსაჯულების შერჩევის პროცედურებს.<sup>141</sup>

ერთი და იგივე ადამიანის მოხმობა ნაფიც მსაჯულად შეიძლებოდა, არა უმეტეს, წელიწადში ორჯერ.<sup>142</sup> დებულება აწესებდა მსაჯულთა ანაზღაურებას, ხოლო მოგვიანებით მსაჯულის სამსახურისათვის თავის არიდების შემთხვევაში ჯარიმაც დაწესდა.<sup>143</sup>

---

<sup>139</sup> საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 17 იანვრის კანონი „ნაფიც მსაჯულთა შემოღებისა.“

<sup>140</sup> იქვე, მუხლი 1.

<sup>141</sup> იქვე.

<sup>142</sup> იქვე, მუხლი 1 (17).

<sup>143</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 23 აპრილის დროებითი კანონი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების“ შეცვლის შესახებ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტრო ანგარიშში „პირველი ნაბიჯები“ საზეიმოდ აღნიშნავს,

”დ) ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღების კანონი დამტკიცებულია პარლამენტის მიერ და უკვე გაცემულია განკარგულება, რათა ქალაქის თვითმმართველობათაგან და მაზრის ერობათაგან დროზე შედგენილ იქნას ნაფიც-მსაჯულთა საერთო სიები და წარედგინოს სათანადო ოლქის სასამართლოებს. უკეთუ ეს დავალება ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა მიერ დროზე და სათანადოდ იქნას შესრულებული. სულ ახლო მომავალში განხორციელდება ქართველი ერის უდიდესი ზრახვა, ჩვენი ქვეყანაც ეზიარება კულტუროსან ერთა მიერ საუკეთესოდ აღიარებულ სამართლის ფორმას – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.“<sup>144</sup>

კანონის მიღებიდან დაახლოებით ერთ თვეში, 19 თებერვალს, 1919 წლის «საქართველოს რესპუბლიკა» იუწყებოდა, რომ იუსტიციის სამინისტრომ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მას შეედგინა ერობების მოქალაქეთა სიები, რათა ეს სიები «დაუყოვნებლივ» გადასცემოდა ოლქის სასამართლოებს.<sup>145</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედება ყოვნდებოდა ისევ და ისევ ბიუროკრატიული გაუმართაობის გამო. ჭირდა ნაფიც მსაჯულთა სიების შედგენა. სიის წარდგენა ევალებოდა ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც სისტემის გაუმართაობის გამო სიის შედგენას და სასამართლოში წარდგენას აგვიანებდა. ეს იწვევდა იუსტიციის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს გულისწყრომას,

---

<sup>144</sup> პირველი ნაბიჯები.

<sup>145</sup> საქართველოს რესპუბლიკა, 19 თებერვალი, 1919.

ვინაიდან ფერხდებოდა მართლმსაჯულება. „ეს კანონი არ არის ცალკე ცხოვრებაში გატარებული, რადგან რამდენიმე ქალაქის და ერობათა გამგეობას მიუხედავად იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალჯერ განმეორებულ წინადადებისა არ შეუდგენია მსაჯულთა საერთო სიები და არ წარმოუდგენიათ ისინი სათანადო ოლქის სასამართლოში. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყო და რომ ბევრი ბრალდებული ყოველ ზომას იღებს, რათა მათი საქმე გადადებულ იქმნას და არ გაირჩეს. სანამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებას არ დაიწყებს, არ შეიძლება არ ითქვას, რომ ერობის და ქალაქების ერობათა ამ გვარი მოქმედება ყოვლად შეუწყნარებელია.“<sup>146</sup>

პირველი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში გაიმართა 1920 წლის 8 მარტს, ამ სისტემის შემოღებიდან, დაახლოებით, ერთი წლის შემდეგ. სასამართლომ ქუროდობის 2 საქმე განიხილა. პრესაში მითითებულია ნაფიც მსაჯულთა შემდეგი შემადგენლობა: 14 ქალი და 19 მამაკაცი; 25 ქართველი, 5 სომეხი და 3 რუსი. თუმცა 33 გამოძახებული პირიდან, მსაჯულების მხოლოდ 20 კანდიდატი გამოცხადდა.

ამ პირველი პროცესის უმაღლესი პოლიტიკური მნიშვნელობა პროცესზე დამსწრე მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებითაც ჩანს. პროცესს ესწრებოდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, პარლამენტის თავმჯდომარე ალექსანდრე ლომთათიძე, იუსტიციის მინისტრი და სენატორები. საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ გახსნა

---

<sup>146</sup> პირველი ნაბიჯები.

სხდომა და ამის შემდეგ სიტყვა იუსტიციის მინისტრმა არსენიძემ წარმოთქვა.<sup>147</sup>

ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე, განხილული ნაფიცი მსაჯულების მიერ, იყო შალვა მაღლაკელიძის და მისი თანამოაზრეების საქმე.<sup>148</sup> შალვა მაღლაკელიძე იყო გამორჩეული ფიგურა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობაში. ამ დროს ის ტფილისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე მსახურობდა.<sup>149</sup> სასამართლო განხილვა, დაახლოებით, ორი კვირა გაგრძელდა და მნიშვნელოვანი მედია ყურადღება მიიპყრო. გაზეთი სახალხო საქმე<sup>150</sup> აშუქებდა ამ პროცესს.<sup>151</sup> პროცესი 1920 წლის 5 ივლისს დაიწყო. 24 გამოძახებული მსაჯულიდან მხოლოდ 19 გამოცხადდა და აქედან 2 აცილებულ იქნა. სასამართლო პროცესი 6 ივლისს დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ახალი უწყება ეგზავნებოდა მსაჯულებს და გამოუცხადებლობის შემთხვევაში კანდიდატებს ან ჯარიმა დაეკისრებოდათ ან მათ ძალით მოიყვანდნენ.

---

<sup>147</sup> საქართველოს რესპუბლიკა, 10 მარტი, 1920.

<sup>147</sup> გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წლის 6 ივნისი, საქართველოს უზენაესი სასამართლო.  
<http://www.msajuli.ge/index.php?m=797> [01.05.2019 11:00].

<sup>148</sup> ვ. რცხილაძე, შალვა მაღლაკელიძის მოგონებანი (2012).

<sup>149</sup> საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, შალვა მაღლაკელიძე, <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000136/>.

<sup>150</sup> გაზეთი „სახალხო საქმე“ იყო ყოველდღიური ოფიციალური გაზეთი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის რევოლუციური კომიტეტისა, გამოიცემოდა 1917-1921 წლებში <http://www.nplg.gov.ge/paper/papers/paper.php?did=2049>.

<sup>151</sup> გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წლის 6 ივნისი, საქართველოს უზენაესი სასამართლო.  
<http://www.msajuli.ge/index.php?m=797> [01.05.2019 11:00].

მალაკელიძეს დ ამის თანამოაზრეებს ბრალად ედებოდათ მითვისება, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და გაყალბება. მალაკელიძეს თავი უდანაშაულოდ მიაჩნდა. მასთან ერთად ბრალდებულები, ჩაჩიბია და შენგელია თავს დამნაშავედ ცნობდნენ ბრალის ნაწილში.<sup>152</sup>

სასამართლომ ძალიან ბევრი მოწმე დაკითხა, მათ შორის ძალადი დონის სამთავრობო მოხელეები და პოლიტიკოსები. ადვოკატმა 2 საათიანი დაცვითი სიტყვა წარმოთქვა, იგი მალაკელიძის უდანაშაულობას აღნიშნავდა.

მალაკელიძის მეორე ადვოკატი ივანე ყაუხჩიშვილი მიუთითებდა, რომ ბრალდება პოლიტიკური იყო. ადვოკატის სიტყვის მიხედვით, მალაკელიძე პოლიტიკური კონსპირაციის მსხვერპლი იყო, ის იყო შინაგან საქმეთა მინისტრის შურისძიების ობიექტი.

სხვა ბრალდებულების ადვოკატებმაც წარმოთქვეს მგზნებარე სიტყვები. პროკურორმა შოთა დადიანმაც წარმოთქვა გრძელი, რამდენიმესაათიანი სიტყვა. „ეს არის პირველი დიდი საქმე, რომელიც ქართველი ხალხის სინდისმა უნდა განსაჯოს.“<sup>153</sup>

მსაჯულებმა გაამართლეს ორი ბრალდებული, მალაკელიძე და აზნაუროვი და მსჯავრდებულად ცნეს დანარჩენები. ჩაჩიბიას მიესაჯა ორი წელი, ხოლო იუშკევიჩს, ხომტარიას და შენგელიას 1, 5 წელი, თითოეულს თავისუფლების აღკვეთა.<sup>154</sup>

ეს საქმე იმსახურებს ყურადღებას როგორც ერთ-ერთი პირველი საქმე, სადაც არქივებს შემონახული აქვთ ნაფიც

---

<sup>152</sup> იქვე.

<sup>153</sup> იქვე.

<sup>154</sup> იქვე.

მსაჯულთა სასამართლოს მუშაობა. როგორც ამ საქმიდანაც ჩანს, მიუხედავად უამრავი სისტემური გამოწვევისა, ნაფიც მსაჯულები თავს ართმევენ მათთვის დაკისრებულ ფუნქციას და სასამართლოც დადგენილი წესით უძღვებოდა სამართალწარმოებას. სამართალწარმოებაში, და არა საორგანიზაციო თვალსაზრისით, რა გამოწვევები ჰქონდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, უფრო სიღრმისეულად გამოსაკვლევია საკითხია. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უაღრესად საინტერესოა შედარებით სამართლებრივი და პროცესუალური თვალსაზრისით. აუცილებელია, სისტემურად იქნეს შესწავლილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილული საქმეები და მოხდეს მათი ანალიზი.

## დასკვნა

დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამწლიანი არსებობის ეპოქა უმნიშვნელოვანესი იყო დამოუკიდებელი საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ძირითადი წახნაგების შექმნისათვის. ის ინსტიტუტები, რომლებიც ხელისუფლებამ შექმნა იმ პერიოდში, წინ უსწრებდა ეპოქას და უმნიშვნელოვანეს გამოცდილებას წარმოადგენს დღევანდელი გამოწვევების გადმოსახედიდანაც.

მთავარი ფასეულობა, რომელიც საფუძვლად ედო სასამართლო რეფორმებს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, არის სასამართლოში საქართველოს სუვერენიტეტის განხორციელება. სუვერენიტეტის განხორციელება იყო, მაგალითად, სენატის შექმნის სულისკვეთება. დამოუკიდებლობის კუთხით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი საკასაციო ინსტანციის, უმაღლესი სასამართლოს სენატის შექმნას. დამოუკიდებლობამდე საქართველოდან საკასაციო წესით საჩივრდებოდა სარჩელები რუსეთის იმპერიის სენატში. სუვერენიტეტის და ადგილობრივი მართლმსაჯულების განვითარების კუთხით, ადგილობრივი საკასაციო ინსტანციის არსებობა იყო აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი.

თუმცა საყურადღებოა, რომ სენატს ბევრად უფრო დიდი ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე მხოლოდ საკასაციო ინსტანციას. ის ითავსებდა, დღევანდელი გაგებით, დისციპლინური წარმოების ფუნქციას და სასამართლო პოლიტიკის წარმართვის ზოგად ფუნქციას შეერთებული საკრებულოსა და საზოგადო კრების მეშვეობით.

მოსამართლეთა ანგარიშვალდებულებისათვის ცალკე ორგანო, დღევანდელი გადმოსახედიდან იუსტიციის საბჭო



არ არსებობდა. სენატის ფარგლებში შექმნილი შეერთებული საკრებულოს დანიშნულება იყო მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების საკითხის გადაწყვეტა. სწორედ შეერთებული საკრებულო ასრულებდა დღევანდელი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანალოგის ფუნქციას. საგულისხმდია, რომ შეერთებული საკრებულო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისაგან შედგებოდა, თუმცა მას ჰქონდა ურთიერთობა მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოსთან, ყრილობებთან და იუსტიციის სამინისტროსთან. ეს ბალანსი სასამართლოსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის კარგად ჩანს შეერთებული საკრებულოს მიერ მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხის დადგენისას.

ასევე საყურადღებოა სენატის საზოგადო კრების მნიშვნელობა. დღევანდელი პერსპექტივიდან სენატის საზოგადო კრება ითავსებდა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციებს. ის წყვეტდა მართლმსაჯულების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, მაგალითად, რა ენაზე იქმნებოდა სამართალწარმოება და, ამავე დროს, შინაარსობრივად იხილავდა საქმეებს საკასაციო წესით განსაკუთრებულ შემთხვევებში. ამგვარად, ეს ორგანო, რომელიც მხოლოდ სენატორებისაგან შედგებოდა, უზრუნველყოფდა სასამართლოს უმნიშვნელოვანეს საკითხებში სხვა ხელისუფლებების ჩაურევლობას.

ვინაიდან საქმე გვქონდა ახლად შექმნილ ინსტიტუტთან, რომელმაც არსებობა დაიწყო მძიმე სოციალურ ეკონომიკურ პირობებში და არასტაბილურ გარემოში, მოსალოდნელი იყო სხვადასხვა ტიპის შეცდომები. ამავე დროს, მასალებში არაერთხელ აღინიშნება კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა, რაც გასაგებია, ვინაიდან ამ დროისათვის საქართველო-

ში არ არსებობდა უმაღლესი იურიდიული განათლების გამცემი საგანმანათლებლო დაწესებულება. საყურადღებოა, რომ სწორედ სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით, კვალიფიციური კადრების ნაკლებობის აღმოჩენისას დააყენა იუსტიციის სამინისტრომ საქართველოში იურიდიული ფაკულტეტის შექმნის საკითხი.

ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა იყო არჩევითი მომრიგებელი მოსამართლეების ჩამოყალიბება. 1919-1921 წლების დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოსამართლეებს ხალხი ირჩევდა. მოსამართლეთა არჩევითობა იყო უპრეცედენტო ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ და დღესაც უპრეცედენტოდ რჩება. მოსამართლეების თვითმმართველობის მიერ არჩევითობის მთავარი ახსნა სამართლის ხალხთან დაახლოების მცდელობა იყო. ამით მოსამართლე დამოუკიდებელი იყო მოსამართლედ განწესებული ორგანოების გავლენისაგან, რაც უზრუნველყოფდა მოსამართლის ანგარიშვალდებულებას მხოლოდ საზოგადოების წინაშე. ამ მოდელთან დაკავშირებით პროფესორი ბესარიონ ზოიძე თავის შეხედულებას აყალიბებს და მიუთითებს, რომ ადამიანები მოსამართლეებად არ იბადებიან. მათ მოსამართლედ ან ირჩევენ, ან ნიშნავენ. თუმცა უნდა გააცნობიერონ თავიანთი მდგომარეობა და შეძლონ, შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა მოსამართლედ გამამწესებელი ორგანოების გავლენისაგან.<sup>155</sup> მოსამართლე კი, რომელიც არჩეულია ხალხის მიერ, ორიენტირებულია მხოლოდ ხალხში სამართლიანობის განცდასა და საზოგადოების ინტერესების დაცვაზე. ეს, შესაბამისად, ზრდის სასამართლოს მიმართ ხალხის

---

<sup>155</sup> ბ. ზოიძე, *რამდენიმე შტრიხი დამოუკიდებელი მოსამართლისა, თ. ლილუაშვილი*, საიუბილეო კრებული, 75, გამომც. „ჯისიაი“, 13.

სანდობას, თუმცა ამ პროცესს საკუთარი ნაკლოვანებაც გააჩნია, მათ შორის: მოსამართლე შეიძლება მოექცეს საზოგადოებრივი გავლენის ქვეშ და შეიძლება მიიღოს პოპულარული და არა სამართლიანი გადაწყვეტილებები.

სუვერენიტეტის განხორციელების კიდევ ერთ ნაბიჯი იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნა. საქართველოში ეს რეფორმა განსაკუთრებულ ხასიათს იძენს. ტრადიციულად მიჩნეულია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ემსახურება მოქალაქეთა განსჯას საკუთარი წრის ადამიანების მიერ, მართლმსაჯულებაში მოქალაქეების მონაწილეობის იდეას. თუმცა საქართველოში ნაფიც მსაჯულებს დამატებითი მნიშვნელობა ენიჭებათ. ამ რეფორმამდე სასამართლო ხალხისათვის ხელმიუწვდომელი იყო, ვინაიდან რუსეთიდან დანიშნულმა მოსამართლეებმა არ იცოდნენ სამართალწარმოების ენა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო კი, შექმნილი მოქალაქეებისაგან, უზრუნველყოფდა სამართალწარმოებას მოსახლეობის ენაზე, იმ ტერიტორიაზეც კი, სადაც ეროვნული უმცირესობები ცხოვრობდნენ. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ქართველი ინტელექტუალების სურვილების შესაბამისად, იყო სასამართლოს ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

განსაკუთრებით საინტერესოა პროკურორების ინსტიტუტის ჩანასახების არსებობა დემოკრატიულ რესპუბლიკაში. დღევანდელი გამოწვევების პერსპექტივიდან საყურადღებოა, რომ პროკურორები იმყოფებოდნენ სასამართლო ხელისუფლების შტოს შემადგენლობაში. პროკურორების საქმიანობას აწესრიგებდა სასამართლო ხელისუფლება და იუსტიციის სამინისტრო. სამწუხაროდ, ნაკლებად არის გამოკვლეული პრო-

კურორების როლი სასამართლო გადაწყვეტილებებში და ეს საკითხი ცალკე სიღრმისეულ შესწავლას იმსახურებს.

თუ როგორ ახერხებდნენ იმ პერიოდის ქართველი ინტელექტუალები მოსამართლეთა ანგარიშვალდებულებასა და დამოუკიდებლობას შორის ზღვარის დაცვას, საინტერესოა. ვინაიდან დღევანდელ პრობლემას და სამეცნიერო წრეების დისკუსიის საგანს სწორედ ანგარიშვალდებულებასა და დამოუკიდებლობას შორის ბალანსის დაცვა წარმოადგენს, რომელზეც დამყარებულია დემოკრატიული სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლების გამართული ფუნქციონირება. აქედან გამომდინარე, ურიგო არ იქნება, ეს გამოცდილება, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, მხედველობაში იყოს მიღებული თანამედროვეობაში მართლმსაჯულების სწორად ფორმირებისათვის.

მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეთა პასუხისმგებლობის დაყენების პროცედურა იყო საკმაოდ რთული და მრავალსაფეხურიანი. ის მიმდინარეობდა პარალელურად სენატისა და იუსტიციის სამინისტროს ჩართულობით, რაც ურთიერთშეკავებისა და შეწონასწორების პრინციპებით აიხსნება. სისტემა აგებული იყო იმგვარად, რომ ცალკე აღებული არც სასამართლო და არც აღმასრულებელი ხელისუფლება მოახერხებდა მოსამართლეებზე ზეწოლას მათი ანგარიშვალდებულების საკითხის დაყენებით. მაშინ როდესაც მოსამართლეების ანგარიშვალდებულების და დამოუკიდებლობის საკითხის გადაწყვეტის დროს მუდმივად ამ ორი ფასეულობის ბალანსის დაცვა დგას, ახლად ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მხრიდან ამ ბალანსის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ხაზგასმას იმსახურებს.

ასევე საყურადღებოა სასამართლო სისტემის რევიზიის ინსტიტუტი, რომელიც დამოუკიდებელი სასამართლოს ისტორიაში მხოლოდ იმ პერიოდში არსებობდა. რევიზიის არსი იყო სასამართლო სისტემის მუშაობის ფართომასშტაბიანი სისტემური შემოწმება. რევიზიის მიზანი იყო არა კონკრეტული მოსამართლეების საქმიანობის შემოწმება, რასაც ადგილი ჰქონდა შეერთებული საკრებულოს მუშაობისას, არამედ სასამართლოს მუშაობის ორგანიზაციული მხარის გაკონტროლება. რევიზიის საჭიროება, სავარაუდოდ, მომდინარეობდა იქიდან, რომ სახელმწიფო ხელისუფლება იმყოფებოდა ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე, ჩამოყალიბების პროცესში აწყდებოდა უამრავ პრობლემას. შესაბამისად, რევიზიის ინსტიტუტი აუცილებელი იყო ამ პრობლემების პროაქტიულად გამოვლენის და აღმოფხვრისათვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ, სენატის დებულების შექმნისას თავიდანვე გაითვალისწინა მთელი რიგი მეთოდები, რათა მუხლობრივად გაეწერა მოსამართლეთა შეფასების ფორმები და მიიღო პრევენციული ზომები, რომ მოეხდინა ბალანსი მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების ფორმებსა და დამოუკიდებლობას შორის. ეს უფლებამოსილება გადასცეს სენატის შეერთებულ საკრებულოს, აღჭურვს შესაბამისი მექანიზმით, რაც მოსამართლეთა საქმიანობაზე რევიზიის დანიშვნასა და მისი საქმიანობის შეფასებას მოიცავდა. აღნიშნული მოდელის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა ის, რომ მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობდა იუსტიციის სამინისტროც, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას სენატი იღებდა, იუსტიციის სამინისტროს ჩართულობა უზრუნველყოფდა რომ ანგარიშვალდებულების საკით-

ხის დასმა არ იყო მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლეების ხელში, რასაც სასამართლოს კორპორატიულ სტრუქტურად ჩამოყალიბება და სრულიად ანგარიშვალდებულების გარეშე დარჩენა შეეძლო გამოეწვია. ანგარიშვალდებულების საკითხში ხელისუფლების სხვა შტოს მინიმალური მონაწილეობა, როდესაც საბოლოო გადაწყვეტილებას უმაღლესი ინსტანცია იღებდა, განაპირობებდა ბალანსს ანგარიშვალდებულებასა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობას შორის.

ამასთან, მნიშვნელოვანი იყო სენატის ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე, რომელიც მას წელიწადში ერთხელ მოსამართლეთა მოღვაწეობის შედეგებს წარუდგენდა. ამ მექანიზმით სახელმწიფომ უზრუნველყო შეერთებული საკრებულოს „ჯეროვანი საქმიანობა“, რომელიც მოიცავდა მოსამართლეთა საქმიანობის შესწავლა-შეფასებას და შედეგად, კანონდარღვევათა და მოსამართლეთა „ბოროტმოქმედების“ აღმოფხვრას. ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლების წინაშე სენატის ყოველწლიური ანგარიში უზრუნველყოფდა სასამართლოს ანგარიშვალდებულებას ფართო საზოგადოების წინაშე და, თუ საჭირო იყო, ხალხის წარმომადგენლების მიერ სასამართლოს საქმიანობაზე კრიტიკულ დაკვირვებას.

მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტურობის კუთხით გასათვალისწინებელია ხელფასის გადახდის სისტემა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოსამართლეები ხელფასს განხილული საქმეების მიხედვით იღებდნენ, რაც უზრუნველყოფდა საქმეების დროულ განხილვას. მეტიც, მოსამართლეები აქტიურად ეძებდნენ კიდეც საქმეებს. ამ მექანიზმით მოსამართლე წახალისებული იყო, საქმეები განეხილა დროულად. შესაბამისად, ეს მექანიზმი მართლმსაჯულების განხორციელებას უწყობდა ხელს. დღეს არსებული

ვითარება კი, როდესაც პირველი ინსტანციის მოსამართლეები გადატვირთულები არიან და ვერ ახერხებენ დროულად მართლმსაჯულების განხორციელებას, ხელს უშლის მოქალაქეების სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას და სასწრაფო რეფორმატორულ ცვლილებებს მოითხოვს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილება მოსამართლეების საქმეების მიხედვით, ანაზღაურების მხრივ, საინტერესოა მოსამართლეების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდაზე ფიქრის მიმართულებით.<sup>156</sup>

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მოსამართლეთა თვითმმართველობის განსაკუთრებული ხარისხი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს. მოსამართლეები თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხს, კონფლიქტს თუ საორგანიზაციო საკითხებს წყვეტდნენ ერთად, მოსამართლეთა ყრილობაზე. ყრილობა იყო მოსამართლეების თავშეყრისა და მსჯელობის ადგილი. აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფდა სასამართლოში არსებული პრობლემების დროულ და ეფექტურ გადაჭრას. ყრილობის მიზანს უმთავრესად შიდა პრობლემების მოგვარება წარმოადგენდა. ყრილობაზე მოსამართლეები აყენებდნენ მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომელიც შეიძლება ყოფილიყო შენობის კეთილმოწყობა, უბნებში მოსამართლეთა განაწილება საქმეების დროული განხილვის მიზნით და იმ გამომწვევი გარემოებების აღმოფხვრა, რაც ცალკეულ უბნებში საქმეების განხილვის შეფერხებასა და გაჭიანურებას

---

<sup>156</sup> კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, *სასამართლო სისტემა, რეფორმები და პერსპექტივები*, 71, 11 მაისი 2017.

[http://www.coalition.ge/index.php?article\\_id=150&clang=0](http://www.coalition.ge/index.php?article_id=150&clang=0) [15.04.2019 15:00].

იწვევდა. აღნიშნული მოდელით მოსამართლეები მარტივად უზრუნველყოფდნენ მათ წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებას შიდა მექანიზმით. პრობლემის დაუძლეველობის შემთხვევაში ყრილობა დახმარებისთვის (თანხობრივად) სამინისტროს მიმართავდა. მოცემული ანგარიშვალდებულების ფორმა საყურადღებოა, რადგან ამით მოსამართლენი უზრუნველყოფდნენ ერთიანი, ძლიერი და კომპეტენტური სასამართლო სისტემის შექმნას და საზოგადოებაში სასამართლოს პრესტიჟის ამაღლებას. ეს ინსტიტუტი განსაკუთრებით საინტერესოა დღევანდელი მდგომარეობის მიმართებით, ვინაიდან ეს იყო მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, რომელიც თვითონ წყვეტდა ყოველდღიურ პრობლემებს. დღეს ეს ორგანო არის მოსამართლეთა კონფერენცია, რომელიც იკრიბება იშვიათად და არ განიხილავს მიმდინარე საჭირობო საკითხებს.<sup>157</sup>

მნიშვნელოვანია ისიც, რომ თითოეული მოსამართლე აღჭურვილი იყო უფლებამოსილებით, მოსამართლეთა „ბოროტმოქმედების“ შემთხვევაში, უკანონობის აღმოსაფხვრელად საკითხი დაეყენებინა მოსამართლეთა მორიგ ყრილობაზე. ყრილობა განიხილავდა აღნიშნულ საქმეს, მოითხოვდა განმარტებას ბრალდებული მოსამართლის მხრიდან და საქმის მოუგვარებლობის შემთხვევაში იღებდა საქმეში იუსტიციის სამინისტროსა და სენატის ჩართვის გადაწყვეტილებას. აღნიშნული მოდელი წარმოადგენს მოსამართლეთა საქმიანობის ჯეროვანი შესრულების გარანტიას, რადგან მოსამართლეთა საქმიანობა უფრო კონტროლირებადი თვით მოსამართლეებისაგან იყო, ვიდრე ზემდგომი ორგანოებისგან. ბრალდებუ-

---

<sup>157</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 63, 65.



ლი მოსამართლის ბერკეტს კი ის პროცესუალური სტადიები წარმოადგენდა, რაც მას უნდა გაეგლო პროცესის მიმდინარეობისას. თავდაპირველად, მას ევალეობდა განმარტების წარდგენა ჯერ ყრილობის წინაშე, ხოლო შემდეგ (საჭიროების შემთხვევაში) იუსტიციის სამინისტროსა და სენატის წინაშე, სადაც საბოლოო შედეგის შეფასებას სენატი ახდენდა. შეფასება შეიძლება მოსამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ან კიდევ პირიქით, პასუხისმგებლობის დაკისრება იყო. აქედან გამომდინარე, თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვის გარანტიას სწორედ იუსტიციის სამინისტრო და სენატი წარმოადგენდა.

ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ სენატის შეერთებული საკრებულოს გადაწყვეტილებისას რევიზიის დანიშვნის შესახებ, რევიზიის გამოყოფას საზოგადო კრება ახდენდა, რაც უზრუნველყოფდა საქმის განმხილველი სენატორების მიკერძოებული რევიზიის მოხდენის თავიდან აცილებას.

ანგარიშვალდებულების კუთხით, სწორად იყო რეგულირებული რევიზიის ჩატარების გამჭვირვალობა და სანდობა. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი და სენატორები ვალდებული იყვნენ, მოსამართლეზე ანდა სასამართლო დაწესებულებაზე შეედგინათ კვლევა-ძიებისა და რევიზიის ოქმები, რომელიც ხელმისაწვდომი იყო როგორც იუსტიციის სამინისტროს, ისე შეერთებული საკრებულოს შემადგენლობისთვის და თვით საქმეში მონაწილე მოსამართლეებისთვის. აღნიშნული ოქმები უნდა განეხილა, შეესწავლა და გამოეტანა საბოლოო გადაწყვეტილება სენატს 2/3-ის შემადგენლობით.

საგულისხმოა, რომ ამ წიგნში გადმოცემული მასშტაბური რეფორმები მიმდინარეობდა უდიდესი გამოწვევების ფონზე. მასალებიდან ჩანს, რომ მართლმსაჯულების განხორციე-

ლებას ხელს უშლიდა უამრავი პრობლემა, სასამართლომდე მისასვლელი გზების არარსებობიდან კვალიფიციური კადრების დანაკლისამდე. ანგარიშები მუდმივად გვახსენებს, რომ ხელისუფლებას უწევს რეფორმების განხორციელება მძიმე სოციალ-ეკონომიკური ვითარების ფონზე, სადაც, მაგალითად, მოსამართლეთა ანაზღაურების სიმცირის გამო, ჭირს კვალიფიციური კადრების მოზიდვა. ცალკე გამოწვევაა სახელმწიფოს მშენებლობისათვის ფართომასშტაბიანი ნაბიჯები ყველა მიმართულებით, რომელთა აღსრულებაზე იყო დამოკიდებული მართლმსაჯულება. მაგალითად, ერობების დროული ფორმირება და არჩევა განსაზღვრავდა მომრიგებელი მოსამართლეების არჩევნების დროულობას, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოსახლეობის სიების მოწესრიგებაზე იყო დამოკიდებული ნაფიც მსაჯულთა შერჩევა. აღფრთოვანების ღირსია, თუ როგორ თანმიმდევრულად და თავდადებულად ცდილობდა ხელისუფლება ნაბიჯების გადადგმას ყველა ამ მიმართულებით ერთდროულად და თუ როგორ მიაღწია სასამართლოს სფეროში გარღვევებს ამ ვითარებაშიც კი.

დასასრულ, ამ კვლევის განმავლობაში შეგვხვდა უამრავი დისკუსია და კამათი სასამართლოს საკითხებზე, უამრავი გულანთებული პირი, ვისთვისაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო სასამართლოს დამოუკიდებლობა და მომავალი. ეს პიროვნებები – იუსტიციის მინისტრი, სენატორები და მოსამართლეები იყვნენ ჩვენი დამოუკიდებელი მართლმსაჯულების პიონერები. მათ ფასეულობებს, ამ ფასეულობების ჩამოყალიბების გზის შესწავლას აქვს უდიდესი მნიშვნელობა დამოუკიდებელი საქართველოს მართლმსაჯულების ისტორიისათვის.



## გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)



## ანა დოლიძე

სამართლის დოქტორი - კორნელის უნივერსიტეტი; სამართლის მაგისტრი - ლაიდენის უნივერსიტეტი; სამართლის მაგისტრი და ბაკალავრი (წარჩინებით), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ჩატარებული აქვს 500 – ზე მეტი საჯარო ლექცია მსოფლიოს

მასშტაბით, მათ შორის, ლექციები კემბრიჯის უნივერსიტეტში, ქუინსის უნივერსიტეტში, დიუკის უნივერსიტეტში, ტორონტოს უნივერსიტეტში. იგი ხშირად აკეთებს კომენტარს მედიაში. ანა დოლიძე იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე (2015-2016); საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი (2016-2017). 2018 წლიდან არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. მას აქვს 15 წლიანი სამუშაო გამოცდილება საერთაშორისო და ქართულ ორგანიზაციებში. ანა დოლიძე არის სამი წიგნის და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ISBN 978-9941-26-522-8



9 789941 265228